ლელო

№258 (12 328)

1 ნოემბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო კლუბი ბორჯომი ავარიაში მოყვა

2

ასე უნდა დამხვდეთ?!

გუშინ, რონალდ კუმანი ვალენსიის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, მისმა ახალმა გუნდმა კი რეალთან შინ 1:5 წააგო

6 ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. X ტურის ტექნიკური შედეგები

აპენინებზეც ბლომად შეყარეს

7 იტალია. სერია A. X ტურის ტექნიკური შედეგები

რაგბი. 10 ნოემბერი. საქართველო-პორტუგალია

ახალი პირველი ხაზი პორტუგალიასთან

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველოს ნაკრები 10 ნოემბერს, თბილისში, ერთა თასის პირველი წრის ბოლო შეხვედრას გამართავს პორტუგალიის ნინაალმდეგ. უკვე ცნობილია ჩვენი გუნდის შემადგენლობა.

ამჟამინდელი გუნდი, მსოფლიო თასზე მოასპარეზე შემადგენლობისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. მთლიანად შეცვლილია პირველი ხაზი. მიზეზი კი ახლახან საფრანგეთის რაგბის ფედერაციის მიერ მიღებული კანონია, რომლის მიხედვითაც ფრანგულ კლუბებს უფლება აქვთ, არ გაუშვან უცხოელი მოთამაშეები თავიანთი ქვეყნების ნაკრებში, თუ მატჩის თარიღი ექვსი ერის განრიგს არ ემთხვევა.

საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **ირაკლი ჭყონია** (კლერმონი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული), **გიორგი ჟღენტი** (ბიარიცი), **ანტონ ფეიქრიშვილი** (აჟენი), **დავით გასვიანი** (ბობინი)

მეორე ხაზი: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **ლევან დათუნაშვილი** (მონლუსონი), **შალვა სუთიაშვილი** (ბობინი)

მესამე ხაზი: **გიორგი ჩხაიძე** (მახი), **რატი ურუშაძე** (ლონსი), **ბესიკ უდესიანი** (უგუნდო), **ილია მაისურაძე** (ლოკომოტივი).

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული)

10: **მერაბ კვირიკაშვილი** (პო)

12-13: **ირაკლი გიორგაძე** (დაქსი), (ყოჩები), **გიორგი ელიზბარაშვილი** (კრასნი იარი)

11-14: **ბესიკ ხამაშურიძე** (კანი), **ირაკლი მაჩხანელი** (მონ დე მარსანი), **გიორგი შკინინი** (უგუნდო)

15: **თემურ სოხაძე** (უგუნდო)

11

ქუთაისში სპორტის სასახლე გაიხსნა

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ქუთაისში ახალი სპორტის სასახლე გახსნა. სპორტული ობიექტის მშენებლობა ერთი წელიწადი მიმდინარეობდა და სახელმწიფოს იგი 3 მილიონი ლარი დაუჯდა. პირველი სპორტის სასახლე ქუთაისში, მართლაც მშვენიერი სანახავია. სტანდარტული (44X24) ზომის მოედნით, ფიტნესკლუბით, გასახდელებით, მსაჯებისა და მწვრთნელების ოთახებით, კვების ბლოკით, მაღალი ტექნოლოგიის შიდაგანათებით, სასახლე გათვლილია 1550 მაყურებელზე. აქ შესაძლებელი იქნება კალათბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში, ჭიდაობაში, ფარიკაობაში, მინი-ფეხბურთსა და კრივში საერთაშორისო ტურნირების და ჩატარება.

სპორტის სასახლეს ღვაწლმოსილი ოლიმპიური ჩემპიონების, **მიხეილ ქორქიასა** და **ზურაბ საკანდელიძის** სახელი მიენიჭა. დარბაზი კალათბურთელებმა გახსნეს ამხანაგური მატჩით.

მიხეილ სააკაშვილმა სასახლის გახსნაზე განაცხადა: *"მე ბავშვობიდან ვთამაშობდი კალათბურთს. მაგარი სპორტსმენი ჩემგან არ დადგა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კალათბურთის დარბაზების მაგარი ამშენებელი გამოვალ. ამ დარბაზში, არა მარტო შინაური, არამედ საერთაშორისო მატჩებიც გაიმართება. ეს დასაწყისია, საქართველოში ათი ასეთი სპორტის სასახლე აშენდება"...*

დავით პოხრეიძე
ქუთაისიდან

კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი

წიკლაურისა და გაზაფხულის იმედად

ჩიკაგოში მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, მოვლენები ჩვენთვის არასასიამოვნოდ ვითარდება. ცხრა ქართველიდან, გუშინ მერვე გამოეთიშა შეჯიბრებას მეოთხედფინალამდე და პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია კვლავ მიუწვდომელ ოცნებად გვრჩება.

ნუხელ **ზვიად ხადურმა** (48 კგ) იჩხუბა. იგი სომეხ **ჰოვანეს დანიელიანს** ხვდებოდა და გამარჯვება ცალკე მეოთხედფინალის საგზურს აძლევდა, ცალკე - ოლიმპიადის ლიცენზიას. სამწუხაროდ, სომეხის უპირატესობა აშკარა იყო. მესამე რაუნდში, იგი 27:7 დანინაურდა. როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ოცქულიანი სხვაობის გამო, მსაჯებმა გამარჯვება დანიელიანს უბოძეს...

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატს შემორჩა ერთადერთი ქართველი – ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრი **დავით წიკლაური** (81 კგ). გუშინვე, გამთენიისას, მეოთხედფინალში გამსვლელ ორთაბრძოლაში, იგი რუს **არტურ ბეტერბიევს** ხვდებოდა...

შეგახსენებთ, რომ ევროპელთაგან, ვინც მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოიპოვებს პეკინის ოლიმპიადის საგზურს, გაისად გაზაფხულზე მოუწევს ამისთვის ბრძოლა. ევროპისთვის განკუთვნილი 96 კვოტიდან, დარჩენილი ოლიმპიური ლიცენზიები გათამაშდება რომისა და ათენის საერთაშორისო ტურნირებზე.

კობა ხატისაშვილი

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVIII

ჯგუფური რაუნდი. V ტური

დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

D ჯგუფი

დილა-მგლები

1:0

31.10. გორი. თ. გურჯანაძე
200 მაყურებელი

1:0 სამადაშვილი (33)

გამოუყენებელი პენალტი: ნოზაძე (48)

დილა: კეჩხუაშვილი-ბალიაშვილი, მასურაშვილი, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი-ნოზაძე, შატაკიშვილი (77. ლაცაბიძე), ტლაშაძე, სადაღაშვილი (87. ლომიძე), სულთანიშვილი-სამადაშვილი (84. იჩქითი)

სამადარიგოები: ილურიძე, თაყაძე, ბუზალაძე, სირბილაძე

მგლები: ივარდავა-კაკაბაძე, მაჭავარიანი, ვართაგავა, ქომეთიანი-ქირია (80. ლიპარტია), გაბედავა, ჯოჯუა, ხუბუა (70. ბაკარანძე), წურწუმია (73. ჭკადუა), ჭედია

სამადარიგოები: კუტალია, ჭითანავა

გაფრთხილება: ბალაშვილი (67), კეჩხუაშვილი (82)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ჩემპიონატის აუტსაიდერი ჯგუფში გალიდერდა

გუშინდელი მარცხით მგლებს ჯგუფიდან გასვლის შანსი შეუმცირდა

ჩემპიონატისაგან განსხვავებით საქართველოს თასის გათამაშებაში წაუგებლად მოასპარეზე გორის „დილამ" მორიგი შეხვედრა მოიგო. გორელებმა ამჯერად D ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გასვლისათვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი ზუგდიდის „მგლები" დაამარცხეს და ვიდრე ჯგუფის აქამდელი ლიდერი „ზესტაფონი" ითამაშებს (კახეთი-ზესტაფონი დღეს გაიმართება), ერთი დღით მაინც გალიდერდნენ.

სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა ორი განსხვავებული ტაიმი იხილა. მატჩის პირველი ნახევარი მასპინძელთა, ხოლო მეორე სტუმრების ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. **მამუკა ვარდოსანიძის** დამოძღვრილები დებიუტიდანვე ეკვეთნენ მეტოქის კარს, გოლის გატანას არა მხოლოდ თავდამსხმელები ცდილობდნენ. მე-8 წუთზე მეტად სახიფათო მომენტი „დილის" ცენტრალურმა მცველმა **გიორგი მა[illegible]შვილმა** შექმნა, რომელმაც ცენტრ[illegible]ამოღებული ბურთით ორი მოწინააღმდეგის ჩამოცილების შემდეგ საჯარიმოში შეაღწია და შვიდიოდ მეტრიდან ანგარიშსაც გახსნიდა, უკანასკნელ წამს **ნოდარ მაჭავარიანს** რომ არ შეეშალა ხელი. გორელები თანდათან მოედნის ცენტრის მაკონტროლებლებად იქცნენ და შეტევებიც კიდევ უფრო მწვავე გამოსდიოდათ, თავის მხრივ, „მგლები" კი კონტრშეტევათა მეოხებით ცდილობდა ფონს გასვლას, ანუ ამ შემთხვევაში აქცენტი კარის მშრალად შენარჩუნებაზე ჰქონდა გადატანილი. ეს ზუგდიდელებმა მიუხედავად გვარიანი მცდელობისა, ვერ მოახერხეს. გოლამდე ქართლელები რამდენჯერმე სახიფათო სტანდარტულითაც დაემუქრნენ **ივარდავას** კარს. განსაკუთრებით 24-ე წუთზე **საბა სულთანიშვილის** შესრულებული ჯარიმის მოგერიებისას გაუჭირდა სტუმარ გოლკიპერს. საბამ კუთხურებიც არაერთხელ მოაწოდა ეფექტურად, თუმცა მის გოლად ქცევას უკვე თანაგუნდელები ვეღარ ახერხებდნენ. 33-ე წუთზე კი **გურამ სამადაშვილის** მისამართით მასპინძელთა ფლანგური ჩაწოდებისას ივარდავამ გამოსვლაზე ვერ ივარგა და ბურთი კარის ბადეში გაეხვა.

გაშვებულმა ერთობ გაამგელა „მგლები". ორ წუთში ახლა უკვე „დილის" გოლკიპერი შეცდა და **ჭედიას** რომ ზუსტად დაერტყა დაუცველ კარში, წონასწორობასაც აღადგენდა. ამ შეხვედრაში ერთი თვის წინათ ჩემპიონატის მატჩისას „დილის" კარში დუბლის შემსრულებელმა ჭედიამ ვერაფრით გამოიჩინა თავი. მეორე ტაიმი სამი წუთის დაწყებული იყო, **შატაკიშვილის** ბრწყინვალე ინდივიდუალური რეიდი ზუგდიდელებმა საჯარიმოს შიგნით უხეშად რომ შეაჩერეს. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც **ნოზაძემ** ძელისა და ხარიხის გადაკვეთას გაარტყა. გამოუყენებელი პენალტმა ცუდად იმოქმედა „დილაზე" „მგლები" კი ჟინით აანთო. ამ დროისთვის უკვე შეტევაზე მკვეთრად აქცენტირებულმა სტუმრებმა მთელი ძალებით იწყეს იერიშების განხორციელება, მასპინძლები კი მთელი გუნდითვე დაცვით თამაშზე გადაერთვნენ. 64-ე და 71-ე წუთებზე ძალიან კარგი საჯარიმო დარტყმები შეასრულა **მურთაზ კაკაბაძემ**, თუმცა ორჯერვე ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. საერთოდაც **კეჩხუაშვილს** აშკარა გოლისგან არ უხსნია თავისი გუნდი, ვინაიდან **ბესიკ შეროზიას** შეგირდებს დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტე აკლდათ და უმეტესწილ კარს აცილებდნენ დარტყმებს, მხოლოდ ტერიტორიული უპირატესობა კი, ბუნებრივია, არ მოიტანს გოლს.

ცვლილებებიც მწვრთნელების მიზნებიდან გამომდინარე გაკეთდა, შეროზიამ თავდამსხმელები შეუშვა მოედანზე, ხოლო ვარდოსანიძემ მცველები. სტუმართა მონდომებამ შედეგი ვერ გამოიღო, რადგან „დილამ" საპასუხოდ არანაკლები მონდომება დაუპირისპირა მათ, ანგარიშის შეცვლის საშუალება არ მისცა მეტოქეს და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ბორჯომი ავარიაში მოყვა

მსხვერპლი არაა, კლუბის ექვსი წევრი დაშავებულია

ბათუმში სათასო მატჩზე მიმავალი "ბორჯომის" ფეხბურთელები ქუთაისის მახლობლად, ავტოავარიაში მოყვნენ. აქედან გამომდინარე, თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის მატჩი "ბათუმსა" და "ბორჯომს" შორის დღეს აღარ გაიმართება. ავარიის შედეგად "ბორჯომის" 5 წევრი დაშავდა. დაწვრილებით მომხდარსა და შედეგებზე გუნდის უფროსს ვახტანგ მაისურაძეს დავეკითხეთ.

- შემოხვევის ადგილზე ეს წუთია, მოვედი. ორივე ნაავარიევი მიკროავტობუსი აქაა. საპატრულო პოლიციაც აქაა. ჩვენი გუნდის დაშავებული ფეხბურთელები ქუთაისის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ეს ავარია ქუთაისის მახლობლად, სოფელ სიმონეთთან მოხდა. ღმერთმა გადმოგვხედა, რომ მსხვერპლი არაა.

- რამდენად მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

- ჩვენი კლუბის მიკროავტობუსს, საპირისპირო მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსი დაეჯახა.

- სამგზავრო მიკროავტობუსი იყო?

- არა, პროდუქტები გადაჰქონდა.

- თუ დაადგინეს ვინაა დამნაშავე?

- მეორე მიკროავტობუსის მძღოლის ბრალია. საპატრულო პოლიციამ ეს უკვე დაადგინა.

- კარგია, რომ მსხვერპლი არაა, მაგრამ დაშავებულ ფეხბურთელებს რა სახის ტრავმები აქვთ?

- ჩვენი კლუბის წევრებს ტვინის შერყევა, მოტეხილობა, დაჟეჟილობა აღენიშნებათ. რამდენიმეს გულის რევის შეგრძნებაც აქვს. მიკროავტობუსი გვერდიდან კი არა, პირდაპირ დაეჯახა ჩვენს. ავარია ყველამ დაინახა და თითქმის ყველა მათგანი ფსიქოლოგიურ შოკშია... კიდევ კარგი საჰაერო ბალიშები გაიხსნა, თორემ დაზიანება და ტრავმები უფრო მძიმე იქნებოდა.

- იქნებ კონკრეტულად გვითხრათ თუ ვინ არიან დაშავებულები...

- ფეხბურთელებიდან გიორგი მემარნიშვილი, შოთა ჯიქია, ბექა შეყრილაძე, თემურ ღონღაძე, შოთა ბაბუნაშვილი... ღონღაძეს თავისა და ფეხის ტრავმა აქვს. მეორე მწვრთნელ გიორგი სუხიაშვილს წინასწარი მონაცემებით ფეხი აქვს მოტეხილი. მას სურათი უნდა გადაუღონ და მოტეხილობასთან გვაქვს თუ არა საქმე, ამის მერე გაირკვევა.

- თქვენ მიერ ჩამოთვლილთაგან, ყველაზე მძიმედ ვინაა დაშავებული?

- გუნდის მეორე მწვრთნელი გიორგი სუხიაშვილი.

ვახტანგ მაისურაძესთან საუბარს ამით მოვრჩით.

მოგვიანებით "ბორჯომის" პრეზიდენტს **დავით გელაშვილს** დავუკავშირდით.

"ღმერთმა დაგვიფარა, რომ გადავრჩით და ყველაფერმა მსხვერპლის გარეშე ჩაიარა. რაც შეეხება ტრავმებს, ფეხბურთელები გადარჩენილები რომ არიან, ამაზე ისიც მოწმობს, რომ ჩვენი კლუბის მიკროავტობუსი გადასაგდებია. თუმცა დაშავებულები იყვნენ კარგად და ამას ვინ ჩივის? ბუნებრივი, ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა უმალ საქმის კურსში ჩავაყენეთ. მათ გაითვალისწინეს ჩვენი მდგომარეობა და "ბათუმთან" 1 ნოემბრის თამაში გადაგვიდეს. თუმცა 5 ნოემბერს გვაქვს კიდევ სათასო მატჩი და ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რომელი ფეხბურთელები შეძლებენ თამაშს. ტრავმებთან ერთად ფეხბურთელებმა დიდი ფსიქოლოგიური შოკი მიიღეს. მათ ხვალ კიდევ დავაკვირდებით და ვნახავთ, თუ რა მდგომარეობა იქნებიან. შესაძლოა, 5 ნოემბრის მატჩისთვის დუბლშემადგენლობიდან მოგვიხდეს ფეხბურთელების დამატება", - გვითხრა დავით გელაშვილმა.

ღამით ბორჯომელთა გუნდის უფროს ვახტანგ მაისურაძეს კიდევ ერთხელ დავუკავშირდით:

"სხვა მიკროავტობუსი დავიქირავეთ და კლუბის რამდენიმე წევრთან ერთად ბორჯომში დავბრუნდით. რაც შეეხება დაშავებულ ფეხბურთელთა მდგომარეობას, მათ გართულებები არ აქვთ. თუმცა არ მგონია, ბაბუნაშვილმა და მემარნიშვილმა შეძლონ მოედანზე გასვლა. კითხვის ნიშნის ქვეშაა შოთა ჯიქიას თამაშიც... სხვას ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით".

დავით ცაბაძე

ბაბუნაშვილის ტრავმა სერიოზულია და როდის ითამაშებს, ჯერ უცნობია

www.kazbegi.com

გაახლები... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერები

მაკარიძე უკვე მიუნხენშია

ნაკრების მეკარე ხვალ ლომებთან ივარჯიშებს

გიორგი მაკარიძე უკვე გერმანიაშია...

გუშინდელ ნომერში ვწერდით, **კლაუს ტოპმიოლერმა** ეროვნული ნაკრების მეკარე **გიორგი მაკარიძეს** "მიუნხენ 1860"- ში ორი კვირით მომზადება რომ შესთავაზა. გუშინ შევიტყვეთ, რომ 17 წლის ქართველი მეკარე უკვე გერმანიაშია.

"გიორგი უკვე გერმანიაშია. მას მიუნხენის აეროპორტში კლუბის წარმომადგენლები დახვდნენ და სასტუმროში დააბინავეს. ის მათე ღვინიანიძესთან ერთადაა და უკვე ხვალიდან ვარჯიშს შეუდგება. მიუნხენში ის 2 კვირას დაჰყოფს", - გვითხრეს გიორგის ოჯახში.

როგორც ირკვევა გიორგი მაკარიძე 17 და 21 ნოემბრის მატჩებისთვის გერმანიაში მოემზადება.

გუშინვე გერმანულ პრესაში მორიგი სტატიები გამოქვეყნდა "კაიზერსლაუტერნისა" და კლაუს ტოპმიოლერის შესაძლო მომავალ თანამშრომლობაზე. გერმანელები ახალს არაფერს ამბობენ ამასთან დაკავშირებით. ერთადერთი სიახლე თავად ტოპმიოლერის კომენტარია: "კაიზერსლაუტერნში" მწვრთნელობაზე არც კიო მიფიქრია, რადგან 99.9 პროცენტით უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს გავაგრძელებ და კვლავაც ეროვნული ნაკრებს გავწვრთნი".



...ცქიტიშვილი წასასვლელად ემზადება

პრინციპში არც ამაშია რაიმე განსაკუთრებული სიახლე, რაკიღა ეს ამბავი ფაქტობრივად, კარგა ხნის გადაწყვეტილია. კლუბისა და მწვრთნელის თანამშრომლობის საკითხი დღეს უნდა გადაწყდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შეხვედრაზე. მანამდე კი ტოპიმ კიდევ ერთხელ თქვა "კაიზერსლაუტერნის" გასაგონად, **ლევან ცქიტიშვილი** აიყვანეთო. შესაძლოა, კლუბმა ამაზე ახლა თუ არა, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში იმსჯელოს.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ გია გეგუჩაძესთან

ბევრი რამ ჩვენი ბრალიცაა

ტოპმიოლერმა ცაიტნოტური ნაბიჯები გადადგა



გია გეგუჩაძე

საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები - ამ თემაზე "ლელო" უკვე ესაუბრა რამდენიმე რესპონდენტს, დღეს კი ჩვენს კითხვებს გია გეგუჩაძე პასუხობს, თბილისის "დინამოს" ყოფილი მწვრთნელი, ვინც ახლა პირველლიგელი "გაგრას" სპორტული დირექტორია.

- უცხოელი მწვრთნელები ასაკობრივ ნაკრებებში - ამ ეტაპზე ეს ჩვენთვის მისაღები ვარიანტია?

- ზოგადად, ასაკობრივ ნაკრებებში უცხოელი მწვრთნელების მონვევის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ თუ კონკრეტულად განვიხილავთ ჩვენ სიტუაციას, ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელებს აქტივში არც შედეგი აქვთ და არც თამაშის ხარისხი. უფრო იმის მომხრე ვარ, ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებში ქართველი მწვრთნელები რომ დასაქმდნენ.

- კონკრეტულად 21-წლამდელთა ნაკრებზე გკითხავთ. მიგაჩნიათ, რომ ამ ასაკში უფრო დიდია სხვაობა ქართველ და ევროპელ ფეხბურთელებს შორის ვიდრე სხვა ასაკობრივ ნაკრებებში? ფაქტია, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს არც სხვა მწვრთნელების ხელში მიუღწევია მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის...

- განსხვავება დიდი არ არის და შემიძლია დაგიმტკიცოთ, რომ საქართველოს ჰყავს ნიჭიერი ფეხბურთელები ამ ასაკშიც. შოთა გრიგალაშვილს და კახა მახარაძეს თბილისის "დინამოში" ევროტურნირზეც უთამაშიათ. გამოვარჩევდი ვლადიმერ დვალიშვილსაც, ვინც საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. გურამ კაშია, გულვერდ თომაშვილი, გიორგი ლორია... მოკლედ, ჩვენს 21-წლამდელთა ნაკრებს ფეხბურთელთა რესურსის მხრივ არ უნდა უჭირდეს და იგივე სიტუაციაა დანარჩენ ასაკობრივ ნაკრებებშიც.

- თუ განსხვავება დიდი არ არის, რჩება ერთი მიზეზი წარუმატებლობების ასახსნელად...

- საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში ადრე არ იყო სათანადო პირობები გუნდის კარგად მოსამზადებლად, ახლა კი სულ სხვა ვითარებაა - ასეთი კარგი პირობები არც ერთ ქართველ მწვრთნელს არ ჰქონია. ასეთ დროს კი წარუმატებლობებზე პასუხისმგებლობა მწვრთნელებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე. მწვრთნელი მაშინ ამტკიცებს თავის უნარს, როცა გუნდს აქვს შედეგი და თამაშის კარგი ხარისხი.

- ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე - თქვენი აზრით, მათ ასაკობრივ ნაკრებებშიც უნდა ითამაშონ და ეროვნულშიც?

- თუ ეს ფეხბურთელები ეროვნული ნაკრებისთვის გვინდა, მათი 19-წლამდელთა ნაკრებში თამაში დაუშვებლად მიმაჩნია. ეროვნული ნაკრებიდან ქვედა საფეხურზე რომ ჩამოგყავს ფეხბურთელი, მას ძალიან გაუჭირდება განეწყოს ქვედა საფეხურზე სათამაშოთ.

- მიგაჩნიათ, რომ ასაკობრივ ნაკრებებში სელექცია სწორად ჩატარდა? ყველას მისცეს შანსი, ვინც ამას იმსახურებდა?

- "დინამოს" აკადემიაში ბევრი ნიჭიერი 1990 წელს დაბადებული ფეხბურთელია, "ზესტაფონშიც", ცხინვალის "სპარტაკშიც", "გაგრაშიც", მაგრამ მათ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ასაკობრივი ნაკრებებიდან.

- თქვენ არ ისურვებდით რომელიმე ახალგაზრდული ნაკრების გაწვრთნას? გია გეგუჩაძე რომ იყოს რომელიმე ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი, რა შედეგს შეგვპირდებოდა?

- არ ვითხოვ, რომ მე დამნიშნონ რომელიმე ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელად. ზოგადად კი ჩემი კრედო ასეთია - უმაღლესი მიზნები და თამაშის მაღალი ხარისხი. არ წავალ ისეთ გუნდში, რომელსაც ასეთი მიზნები არ ექნება.

- საქართველოს ძალიან ცოტა საინტერესო ახალგაზრდა მწვრთნელი ჰყავს - ეთანხმებით ამ შეხედულებას?

- არა, ჩვენ გვყავს გიორგი დევდარიანი, გიორგი კიკნაძე. მოდიან სხვა საინტერესო ახალგაზრდებიც - გიორგი ჭიაბრიშვილი და გურამ ასპინძელაშვილი "გაგრიდან", დავით კევლიშვილი "დინამო 2"-დან.

- და რას ფიქრობთ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელზე?

- ნაკრების ასეთი შედეგი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. კლაუს ტოპმიოლერი ცაიტნოტურ ნაბიჯებს დგამს. პრესის ზეწოლის შემდეგ მან ყურადღება მიაქცია ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს. მიიჩნევდა, რომ უკრაინის ჩემპიონატში მოთამაშე დავით კვირკველია არცთუ მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო ნაკრებისთვის, მაგრამ შოტლანდიასთან მოგებულ შეხვედრაში კვირკველიამ დაამტკიცა, რომ მაღალ დონეზე სათამაშოდ მომზადებულია. მერყეობა მწვრთნელისთვის არ არის კარგი თვისება, მწვრთნელი პრინციპული და თავდაჯერებული უნდა იყოს. ბევრი რამ ჩვენი, ქართული მხარის ბრალიცაა - კარგად უნდა გავრკვეულიყავით, ტოპმიოლერის მოწვევისას რა იყო ჩვენი ნაკრების მიზანი.

- ტოპმიოლერი მომდევნო შესარჩევშიც უთავკაცებს საქართველოს ნაკრებს - რას ელით ჩვენი ეროვნული გუნდისგან უახლოეს ორ წელიწადში? მოდიან 17 წლის მაკარიძე, ყენია და მჭედლიძე, მაგრამ მხოლოდ მათით ალბათ ვერ მოხდება თაობათა სრულყოფილი ცვლა. არ ჩანან საშუალო ასაკის ისეთი ფეხბურთელები, რომლებმაც უნდა შეცვალონ 30 წელს გადაცილებული ფეხბურთელები ან მძლავრი კონკურენცია გაუწიონ მათ...

- ეს მართლაც პრობლემატურია ჩვენთვის. შოთა არველაძის შემცვლელს ასე უცებ ვერ გამოვძებნით, მჭედლიძემ ამ დონემდე რომ მიაღწიოს, ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს. ტოპმიოლერი რომ მოვიდა, რამდენიმე თვე სირაძეს ამხანაგური მატჩებისთვისაც არ იძახებდნენ ნაკრებში და ალბათ მასმედიისგან ზეწოლამ მნიშვნელოვნად განაპირობა მისი ნაკრებში ყოფნა. მიმაჩნია, რომ სირაძის გარდა ნაკრებში დაწინაურების უფრო მეტი შანსი უნდა მიეცეს დიმიტრი ტატანაშვილს. საჭიროა რუსეთში, უკრაინაში და სხვა ქვეყნებში ნაკრების მწვრთნელის ჩასვლა, რათა ის იქ უშუალოდ დააკვირდეს ნაკრების ფეხბურთელებს.

- როგორ ფიქრობთ, ალექსანდრე იაშვილი აღარ ჭირდება ნაკრებს?

- უიაშვილოდ საქართველომ შოტლანდიას მოუგო და ასეთ დროს ძნელია მწვრთნელის გამტყუნება. თუმცა შესაძლოა, რომ იაშვილი კვლავაც ძალიან გამოადგეს ნაკრებს - ის ხომ თამაშში მთელ სულს და გულს დებს.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

1001-ე სევდა

გოდერძი ჩოხელს აქვს მოთხრობა "ადამიანთა სევდა", რომლის მიხედვითაც მერე ფილმი გადაიღეს. იქ ერთი მოხუცებული გმირია, სევდის შემგროვებელი (მის როლს გურამ პეტრიაშვილი ასრულებს), რომელიც დადის და ადამიანთა სევდას აღრიცხავს. სევდა და სატკივარი ფეხბურთსაც არ აკლია. სიმართლე გითხრათ, ამ რუბრიკის საჭიროება იმპროვიზებულად დაიბადა. ამირან მინაშვილი, ყოფილი ფეხბურთელი და თბილისის "ლოკომოტივის" ყოფილი მწვრთნელი დაგვიკავშირდა და საჭირბოროტო თემაზე გვესაუბრა. ასე დაიბადა რუბრიკის - "ათასმეერთე სევდა" - შექმნის იდეაც, სადაც ქართულ ფეხბურთში არსებულ მდგომარეობაზე სპეციალისტები სატკივარს გამოხატავენ. ვფიქრობთ, ასე სათქმელიც არ დაიმალება და მუშაობაში ფეხბურთის ფედერაციასაც შეეშველებით. სიმართლე და ჯანსაღი კრიტიკა ყველას სჭირდება. მთავარია, რომ ეს ყველაფერი გულშემატკივრული იყოს და არა ჩასაფრებულის პოზიცია.

დამისახელეთ ნაკრები მეოთხე, მეხუთე ან მეექვსე კალათაში, რომელსაც ჩვენნაირი მოთამაშეები ჰყავს?

დავით მუჯირი

- თქვენ რა გადარდებთ, ბატონო ამირან?

- თქვენ უნდა მკითხოთ, რა არ მადარდებს. მე შინაურ მეურნეობაზე მსურდა საუბარი, ბოლო დროს ხშირად მესმის უცნაური საუბრები ქართული ფეხბურთის წინსვლაზე და აქცენტი ეროვნულ ჩემპიონატში ვითარების გამოსწორებაზე კეთდება.

გაბრაზებული კაცის პოზიციიდან ნაღდად არ ვსაუბრობ. ჩვენი ჩემპიონატი წარმატებული რომ არ არის, უმაღლესი ლიგის გუნდების სახელები მეტყველებს. იქ ვერ იპოვნით ისეთ სახელიან გუნდებს, როგორებიც არიან ქუთაისის "ტორპედო", ფოთის "კოლხეთი", ლანჩხუთის "გურია", ჩემი მშობლიური "სამტრედია", ისინი ფსკერზე არიან, ქართული ფეხბურთის ფესვები.

სამაგიეროდ, მათ ადგილას სხვები თამაშობენ. ცუდი არაა ახალი გუნდების გამოჩენა, მაგრამ ტრადიციულ საფეხბურთო ქალაქებში ფეხბურთს სხვა სურნელი გააჩნია. ძველები დარჩნენ "დინამო", "ლოკომოტივი" და სადღაც ბოლოში "ბათუმი".

"დინამოში" ექვსი ლეგიონერი თამაშობს, პლუს მეშვიდე მწვრთნელია. მათი დახმარებით "მერანის", "დილის" დამარცხება არაა საქმე. უეფას თასზე "დინამოს" გამოსვლა კი ყველამ ვნახეთ, მათ გუნდი გააძლიერეს?

- რა გამოდის, ბატონო ამირან, ლეგიონერებზე უარი ვთქვათ? ეს 21-ე საუკუნეა.

- ეს არც მიგულისხმია, მაგრამ ყველაფერს აქვს ზომა-წონა, იქნებ, ანალოგიური პირობები ქართველ ლეგიონერებს შევუქმნათ, რომლებიც აზერბაიჯანსა და ყაზახეთში თამაშობენ.

მაგალითისთვის "ოლიმპს" დავასახელებ. წავიდა ონიანი და მის ადგილას მასსუანგა მოიყვანეს, აფციაურის პოზიციაზე - ყივკოვიჩი, "ოლიმპი" ამით დაიშალა. უცხოელს რომ ვახარჯავთ, ჩვენი საუკეთესო მოთამაშეების დატოვება ვინმეს უცდია?

- ბუბა ტყავაძემ ამაზე უპასუხა, რომ ნავალოვსკის ვერ შეუთანხმდა, გველესიანი დაიმტვრა და იძულებული გახდა დობეში შეეძინა, თანაც, ქართველზე ბევრად იაფად. რა ექნათ?

- მე სხვა რამეს ვამბობ, აზერბაიჯანში და ასეთ ქვეყნებში წასული ქართველებისთვის იმავე პირობების შეთავაზებას ვინმე ცდილობს?

- ტყავაძემ ამაზეც ისაუბრა. სამწუხაროდ, ქართველები იმ უცხოელებზე მეტს ითხოვენ.

- ყველა ბევრს ითხოვს? არ არსებობს. მაგალითად, ზელიჩის ან კრშკოს ნაცვლად გამეზარდაშვილის აყვანა არ ჯობდა? ეს არის თანამედროვე მცველი, რომელიც შეტევებში წარმატებით ერთვება და თავით მაგრად თამაშობს. მასზე ქართულმა გუნდებმაც უარი თქვეს, ნაკრებმაც და ასე იკარგება ძალიან ნიჭიერი ბიჭი. ამას რატომ ვაკეთებთ?

- ვერავინ გადაიხადა მისი საფასური და რა ექნათ, თორემ მის დატოვებას რა ჯობდა.

- მივიდა კი აქამდე საქმე? იქნებ, ზელიჩზე ნაკლებს ითხოვდა? მე კითხვებს ქართული ფხებურთის ინტერესებიდან ვსვამ და არა ვინმესადმი ცუდი დამოკიდებულების გამო.

ფაქტია, რომ "ოლიმპი" ქართველების წასვლით და უცხოელთა ჩამოყვანით დასუსტდა. აქ ძლიერი ლეგიონერები არ ჩამოდიან და ვინც ჩამოდის, იმდენს ითხოვს, რამდენზეც ქართველებიც დათანხმდებოდნენ.

ან აზერბაიჯანში წავიდა ვინმე აფციაურის სანახავად? ვიცით, რომ ეს ბიჭი თამაშებს იგებს და მაგარ ფორმაშია. ვინმე ინტერესდება? ან იმავე გამეზარდაშვილს ვინმე დააკვირდა? ერთხელ დასვა ტოპმიოლერთან შეხვედრისას ძოძუაშვილმა მისი საკითხი და თურქეთთან მიიწვიეს. მერე ის ჩვენთვის დაიკარგა.

ჩემი სიმპათია "ამერსა" და "ვიტ ჯორჯიას" ეკუთვნით, რადგან სწორი მენეჯმენტით ქართული ფეხბურთის სამსახურში არიან, ქართულ კადრებს ეყრდნობიან და მათი წარმატებაც თვალშისაცემია.

ეს ერთი პრობლემაა. ახლა ბავშვთა ფეხბურთზე მინდოდა მესაუბრა. დღეს მისი ცენტრი თბილისშია და დედაქალაქი თავკომბალას დაემსგავსა. აქ ნებისმიერი ასაკის ბავშვი ჩამოჰყავთ ნებისმიერი რაიონიდან. მათ დიდ ფეხბურთში მისვლის იმედი დედაქალაქიდან აქვთ.

ეს იმ დროს, როდესაც რაიონებში არის ბუნებრივი პირობები, ბუნებრივი მოედნები. სამტრედიის მაგალითზე ვიტყვი, რადგან იქაურობისა მეტი ვიცი და მეტად მტკივა. იქ კლიმატია ისეთი, მოედნების მოწყობა პრობლემა არაა. ფედერაციის კომისიამ ცენტრალურ სტადიონი შეამონმა და საფარი, ინფრასტრუქტურა, ტრიბუნები, ყველაფერი მოიწონა. ეს არის გარემონტებული სტადიონი პლასტმასის სკამებით, აუზით, ტრენაჟორებით, დამხმარე მოედნებითა და სათავსოებით.

არადა, რომ მივედი, სტადიონს ჩემზეღა ბოქლომი ედო და მოედნები არ იტვირთებოდა, არც ერთ მოედანზე არ ვარჯიშობდნენ. მუზეუმი ხომ არაა, სტადიონია.

სამტრედიაში არის ბავშვთა ჯგუფები, მაგრამ ბევრი ბავშვი თბილისში წამოვიდა. როცა იქ მთელი ინფრასტრუქტურაა, თბილისში რატომ უნდა მოდიოდნენ და გუნდს კარ და კარ ეძებდნენ?

უფრო კონკრეტულად რომ დავინტერესდი პრობლემებით, სამტრედიის გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ვესაუბრე და კაცი გავგიჟდი. ამ საფეხბურთო ქალაქში ფეხბურთის განვითარებაზე პასუხისმგებელი არავინაა, არც კოორდინატორი.

- ანუ ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის ბიურო?

- დიახ, ასეთი რამ არ არსებობს! ასეევა რაიონების დიდ ნაწილში და ამიტომაცაა მოუწესრიგებელი, ქაოსური ბავშვთა ფეხბურთი. ესაა მთელი პრობლემა - კოორდინაცია. სამტრედიის უზარმაზარი პრტენციალი ამიტომაც იკარგება. არადა, რა ტალანტები არიან, რომ იცოდეთ... უსისტემობამ განაპირობა ბავშვთა გადინება.

ვიმეორებ, ასეთივე ქაოსია სხვა რაიონებში, სამეგრელოში, გურიაში... კახეთში მოიფიქრეს და ერთი გუნდისთვის მთელი რეგიონი თამაშობს. აი, ეს საქმეა, რაიონებში, უმთავრესად, ფეხბურთი ნებაზეა მიშვებული. როცა კოორდინაცია არაა, ამის შემდეგ ლოგიკურია დღევანდელი ვითარება. არადა, ბავშვთა ფეხბურთია ყველაფრის ქვაკუთხედი. ამისთვისაა საჭირო პროგრამები. რა ვითარებაში ვართ, ხომ ვხედავთ, ვერც ერთმა ასაკობრივმა ნაკრებმა ჯგუფიდან გასვლა ვერ მოახერხა. 19-წლამდელთა გამოსვლა კი სამარცხვინო იყო. ამ დროს, შეხედეთ, რა ტალანტები თამაშობდნენ - ყენია, მჭედლიძე, თარგამაძე, ბენაშვილი, საოცარი ბავშვები.

- ნაკრები რეზინის არაა და ტოპმიოლერსაც აქვს საკუთარი გემოვნება. ყველას აზრს ვერ გაითვალისწინებს და ზოგიერთს მოიმდურებს. ესაა ფეხბურთი.

- მეტოპმიოლერის კვალიფიკაციაზე და გემოვნებაზე ენა როგორ მომიტრიალდება. უბრალოდ, მის ხელში შედეგი არ ჩანს.

- მითხარით, ამ ნაკრებს 20 წელიწადია ვერავინ ვერაფერი გაუგო და გერმანელი წელიწადნახევარში რას მოახერხებდა, თანაც, ასეთ ჯგუფში? მეტისმეტს ხომ არ ვთხოვთ ძალიან მცირე დროში?

- ვერ დაგეთანხმებით, რადგან ქართულ ფეხბურთში დიდი რესურსია. დამისახელეთ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კალათაში ნაკრები, რომელსაც ჩვენნაირი მოთამაშეები ჰყავს? ამის შემდეგ შედეგებს გადავხედოთ. ჩვენ სერიოზული სენი შეგვეყარა - ვეძებთ წაგების მიზეზებს და რესურსებს არ და ვერ ვიყენებთ.

ამ რესურსების გამოყენებაზე ფიქრი მართებთ მათ, ვისაც ხელეწიფება ქართული ფეხბურთის გამოცოცხლება. საქართველოში უნდა დავაბრუნოთ აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და ასეთ ლიგებში წასულები.

ჩვენ ისტორია, გამოცდილება, ნიჭი ნაღდად არ გვაკლია და რატომ ვცდილობთ მალტელებთან და ალბანელებთან ძალით გათანაბრებას? ჩვენ ხომ ფარერები არ ვართ. ბოლოს და ბოლოს, თასების თასი ავიღეთ და საბჭოთა კავშირის, საკმაოდ ძლიერი ჩემპიონატის მოწინავეთა შორის ვიყავით. დღევანდელ გასაცოდავებულ შედეგებს ასეთი ისტორიის ქვეყანა არ იმსახურებს.

ეს არაა უნიჭობის და სისუსტის ბრალი, მიზეზი სხვა რამაა.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

მუჯირი ტარხანოვთან კონფლიქტს უარყოფს

ქართველის გოლი ოცეულში მერვეა

გასულ უქმეებზე რუსულ პრემიერლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა, რომელშიც ქართველი ლეგიონერებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის გამოირჩა "კრილიას" ნახევარმცველი ***დავით მუჯირი****, რომელმაც მოსკოვის ცსკა-ს გოლი გაუტანა. როგორც წინა, "რუბინთან" მატჩში, მუჯირი ამჯერადაც შეცვლაზე შევიდა. თუმცა შედარებით მეტი დრო დაჰყო მოედანზე.*

"რომ გითხრათ 0:3-ის შემდეგ ცსკა-ს სტუმრად მოვუგებდით-თქო, არარეალური იქნება. თუმცა 0:3-ს შემდეგ, ჯერ ჩემი გოლით შევამცირეთ სხეაობა, მერე კიდევ ერთი გავიტანეთ და დაცვაში დაშვებული შეცდომები რომ არა, ფრის გახერხება ნამდვილად შეიძლებოდა. სამწუხაროა, რომ ჩვენი გუნდი, როგორც შეტევაშია აქტიური, დაცვაში ისეთი საიმედოობით არ გამოირჩევა და ალბათ ეს იყო მარცხის მიზეზი", - აცხადებს დავით მუჯირი რუსულ პრესასთან საუბარში.

მუჯირს "კრილიას" წინა თავკაც ***სერგეი ობორინთან****, რბილად რომ ვთქვათ, თბილი ურთიერთობა არ ჰქონდა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, გავრცელდა ხმები სამარელთა გუნდის მწვრთნელ* ***ალექსანდრ ტარხანოვისა*** *და მუჯირის კონფლიქტზე და დათოს ამაზეც დაეკითხნენ:*

"ვერ გავიგე, საიდან მოდის ასეთი ხმები, როცა საამისოდ არანაირი საფუძველი არ არსებობს. თუ იმიტომ, რომ ზედიზედ ორ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში არ ვიყავი, ამასაც თავისი მიზეზები აქვს. ტრავმა მქონდა, რის გამოც 2 კვირის განმავლობაში არ მივარჯიშია. "რუბინთან" მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე განვაახლე ვარჯიში, ფორმაში არ ვიყავი და ამიტომაც იყო, მეორე ტაიმში რომ მომიწია თამაში. აი, ცსკა-სთან თამაშამდე უკვე ჩვეულ ფორმაში ვიყავი, მაგრამ სასტარტო შემადგენლობას მთავარი მწვრთნელი ადგენს. შესაძლოა ტარხანოვმა არ შეცვალა "რუბინთან" გამარჯვებული შემადგენლობა. კიდევ ერთხელ ვამბობ, მწვრთნელთან არანაირი კონფლიქტი არ მაქვს, პირიქით, ჩინებული ურთიერთობა მაკავშირებს", - ამ სიტყვებით უარყო კონფლიქტი ქართველმა ნახევარმცველმა.

დავით მუჯირთან დაკავშირებით ერთსაც გამცნობთ. ერთ-ერთმა რუსულმა ვებგვერდმა, გასულ ტურში გატანილი ბურთების ოცეული წარმოადგინა საუკეთესო გოლის გამოსავლენად. მუჯირის მიერ გატანილი გოლი მერვე ადგილზე გავიდა.

დავით ცაბაძე

გიგი ტარყაშვილი საფეხბურთო დონეს აიმაღლებს ედუარდო დელგადოსთან არგენტინაში



გიგი ტარყაშვილი დაიბადა 1990 წლის 5 აპრილს, თბილისში. 5 წლის ასაკიდან დაიწყო ფეხბურთის თამაში ს/კ "ნორჩ დინამოელში", სადაც ირიცხებოდა 3 წელი. ამპლუით მარჯვენა მცველია. მისი მწვრთნელი იყო თამაზ სამხარაძე. შემდეგ, თამაში გააგრძელა ოლიმპიური მომზადების ცენტრში (კვლავ თამაზ სამხარაძესთან). ტარყაშვილმა გადაწყვიტა, საფეხბურთო დონე აიმაღლოს არგენტინაში, წარსულში ცნობილ ფეხბურთელთან და ამჟამად მწვრთნელ ედუარდო დელგადოსთან, ხოლო შემდეგ რამდენიმე წელი ითამაშოს არგენტინულ გუნდში.

www.kazbegi.com

გაეხსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



მიშელ პლატინი

პლატინი ვალს საქართველოსაც დაუბრუნებს

ჩანაფიქრი, რომელსაც რევოლუცია დაარქვეს

30 ნოემბერს, უეფას აღმასკომის სხდომა გაიმართება და შესაძლოა, რევოლუციური ცვლილებებიც მიიღოს - მნიშვნელოვნად შეიცვალოს ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ფორმატი, რომელიც ჩვენნაირი ქვეყნების გუნდებს ამ ტურნირში მონანილეობის შანსს გაუზრდის.

მიშელ პლატინი ნლეულს აირჩიეს უეფას პრეზიდენტად და მისი გამარჯვება არჩევნებში მნიშვნელოვნად განაპირობა ხმებმა უეფას აღმოსავლეთი ასოციაციებიდან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც პლატინის დაუჭირა მხარი.

ახლა კი პლატინი საპასუხო სვლას ამზადებს. ფრანგული პრესა ვარაუდობს, რომ ის რევოლუციურ ნაბიჯებს გადადგამს და ამით გადაუხდის მადლობას აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს.

პლატინი მიიჩნევს, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე კვლავინდებურად 32 გუნდმა უნდა ითამაშოს, მაგრამ ჯგუფური ეტაპის საგზურს თუ მოქმედი წესით მყის16 კლუბი იღებდა, ანი 22-მა უნდა მიიღოს - ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების გამარჯვებული, სამსამი კლუბი იმ ქვეყნებიდან, რომლებიც უეფას საკლუბო კოეფიციენტების რეიტინგში 1-3 ადგილებზე არიან; ორ-ორი გუნდი, რომლებიც ამ რეიტინგში 4-6 ადგილზე არიან და თითო გუნდი იმ ეროვნული ასოციაციებიდან, რომლებიც 7-12 ადგილზე არიან.

რეფორმის არსი ნათელია - ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე უფრო მეტი ქვეყნის წარმომადგენელი მოხვდეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საკლუბო კოეფიციენტების რეიტინგში 38-ე ადგილზეა, ჩვენ ისლანდიაც კი გვასწრებს და მე-12 ადგილიდან შორს ვართ, თუმცა პლატინის მიზნები ჩვენთვის, ალბათ, მაინც საყურადღებო უნდა იყოს.

რჩება კიდევ 10 ადგილი ჩემპიონთა ლიგაში და აქ უკვე აღარ იქნება აუცილებელი, რომ რეიტინგში 12 საუკეთესო ქვეყანაში იყო. მე-12 ადგილზე ქვეევთ მყოფი 40 ქვეყნის ჩემპიონი სამ საკვალიფიკაციო რაუნდში გაითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის 6 საგზურს.

დანარჩენ 4 საგზურს საკლუბო რეიტინგში პირველ 16 ადგილზე მყოფი ქვეყნების თასის მფლობელები გაითამაშებენ.

ყველაფერი ეს ჯერ მხოლოდ პლატინის ჩანაფიქრია და თუ მას 30 ნოემბრის აღმასკომზე გაიტანენ დასამტკიცებლად, ალბათ ბევრი მოწინააღმდეგეც ეყოლება.

G 14-ის ხელმძღვანელი **ჟან-მიშელ ოლა** აცხადებს, რომ პლატინის რევოლუციურმა შეხედულებებმა, შესაძლოა, დააჩქაროს G 14-ის ნევრების გაზრდა. ოლა იმასაც დასძენს, რომ პლატინი უცნაურად იქცევა და გაუმართლებელ რისკზე მიდის.

დავით თავართქილაძე

ლეგიონი

ხიზანიშვილი დაბრუნდა, ონიანმა თასის მფლობელს გაუტანა

სამშაბათ-ოთხშაბათს ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში სათამაშო დღეები იყო. ქართველთა მონაგარი ამჯერადაც მწირია, მაგრამ ჩვენთვის გამოსარჩევი მოვლენები მაინც მოხდა. აქედან მთავარი, ალბათ, "ბლექბერნის" ძირითადში ზურაბ ხიზანიშვილის დაბრუნება და გიორგი ონიანის პირველი იენური წარმატებაა.

ონიანის სამერვედფინალო პენალტი

გერმანიაში თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩები გაიმართა. ექვსი "ქართული" კლუბიდან მერვედფინალში სამმა გააღწია. მართალია, ამ გამარჯვებებში ჩვენებურებს ლომის წილი არ დაუდიათ, მაგრამ საკუთარი გუნდების წარმატებაში **მათე ღვინიანიძემ** და **გიორგი ონიანმა** თავისი როლი მაინც ითამაშეს.

ღვინიანიძის "მიუნხენ 1860-მა" გუშინწინ უმასპინძლა "მაინცს". როგორც იცით, ახალგაზრდა ქართველ მცველს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი, მაგრამ ბუნდესლიგური სასჯელი თასის გათამაშებაზე არ ვრცელდება და მათემაც ძირითად შემადგენლობაში, დაცვის ცენტრში ითამაშა. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, "ცისფერმა ლომებმა" მეტოქე შეხვედრის მიწურულს გატეხეს.

კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა "კარლ ცაისს" გადახდა, რომელიც თასის აწ უკვე ყოფილ მფლობელ "ნიურნბერგს" დაუხვდა. კლასით უფრო ძლიერი სტუმრები ჯერ ძირითად დროში დანინაურდნენ, მაგრამ იენელებმა მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა შეძლეს. დამატებით დროში "ნიურნბერგი" კიდევ ერთხელ გავიდა წინ, მაგრამ 114-ე წუთზე მასპინძლებმა წონასწორობა კიდევ ერთხელ აღადგინეს.

"კარლ ცაისის" ლიტველმა მწვრთნელმა **ვალდას ივანაუსკასმა** **გიორგი ონიანი** მოედანზე 117-ე წუთზე შეუშვა და მატჩისშემდგომი პენალტის შესრულებაც დაავალა. ორ-ორი ზუსტი დარტყმის შემდეგ ნერვებმა ნიურნბერგელ **რაინჰარდტს** უმტყუნა, რის შემდეგაც თერთმეტმეტრიან ნიშნულთან ონიანი მივიდა და ბურთი მეტოქის კარის ბადეში გაახვია. ამის შემდეგ შეცდომა აღარავის მოსვლია და "კარლ ცაისმა" სერია 5:4 მოიგო. **ილია კანდელაკმა** თამაშს თვალი სათადარიგოთა სკამიდან ადევნა, **გიორგი სეთურიძე** კი, მოგეხსენებათ, ტრავმირებულია.

"შალკემ" მერვედფინალის საგზური დაშავებული **ლევან კობიაშვილის** გარეშე მოიპოვა. გელზენკირხენელებს შინ "ჰანოვერთან" საკმაოდ გაუჭირდათ, მაგრამ დამატებით დროში მაინც მიაღწიეს თავისას და მეტოქეს ორი უპასუხო გოლი გაუტანეს.

ბუნდესლიგაში გამორჩეულმა "კარლსრუემ" ბევრისთვის მოულოდნელად, საკუთარ მოედანზე "ვოლფსბურგთან" 0:1 წააგო. **ალექსანდრე იაშვილი** ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებია და 67-ე წუთზე შეცვალეს. "ფრაიბურგი" და "პადერბორნი" შესაბამისად, ჰამბურგსა და შტუტგარტში დამარცხდნენ, **ოთარ ხიზანეიშვილი** და **დავით სირაძე** 18-კაციან განაცხადშიც არ ყოფილან.

მილანმა გენუაში დაიძუხა

კახა კალაძემ, რომელმაც ტრავმა ბოლომდე მოიშუშა, ამჯერადაც შეუცვლელად ითამაშა. "მილანმა" საშინელ სერიას წერტილი შთამბეჭდავი გამარჯვებით დაუსვა - გენუაში "სამპდორიას" 5:0 გადაურბინა. "შავ-წითელთა" დაცვას ბევრი საქმე ნამდვილად არ ჰქონია, მაგრამ საქართველოს ნაკრების კაპიტნის საიმედო თამაში მაინც გამოსარჩევია. ერთი ეგაა, კალაძემ შეხვედრა გაფრთხილების გარეშე ვერ ჩაამთავრა.

დებიუტის მოლოდინში

ესპანური "ლევანტე" სეგუნდა დივიზიონისკენ მტკიცე ნაბიჯებით მიიწევს. **შოთა არველაძის** გუნდი ვალენსიაში "ვილიარეალთან" უშანსოდ იყო - 0:3. ვეტერანი ქართველი ფორვარდი, როგორც იცით, ტრავმირებულია და პრემერაში დებიუტი ჯერ არ ჰქონია.

ხიზანიშვილმა ნდობა დაიბრუნა

როგორც იქნა, "ბლექბერნის" შემადგენლობაში **ზურაბ ხიზანიშვილი** გამოჩნდა. ქართველმა უკანახაზელმა სრულად ითამაშა და ლიგის თასზე "პორტსმუთის" სტუმრად ძლევაში (2:1) თავისი წვლილი შეიტანა. ეს მისი მხოლოდ მეორე მატჩი იყო ამ სეზონში, იმედია, ხიზანიშვილი გუნდის ძირითადში ადგილს დაიბრუნებს.

ქართველების გარეშე

რუსეთის თასის მეოთხედფინალურში ნალჩიკის "სპარტაკი" და რამენსკოეს "სატურნი" სტუმრად ერთნაირი ანგარიშით, 1:2 დამარცხდნენ შესაბამისად, ცსკა-სა და "ურალთან". მატჩებმა **ალექსანდრე ამისულაშვილისა** და **გოგიტა გოგუას** გარეშე ჩაიარა.

მერვედფინალში დაასრულეს

ქართველმა ნაწილი უკრაინის თასისთვის ბრძოლას კარგა ხნის წინ გამოეთიშა, გუშინ კი მერვედფინალში ჩვენი თანამემამულეების დანარჩენი გუნდებიც დამარცხდნენ. კიევის "არსენალი" დონეცკში "შახტიორთან" 1:4 განადგურდა, **გიორგი დემეტრაძე** მოედანზე 62-ე წუთზე შევიდა, ამ დროისთვის დონბასელები 3:1-ს იგებდნენ. **კახა მჟავანაძის** "დნესტრი" შინ "ვორსკლასთან" 0:1 დამარცხდა, ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო. "ჩერნომორეცსა" და "მეტალისტს" შორის შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა, პენალტების სერიაში მასპინძლებმა იძალეს. ხარკოველთა რიგებში **ლაშა ჯაკობია** არ გამოჩენილა.

ავსტრიაში ყველაფერი რიგზეა

გიორგი შაშიაშვილმა "შტურმის" ძირითად შემადგენლობაში თავიდანვე მყარად მოიკიდა ფეხი და არც ავსტრიული ბუნდესლიგის ამ ტურს ჩაუვლია მის გარეშე. გრაცელებმა "რიდს" უმასპინძლეს და მონინააღმდეგე 5:0 გაანადგურეს. საქართველოს ნაკრების მცველმა მოედანზე ტრადიციულად, 90 წუთი დაჰყო. საგოლე კომბინაციებში მას მონაწილობა არ მიუღია. ავსტრიის 10-გუნდიან ჩემპიონატში 17-მა ტურმა ჩაიარა, "შტურმი" 25 ქულით მე-5 ადგილზეა და ლიდერ "აუსტრიას" 6 ქულით ჩამორჩება.

ლევან ჯანეზაშვილი

CDN ჰავჰასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LINE ისაუბრე ძეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუფასულად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ბაერდე!
ორ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ხიზანიშვილმა ძირითადში ითამაშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენსია

ახალი მწვრთნელი რონალდ კუმანია

ღამურებს სჯერათ: ჰოლანდიელი უამრავ წარმატებას მოგვიტანსო...

ხუან ბაუტისტა სოლერი გასული დღეების განმავლობაში ჯოჯოხეთურ რიტმში მუშაობდა. "ვალენსიის" მთავარი მწვრთნელის, კიკე სანჩეს ფლორესის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ ახალი სპეციალისტის დანიშვნა უპირველეს ამოცანად იქცა. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოგახსენეთ, რომ ყოფილი დამრიგებლის გუნდიდან გაშვება "სევილიასთან" დიდი ანგარიშით განცდილი მარცხით იყო ინსპირირებული. სენიორ სოლერს სხვა სპეციალისტთან წინასწარი შეთანხმება არ ჰქონდა მიღწეული. ის მხოლოდ ფლორესის გაგდების წამიდან შეუდგა მეტისმეტად საჭირბოროტო საკითხზე ზრუნვას.

როგორც ყოველთვის, მედიამ ამჯერადაც სავარაუდო სპეციალისტებზე საუბარი დაიწყო. პრესამ უმაღლესი რანგის მწვრთნელებზე ჩამოაგდო სიტყვა. მოარული ხმების თანახმად შევიტყვეთ, რომ ხუან ბაუტისტა სოლერი **მარჩელო ლიპისთან, ჟოზე მოურინიოსთან, ფაბიო კაპელოსთან, ლუიშ ფელიპე სკოლარისთან, დიდიე დეშამსა** და **ვისენტე დელ ბოსკესთან** აწარმოებდა მოლაპარაკებას. გულშემატკივრები ამ მრავალთაგან ერთ-ერთის დანიშვნას ელოდა, მაგრამ "ღამურების" თავკაცობა სულ სხვა ადამიანს ანდეს...

მისი სახელი **რონალდ კუმანია**. ჰოლანდიელი სპეციალისტი გუშინ "ვალენსიის" დამრიგებლის თანამდებობაზე 2010 წლის 30 ივნისამდე დაინიშნა. გაირკვა, რომ ბაუტისტა სოლერი კუმანთან პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ურთიერთობა მეტისმეტად წარმატებული გამოდგა. კუმანმა პსვ დაუყოვნებლივ მიატოვა და ესპანეთისკენ აიღო გეზი. საზოგადოებას მას დღეს წარუდგენენ.

რონალდ კუმანის კანდიდატურა დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც ფაბიო კაპელომ და ჟოზე მოურინიომ "ვალენსიაში" მუშაობაზე უარი განაცხადეს. მარჩელო ლიპიმ კი მოსაფიქრებლად იმაზე მეტი დრო ითხოვა, ვიდრე სენიორ სოლერს გააჩნდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ "ღამურების" უმაღლესი ხელისუფალი სასტიკ ცაიტნოტში იმყოფებოდა. როგორც გაუწყეთ, ბატონ ბაუტისტას სურვილი მსოფლიო დონისა და, შესაბამისად, ძალიან ძვირად ღირებული მწვრთნელის გადაბირება იყო, ადამიანისა, რომელსაც კარიერის განმავლობაში არაერთი პრესტიჟული ჯილდო ექნებოდა მოპოვებული. ძნელი სათქმელია, რამდენად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს ვალენსიელთა ახალი თავკაცი, თუმცა ასეა თუ ისე, ის კიკე სანჩეს ფლორესის მემკვიდრე გახდა. კუმანი რიგით მეხუთე მწვრთნელია, რომელთან თანამშრომლობაც სოლერს მოუწევს. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ჰოლანდიელი გუნდში იმ სულისკვეთებას მოიტანს, რომელიც უმაღლესი მწვერვალების დაპრყობას შეუწყობს ხელს.

რონალდ კუმანი

44 წლის კუმანს ოთხ კლუბში მუშაობისას დაგროვებული გამოცდილება უმაგრებს ზურგს. მთავარი მწვრთნელის გარდა ის "ბარსელონაში" **ლუის ვან გაალის** თანაშემწეც გახლდათ. დამოუკიდებლად მუშაობა კი 2000-01 წლების სეზონში "ვიტესში" დაიწყო. ერთი წლის შემდეგ ის ლეგენდარულ "აიაქსში" გადაბარგდა და იქ ოთხი სეზონი გაატარა. ამსტერდამულ კლუბში მან ჩინებული ავტორიტეტი შეიქმნა, მაგრამ იმხანად კონსულტანტის თანამდებობაზე მომუშავე ვან გაალთან ურთიერთობა უკიდურესად გაუფუჭდა და იძულებული გახდა სამშობლოდან აბარგებულიყო. მან "ბენფიკა" ჩაიბარა, თუმცა დიდხანს ლისაბონშიც არ დარჩენლა. ერთი წლის შემდეგ ბატონი რონალდი ჰოლანდიაში დაბრუნდა და პსვ-ს მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში კუმანს განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია. საუბარი ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასს ეხება, თორემ ჰოლანდიის ჩემპიონატში მან სამჯერ გაიმარჯვა. 2002 და 2004 წლებში "აიაქსთან" ერთად, შარშან კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პსვ აიყვანა. 2002 წელს "აიაქსს" მან ჰოლანდიის თასი და სუპერთასი მოაპოვებინა. სხვათა შორის, სუპერთასს პორტუგალიაში "ბენფიკასთან" ერთადაც შესწვდა. ალბათ, უპრიანი იქნება გავიხსენოთ, რომ კუმანს **ჟოან ლაპორტამ** "ბარსელონის" გაძღოლა რამდენჯერმე შესთავაზა, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო გარიგება ერთხელაც არ შედგა. რამდენიმე დღის წინათ ჰოლანდიელს ლონდონიდანაც დაურეკეს და "ტოტენჰემის" განვრთნა სთხოვეს. კუმანმა წინადადება არ მიიღო. როგორც ჩანს, ის გრძნობდა, რომ მალე საყვარელ ესპანეთში დაბრუნება მოუწევდა. მოგეხსენებათ, ფეხბურთელობისას რონალდმა "ბარსელონასთან" ერთად უამრავი ტიტული მოიპოვა. ჩემპიონთა თასის ფინალში მის მიერ გატანილმა გოლმა კი ისტორიაში სამუდამოდ ჰპოვა ადგილი. მართალია, კუმანს წამყვან ევროპულ ლიგებში მუშაობისა და ტიტულების მოხვეჭის გამოცდილება არ გააჩნია, მაგრამ ბევრს მიაჩნია, რომ ეს, მხოლოდ და მხოლოდ, დროის საკითხია. მიმომხილველები მას უდიდესი პერსპექტივის მქონე სპეციალისტად მიიჩნევენ. ვინ იცის, იქნებ, უმაღლესი მწვერვალების დაპყრობის საშუალება ამ ადამიანს სწორედ "ვალენსიამ" მისცეს.

ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშნასთან დაკავშირებით ხუან ბაუტისტა სოლერმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: "*ასეთი სწრაფი ტემპით, მგონი, არასოდეს მიმუშავია. ზედმეტი წამიც კი არ მქონდა. სწრაფად უნდა მემოქმედა იმისთვის, რომ კიკე სანჩეს ფლორესის გათავისუფლების შემდეგ გაჩენილი ვაკანსია შემევსო. მართალია, უმწვრთნელოდ მხოლოდ ორი დღე ვიყავით დარჩენილები, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ გასული 48 საათის განმავლობაში ტიტანური სამუშაო შევასრულეთ. მე და ჩემს თანამშრომლებს, ფაქტობრივად, არ გვიძინია. ფუნქციები გადავინაწილეთ და მოლაპარაკებები რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად ვაწარმოეთ. რონალდ კუმანის სახელს საგულდაგულოდ ვმალავდით, რადგან ვიცოდით, რომ პსვ-ს ხელმძღვანელობას ჩვენი დაინტერესება არ გაახარებდა. არ დავმალავ, მის გარდა, სხვა სპეციალისტებსაც ველაპარაკებოდით, მაგრამ პრიორიტეტს მაინც კუმანს ვანიჭებდით. ხოლო მას შემდეგ, რაც სხვებისგან უარყოფითი, რიგ შემთხვევებში კი გაუგებარი პასუხი მივიღეთ, მთლიანად ამ მიმართულებაზე გადავერთეთ და უმოკლეს დროში ურთულესი საქმე მოვაგვარეთ. დარწმუნებული ვარ, სენიორ კუმანი დიდ წარმატებებს მოგვიტანს. ის გენიალური სპეციალისტია, საღი და თანამედროვე აზროვნება გამოარჩევს. ჰოლანდიელს პირობა მივეცი, რომ ყველაფერში დავეხმარები. მზად ვარ, სოლიდური თანხა გამოვყო, რათა იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე ახალი ფეხბურთელები შევიძინოთ. მოკლედ, ძალიან კმაყოფილი გახლავართ. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ რონალდ კუმანი "მესტალიაზე" სწორედ იმ ფეხბურთს მოიტანს, რომელსაც გულშემატკივრები მრავალი წელინადია, ელიან.*"

ილია ნიკოლაიშვილი

სერხიო აგუერო

მოსალოდნელი ტრანსფერი

იუვენტუსი აგუეროს მოსინჯავს

სეკო მადრიდში მიფრინავს, სერესო 24 მილიონს ფეხს არ მოუცვლის

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "იუვენტუსი" არგენტინელ ფორვარდ **სერხიო აგუეროს** უმიზნებს. 19 წლის აგუერო "ატლეტიკოს" ღირსებას იცავს და მიმდინარე კამპანიის 9 ტურში 5 გოლი აქვს გატანილი. ბუნებრივია, ახალგაზრდა თავდამსხმელის შედეგიანობა გიგანტი კლუბების ყურადღებას იპყრობს. აგუერო "როხიბლანკოში" ბუენოს აირესის "ინდეპენდიენტედან" გადავიდა. მთავარ არგენტინულ დივიზიონში მას 15 წლისას ჰქონდა დებიუტი, რითაც ყველა დროის რეკორდი დაამყარა. მადრიდულ კლუბს კი მისი ტრანსფერი 15 მილიონი გირვანქა დაუჯდა. ამ სეზონის წინ აგუეროს მისია მეტად რთული და საპასუხისმგებლო იყო: "ლივერპულში" **ფერნანდო ტორესის** წასვლით გამოწვეული ბზარის შევსება. ექსპერტები უსიტყვოდ თანხმდებიან იმაში, რომ ფეხბურთელი, ჯერჯერობით, იმედებს ამართლებს...

ამასობაში, აგუეროთი "იუვენტუსი" ინტერესდება. იტალიური მედიის მტკიცებით, "ბებერი ქალბატონი" მზადაა, "ატლეტიკოს" 15 მილიონი გირვანქაც გადაუხადოს და ზედაც **ტიაგო მენდეში** დაამატოს. ეს ნახევარმცველი იანვარში "იუვედან" წასვლის სურვილს გამოთქვამს. ის სერია A-ს ვერ შეეწყო. პორტუგალიელს ესპანეთში თამაში იზიდავს. ამ ზაფხულს მასში 6.5 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

"იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ამ დღეებში მადრიდისკენ აიღებს გეზს და "ატლეტიკოს" პრეზიდენტ **ენრიკე სერესოს** შეხვდება. თუმცა ეს უკანასკნელი მას არცთუ დამაიმედებელი ამბით ხვდება. "მარკასთან" ინტერვიუში სერესომ განაცხადა, რომ აგუეროს 24 მილიონ გირვანქაზე ნაკლებად არ გაყიდის. ახლა ყველაფერი "იუვეს" ჯიბესა და მარიფათზეა დამოკიდებული.

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. X ტური

ვილიარეალი-ლევანტე 3:0

ვილიარეალი: ვიერა, ფუენტესი, სიგანი, კაპდევილა, ანხელი, ბრუნო, სენა (71. მავუბა), კასორლა (83. ხავი ვენტა), მატი ფერნანდესი, როსი, ფრანკო (61. ნიპათი).

ლევანტე: სტორარი, დესკარგა, ბრუნო, ალვარო, მანოლო გასპარი (48. რუბიალესი), მიგელ ანხელი, ტომაზი, ხუანმა (72. საული), კურტუა (72. ხავი ფუეგო), რიგა, გეიხო.

გოლები: 1:0 ფრანკო (2), 2:0 როსი (14-პენ), 3:0 სიგანი (37)

გაფრთხილება: 0-3; **დარტყმა**: 21(7)-13(4); **კუთხური**: 10-4; **თამაშგარე**: 3-1; **ჯარიმა**: 13-18; **ბურთის ფლობა**: 51%-49%

მაყურებელი: 30 000

ალმერია-სარაგოსა 0:1

ალმერია: კობენი, კარლოს გარსია, აკასიეტე (58. პულიდო), ბრუნო, მანე, ხუანტო, ფელიპე მელო, ნეგრედო, კრუსატი, კორონა (72. სორიანო), ორტისი (66. ხუანმა ორტისი).

სარაგოსა: ხესარი, პარედესი, დიოგო, სერხიო (4. ჩუს ერერო), გონი, ლუქესენი, საპატერი, ოსკარი, დიეგო მილიტო, სერხიო გარსია (82. გაბი), რიკარდო ოლივეირა (75. დ'ალესანდრო).

გოლი: 0:1 დიეგო მილიტო (77-პენ)

გაფრთხილება: 1-4; **დარტყმა**: 20(8)-14(4); **კუთხური**: 10-5; **თამაშგარე**: 1-3; **ჯარიმა**: 9-13; **ბურთის ფლობა**: 53%-47%

მაყურებელი: 19 000

ბეტისი-ოსასუნა 0:3

ბეტისი: რიკარდო, მელი, ლიმა, ფერნანდო ვეგა, დამია, ხუანდე, მარკ გონსალესი, ედუ, კაპი (61. სომოსა), ჩისკო (47. ოდონკორი), სობინი (46. პავონე).

ოსასუნა: რიკარდო, ხავიერ ფლანიო, მიგელ ფლანიო, კრუწაგა, მონრეალი, ექტორ ფონტი, პუნიალი, ასპილიკუეტა, მარგაირასი (77. უგო ვიანა), დადი (68. სოლა), ველა (83. ერისე).

გოლები: 0:1 კრუწაგა (41), 0:2 დადი (51), 0:3 ველა (54)

გაძევება: დამია (80. ბეტისი)

გაფრთხილება: 5-1; **დარტყმა**: 15(3)-15(4); **კუთხური**: 5-3; **თამაშგარე**: 2-1; **ჯარიმა**: 20-9; **ბურთის ფლობა**: 46%-54%

მაყურებელი: 25 000

ხეტაფე-ბილბაო 2:0

ხეტაფე: აბონდანსიერი, მარიო, კატა დიასი, პალარდო, ლიხტი, კასკერო, პაბლო (82. გრანერო), დელა რედი, სოუზა, კეპა (75. დელ მორალი), უჩე (87. ალბერტო).

ბილბაო: ირაისოსი, სუბიაურე, იატორ ოსიო, კოიკოლი, ამორებიეტა, ირაოლა, სუსაეტა, ორბაისი (81. მუნიოსი), გაბილონდო (46. დავიდ ლოპეზი), ეზებერია (46. ლორენტე).

გოლები: 1:0 კასკერო (8), 2:0 უჩე (28)

გაძევება: ამორებიეტა (73. ბილბაო)

გაფრთხილება: 2-4; **დარტყმა**: 16(7)-8(4); **კუთხური**: 8-6; **თამაშგარე**: 0-4; **ჯარიმა**: 19-16; **ბურთის ფლობა**: 53%-47%

მაყურებელი: 22 000

რეკრეატივო-რასინგი 0:0

რეკრეატივო: სორენტინო, ბეტო, მარტინ კალერესი, პოლი, პამპა კალეო, ხესუს ვასკესი, კარლოს მარტინესი (70. ვარელა), იატორი (75. როსუ), ხავი გერერო, სინამა პონგოლე, კამუნასი (69. ხერარდი).

რასინგი: ტონიო, პინილიოსი, გარაი, ორიოლი (70. ორიოლი), კოლსა, ხორდი, ხორხე ლოპეზი, ჩიტე, მუნტატისი (69. ლუის ფერნანდესი), აიოსე (86. კრისტიან ფერნანდესი), სმოლიარეკი.

გაფრთხილება: 5-4; **დარტყმა**: 15(6)-11(2); **კუთხური**: 5-9; **თამაშგარე**: 1-5; **ჯარიმა**: 22-13; **ბურთის ფლობა**: 49%-51%

მაყურებელი: 17 000

დეპორტივო-მალიორკა 1:1

დეპორტივო: ავატე, მანუელ პაბლო, კოლონინი, ადრიან ლოპეზი, ფილიპე ლუისი, გუარდადო, ვერდუ, დე გუსმანი, ხუან როდრიგესი (58. ტაბორდა), კრისტიანი (72. რიკი), ბოდიპო (82. რუბენ კასტრო).

მალიორკა: მოია, დავიდ ნავარო, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, ვარელა, მოლინერო (41. ლუქსი), პერეირა, არანგო, გუისა, ბორზა ვალერო (75. ბასინასი), ტუნი (63. იონას გუტიერესი).

გოლები: 0:1 გუისა (11), 1:1 გუარდადო (41-პენ)

გაძევება: მოია (41. მალიორკა)

გაფრთხილება: 2-6; **დარტყმა**: 21(10)-8(2); **კუთხური**: 7-1; **თამაშგარე**: 4-1; **ჯარიმა**: 14-19; **ბურთის ფლობა**: 66%-34%

მაყურებელი: 28 000

ვალენსია-რეალი 1:5

ვალენსია: პილდებრანდი, მიგელი, ივან ელგერა, ალბიოლი, მორეტი, ალბელდა, ხოაკინი, ანგულო (77. მატა), გავილანი (60. ვისენტე), სილვა (82. მონტორო), მორიენტესი.

რეალი: კასილიასი, კანავარო, მეტეელდერი, სერხიო რამოსი (73. ტორესი), მარსელო (57. ჰაინცე), დიარა, გაბო, გუტი, რობინიო, რაული, ვან ნისტელროი (66. ჟულიო ბაპტისტა).

გოლები: 0:1 რაული (1), 0:2 ვან ნისტელროი (24), 0:3 სერხიო რამოსი (29), 0:4 ვან ნისტელროი (36), 1:4 ანგულო (58), 1:5 რობინიო (65)

გაძევება: ალბიოლი (84. გაძევება)

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 8(7)-13(8); **კუთხური**: 9-3; **თამაშგარე**: 5-8; **ჯარიმა**: 18-13; **ბურთის ფლობა**: 50%-50%

მაყურებელი: 45 000

ატლეტიკო-სევილია 4:3

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პერეა, პერნია, ზე კასტრო, მანიშე, რაულ გარსია, მაქსი როდრიგესი (89. ხურადო), ლუის გარსია (59. სიმაო საბროსა), აგუერო, ფორლანი (24. რეიესი).

სევილია: პალოპი, დანიელ ალვეში, ფასიო, ბულარუზი, კრესპო, მარტი, კეიტა, ხესუს ნავასი (78. კაპელი), ადრიანო კორეია (61. დუდა), ლუიშ ფაბიანო, კონე (68. კერეკაკეი).

გოლები: 1:0 მანიშე (1), 1:1 ლუიშ ფაბიანო (14), 2:1 აგუერო (16), 2:2 ზე კასტრო (44), 3:2 მაქსი როდრიგესი (69), 4:2 ხურადო (90), 4:3 ლუიშ ფაბიანო (92)

გაფრთხილება: 3-3; **დარტყმა**: 9(8)-10(3); **კუთხური**: 0-8; **თამაშგარე**: 1-3; **ჯარიმა**: 21-20; **ბურთის ფლობა**: 46%-54%

მაყურებელი: 46 000

ესპანიოლი-ფარსია დღეს

ვალიადოლიდი-ბარსელონა დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რეალი	10	8	1	1	25-7	25
2. ვილიარეალი	10	7	0	3	18-13	21
3. ბარსელონა	9	6	2	1	19-7	20
4. ატლეტიკო	10	6	2	2	20-10	20
5. ვალენსია	10	6	0	4	15-19	18
6. ესპანიოლი	9	5	2	2	14-11	17
7. სარაგოსა	10	5	2	3	16-14	17
8. მალიორკა	10	4	4	2	18-13	16
9. რასინგი	10	4	4	2	8-8	16
10. სევილია	9	4	0	5	19-14	12
11. ოსასუნა	9	3	3	3	13-11	12
12. მურსია	9	3	3	3	8-8	12
13. ალმერია	10	3	2	5	10-11	11
14. ბილბაო	10	2	4	4	7-12	10
15. რეკრეატივო	10	2	3	5	7-13	9
16. დეპორტივო	10	2	3	5	8-16	9
17. ბეტისი	10	1	5	4	8-12	8
18. ხეტაფე	10	2	2	6	9-15	8
19. ვალიადოლიდი	9	1	3	5	11-19	6
20. ლევანტე	10	0	1	9	3-23	1

ბომბარდირები: 7 - მესი (ბარსელონა); 6 - ლუიშ ფაბიანო (სევილია), აგუერო (ატლეტიკო), გუისა (მალიორკა), როსი (ვილიარეალი); 5 - რაული (რეალი), ვან ნისტელროი (რეალი), კანუტე (სევილია), არანგო (მალიორკა), რიკარდო ოლივეირა (სარაგოსა); 4 - სნიიდერი (რეალი), ლუის გარსია (ესპანიოლი), ადურისი (ბილბაო), მორიენტესი (ვალენსია), ტამუდო (ესპანიოლი), ფორლანი (ატლეტიკო), ანრი (ბარსელონა), დადი (ოსასუნა), დიეგო მილიტო (სარაგოსა).

ერთიანი ბელგიერეკა

ფეხბურთი და ტელეფული

ისტორიული დღე: იტალია ინგლისურ მოდელზე გადავიდა

საკმაოდ არ არის, რომ ტელეტრანსლაციათა გაყიდვით მიღებული თანხები კლუბების კეთილდღეობის მნიშვნელოვანი პირობაა. სწორედ ამ ფულზეა დამოკიდებული მათი სატრანსფერო აქტივობა. უკანასკნელ ხანს, ამ მხრივ ევროპაში ლიდერებად ინგლისური კლუბები იქცნენ. 2005 წელს "ლივერპულმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო, "ჩელსის" კი ფინალში გასვლამდე ცოტა დააკლდა. ერთი წლის შემდეგ, ევროსაკლუბო ტურნირის გადამწყვეტ მატჩში "არსენალმაც" ითამაშა, ბოლო ტურნირში კი ნახევარფინალის 4 მონაწილიდან 3 პრემიერლიგის წარმომადგენელი იყო.

ეს უდავო წარმატებებია, რომელთა წყარო მყარი ფინანსური მდგომარეობაა და ამას მხოლოდ **რომან აბრამოვიჩის** ან სხვა ინვესტორთა ფაქტორი არ განაპირობებს. ევროპაში პრემიერლიგა ყველაზე შემოსავლიანი და სტაბილურია. ამაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარი წვლილი სწორედ ტელეტრანსლაციათა უფლებების სარფიან გაყიდვას მიუძღვის. მიმდინარე სეზონიდან კი ძალაში შევიდა ახალი, სამწლიანი კონტრაქტი, რომელიც პრემიერლიგას 2.7 მილიარდ გირვანქას მოუტანს.

და აი, გუშინ, იტალიაში "ინგლისური ტელერევოლუცია" მოხდა. იქაურმა ლიგის საბჭომ, 9-საათიანი მომქანცველი დებატების შემდეგ, ისტორიულ შეთანხმებას მიაღწია და პრემიერლიგის მოდელი დანერგა. 30 ოქტომბერი იტალიური ფეხბურთისთვის გარდამტეხ თარიღადაც გამოცხადდა. გადაწყდა, რომ სერია A-ს ტელერეპორტაჟების უფლების გაყიდვით შემოსული თანხები კოლექტიური პრინციპით განაწილდება. ეს წერტილს დაუსვამს ყოველწლიურ დავას, რომელსაც ხშირად დაუყენებია ჩემპიონატი თვით ჩაშლის პირასაც კი. ყველაზე მწვავედ, ამ კონფლიქტმა ოთხი თუ ხუთი წლის წინათ იფეთქა, როცა საკითხზე შეუთანხმებლობის გამო, სერია A-ს სტარტი ორი კვირით გადაიდო...

დავუბრუნდეთ ისტორიულ გადაწყვეტილებას. ლიგის საბჭოს სხდომაზე "ინგლისურ მოდელს" მხარი 15-მა კლუბმა დაუჭირა. წინააღმდეგ მხოლოდ "ატალანტა", "სიენა", "კალიარი" და "პალერმო" წავიდნენ, "ფიორენტინის" წარმომადგენელი კი სხდომას არ დასწრებია. ახალი სისტემა 2010 წლიდან ამოქმედდება. საქმე ისაა, რომ კლუბებს მიმდინარე ხელშეკრულებები აქვთ - ზოგს ინდივიდუალური, ზოგსაც ჯგუფური. მაგალითად, "იუვენტუსს", "მილანსა" და "ინტერს" **სილვიო ბერლუსკონის** კომპანია "მედიასეტთან" აქვთ გაფორმებული კონტრაქტი, რომელიც კიდევ ორი სეზონის განმავლობაში იმოქმედებს. ამ კონტრაქტიდან თითოეული კლუბი დაახლოებით 110 მილიონ ევროს მიიღებს. 2010/11 წლების სეზონიდან კი სერია A-ს 20 კლუბი ტელეუფლებებს კოლექტიური პრინციპით გაყიდის, ანუ შემოსული თანხა მათ შორის ასეთი სქემით განაწილდება: 40 პროცენტს ყველა თანაბრად მიიღებს, საიდანაც 10-ს ერთგვარი გადასახადის სახით, სახელმწიფოს გადაურიცხავს. შემდეგი 30 პროცენტის ადრესატი იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელ კლუბს როგორი კოეფიციენტი ექნება, ხოლო ამ კოეფიციენტს ბოლო სეზონების შედეგებით გამოიყვანენ. რაც შეეხება დარჩენილ 30 პროცენტს, აქ კრიტერიუმი კლუბების პოპულარობა (ფანების რაოდენობის მიხედვით) იქნება. ამას კი სოციალური გამოკითხვების შედეგად დაადგენენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული კომპონენტების მიხედვით, "იუვენტუსი", "ინტერი", "მილანი", "რომა" და ნაწილობრივ "ფიორენტინა" მაინც პრივილეგირებულ მდგომარეობაში იქნებიან, ფულის განაწილების ახალი პრინციპი უდავოდ ფინანსური სტაბილურობის გარანტი იქნება საშუალო და შედარებით დაბალი რანგის კლუბებისთვისაც. შესაბამისად, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს წლებში სერია A-ს დონე საგრძნობლად ამაღლდება.

სასჯელი და აპელაცია

სალაიეტა გაამართლეს

ბუფონი კი არა, დამნაშავე ლეგროტალიე ყოფილა

ITALIIS ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტი "ნაპოლი"-"იუვენტუსის" მატჩში მომხდარ ამბებს სამშაბათს, გვიან ღამემდე უკირკიტებდა. კერძოდ, საქმე ეხებოდა 11-მეტრიანს, რომელიც ტურინელთა კარში **მარსელო სალაიეტას** წაქცევისთვის დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ ურუგვაელ ფორვარდს სიმულანტობა დაბრალდა და ორმატჩიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა. თავდაპირველად, "ნაპოლიმ" საქცია ულაპარაკოდ მიიღო, მაგრამ მას შემდეგ, რაც კლუბს ხელთ ჩაუვარდა საკამათო ეპიზოდის ამსახველი, სხვა რაკურსით გადაღებული ვიდეოკადრები, ფედერაციის სააპელაციო კომიტეტში უმალ საჩივარი აფრინა, აქაოდა - ჩვენი ფეხბურთელი ცამდე მართალი ყოფილა, ტყუილად დაგვისაჯესო. სააპელაციო კომიტეტმა ეპიზოდი გულდასმით გაარჩია...

თავიდან, დარჩა შთაბეჭდილება, რომ სალაიეტა **ბუფონმა** წაქცია, მაგრამ სხვა რაკურსიდან აშკარად გამოჩნდა, რომ "ნაპოლის" ფორვარდის წინაალმდეგ წესს არა მეკარე, არამედ მცველი **ლეგროტალიე** არღვევს, სალაიეტა კი, იმის შიშით, რომ ბუფონს ტრავმა არ მიაყენოს, გაზონზე უცნაურად ეცემა. სწორედ ეს უცნაური ვარდნა მიიჩნიეს დისციპლინარებმა სიმულაციად, ლეგროტალიეს ქმედებაზე კი, რატომღაც, ყურადღება არ გაუმახვილებიათ. ეს ვერც არბიტრმა შენიშნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუფონს ყვითელ ბარათს არ ამოუღებდა. ახლა გამოდის, რომ რეფერის "იუვეს" კიპერიც ტყუილად გაუფრთხილებია, რასაც, თავის მხრივ, "იუვენტუსი" გაასაჩივრებს. სხვათა შორის, სალაიეტამ ლეგროტალიეს მიერ წესის დარღვევაზე მატჩის დასრულებისთანავე მიუთითა, მაგრამ მას, რატომღაც, არავინ დაუჯერა. სამაგიეროდ, დაიჯერა სააპელაციო კომიტეტმა და ფორვარდს დისკვალიფიკაცია მოუხსნა. ასე რომ, გუშინ ურუგვაელს "ფიორენტინის" წინააღმდეგ თამაში შეეძლო...

საკამათო ეპიზოდი ბუფონის, ლეგროტალიესა და სალაიეტას მონაწილეობით

მომხდართან დაკავშირებით, გუშინვე კომენტარი გააკეთა იტალიელ მსაჯთა კურატორმა **პიერლუიჯი კოლინამ**: *"მართალია, ვემხრობი ამ სახის ვიდეოგანხილვებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამაშის დროს მსაჯი აბსოლუტურად განსხვავებულ სიტუაციაშია. მან წამებში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ამიტომ, ის არ უნდა გავაკრიტიკოთ იმის გამო, რასაც ჩვენ ტელეკამერებით ვაფიქსირებთ"*.

ცხადია, ამით არბიტრი **მაურო ბერგონცის** სასჯელი (ერთთვიანი დისკვალიფიკაცია სერია A-სა და B-ში) არ შეუმსუბუქდება. პენალტი დასანიშნი კი იყო, მაგრამ არა იმ მოტივით, რაც ბერგონციმ შემოგვთავაზა. ამას გარდა, ძალაში რჩება მეორე 11-მეტრიანის უსაფუძვლობაც. არბიტრის შეცდომებმა მატჩის შედეგზე გავლენა მაინც იქონია.

იტალია. სერია A. X ტური

ინტერი-ჯენოა 4:1

ინტერი: ორლანდონი, მაიკონი, კორდობა, ეიუ, მაქსველი, ფიგუ (85. სოლარი), ხ. ძანეტი, კამბიასო, სეზარი (78. ბურდისო), კრესპო (70. სუასო), კრუსი.

ჯენოა: რუბინიო, ლუკარელი (81. მაზიელო), დე როზა, ბეგა, მ. როსი (54. იურიჩი), მილანეტო, ფაბიანო, კონკო, ლეონი, დანილო, ბორიელო (54. ფიგეროა).

გოლები: 1:0 კორდობა (8), 2:0 კამბიასო (49), 2:1 კონკო (72), 3:1 სუასო (73), 4:1 კრუსი (84-პენ)

გაფრთხილება: 1-2; **კუთხური**: 11-4; **ჯარიმა**: 15-16; **თამაშგარე**: 1-0; **კარში დარტყმა**: 19-14 (15-12); **ბურთის ფლობა**: 53%-47%.

მაყურებელი: 47 230

რომა-ლაციო 3:2

რომა: ა. დონი, პანური, მექსე, ფუანი, კასეტი, ტონეტო, დე როსი, პისარო (87. ბრიგი), პეროტა, მანსინი (74. ფიული), ვუჩინიჩი (90. სისინიო).

ლაციო: ბალოტა, ბარონიო, სტენდარდო (84. მაკინვა), კრიბარი, ძაური, მუდინგაი (68. ფირმანი), ბეპრამი, მუტარელი, კ. მანფრედინი (46. მეგნი), როკი, პანდევი.

გოლები: 0:1 როკი (12), 1:1 ვუჩინიჩი (19), 2:1 მანსინი (42), 3:1 პეროტა (56), 3:2 ლეფესმა (69)

გაფრთხილება: 4-2; **კუთხური**: 7-7; **ჯარიმა**: 17-19; **თამაშგარე**: 4-1; **კარში დარტყმა**: 18-18 (15-13); **ბურთის ფლობა**: 48%-52%.

მაყურებელი: 65 000

ფიორენტინა-ნაპოლი 1:0

ფიორენტინა: ფრეი, პოტენცა, დანიელი, გამბერინი, პასკუალი, დონადელი, ლიეერანი, მონტოლივო (62. პაციენცა), იორგენსენი (65. სემიოლი), ვიერი (74. პაცინი), მუტუ.

ნაპოლი: იე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. ახალი ამბები კატალონიელთა ბანაკიდან

რაიკაარდი დაიღალა: რონალდინიო არ იყიდება

კრუიფმა ანრის ვერდიქტი გამოუტანა, ფრანგის საუკეთესო წლები წარსულში დარჩა

რამდენიმე დღის წინ "მილანის" მმართველმა ადრიანო გალიანიმ მორიგი შფოთისმომგვრელი განცხადება გააკეთა და საზოგადოებას რონალდინიოს შეძენის სურვილი კიდევ ერთხელ (ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ) გაუმხილა. რა თქმა უნდა, ამაში ახალი არაფერია, მაგრამ აღსანიშნავი ერთი გარემოებაა: გალიანი ამაყად ამბობს, კლუბის მესვეურებთან წარმოებული კონსულტაციების შედეგად ისეთი პროექტი შევადგინეთ, რომელსაც "ბარსელონა" წინააღმდეგობას ვერ გაუწევს და თავად რონალდინიოც მოხიბლული დარჩებაო.

სინიორ **გალიანის** ამ თამამმა განცხადებამ კატალონიაში მორიგი ვნებათაღელვა გამოიწვია. რას უნდა ნიშნავდეს ახალი პროექტი, რომლის წინააღმდეგაც კატალონიური გრანდი ვეღარაფერს გააწყობს? ცნობილია, რომ ზაფხულში **ჟოან ლაპორტამ** 100-მილიონიანი წინადადება უარყო. როგორც ჩანს, "მილანი" კიდევ უფრო ძვირადღირებულ ტრანსფერს ამზადებს. ეს კი ბევრს აფიქრებინებს, რომ კატალონიელები ფორმიდან ამოვარდნილი ფორვარდის შესანარჩუნებლად თავს აღარ გაიგიჟებენ.

... თუმცა **ფრანკ რაიკაარდი** მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარებას კატეგორიულად გამორიცხავს. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნულ საკითხზე ვრცლად ისაუბრა. თქვენს სამჯავროზე მისი განცხადების მხოლოდ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტს გამოვიტანთ: *"ევროპული გრანდების რონალდინიოთი დაინტერესების შესახებ საუბარი ძალიან მომაბეზრებელი გახდა, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იძულებულს მხდის, საკითხს კიდევ ერთხელ მივუბრუნდე. "მილანის" ახალმა ინიციატივამ ახალი ჭორები ააგორა. თითქოს, "ბარსელონის" ხელმძღვანელობა რონალდინიოს გაყიდვაზე სერიოზულად დაფიქრდა. ეს ჭორია და სხვა არაფერი. პირადად მე მინდა, რომ გაუჩომ "კამპ ნოუზე" მრავალი წელი ითამაშოს. ამ საკითხში მთავარი მწვრთნელი და ხელმძღვანელობა ერთსულოვანია. ზუსტად ვიცი, რომ დირექტორატი მას ბოლომდე ენდობა. შესაძლოა, რონის თამაში დღეს ბევრს არ მოსწონდეს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. შეუძლებელია, ასეთი დონის ფეხბურთელმა თამაშის ხარისხი არ გაუმჯობესოს. პრობლემების მიუხედავად, ბრაზილიელი ჩვენი გუნდის ფუნდამენტურ ფიგურად რჩება. ფეხბურთელებს ის უდიდეს დახმარებას უწევს. ჩემზე კომპეტენტურ და ზუსტ პასუხს ვერავინ გაგცემთ. გაუჩო თავდაუზოგავად მუშაობს იმისთვის, რომ ძველი ფორმა დაიბრუნოს. მჯერა, ეს დროის საკითხია. ასე რომ, ყველას ვთხოვ, საკითხი დახურულად გამოაცხადოს. ამ კაცს არ ვყიდით."*

ამასობაში რაიკაარდს "ვალიადოლიდთან" გასვლითი მატჩის წინ სერიოზული პრობლემა შეექმნა. წინა ტურის შეხვედრაში **ტიერი ანრიმ** მიკროტრავმა მიიღო. მას აქილევსის მყესი დაეჭიმა და ბოლო ვარჯიშები გამოტოვა. ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ფრანგი ფორვარდი ტრავმას დროულად მოიშუშებდა, მაგრამ ოპტიმისტური მოლოდინი არ გამართლდა. კატალონიელთა მთავარი ექიმის მტკიცებით, ანრის "ხოსე სორილიაზე" თამაში გამორიცხულია. რაიკაარდი იძულებულია, გამოცდილი ფორვარდი ახალგაზრდა ბიჭებით შეცვალოს. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, ჰოლანდიელმა "ვალიადოლიდის" წინააღმდეგ **ჯოვანი დოს სანტოსი** და **ბოიან კრკიჩი** ერთად დააყენოს. სიმართლე გითხრათ, ეს მეტისმეტად სარისკო გადაწყვეტილება იქნება, რადგან კატალონიური გიგანტის თინეიჯერებს ნიჭისგან განსხვავებით, გამოცდილება ძალიან აკლიათ. პირადად ჩვენთვის, მხოლოდ ერთი მათგანის თამაში უფრო მეტად სავარაუდოა. ზოგადად კი რაიკაარდს კასტილიაში შემდეგი ფეხბურთელები გაჰყვნენ: **ვალდესი, ჟორკერა, ძამბროტა, ოლეგერი, პუიოლი, მილიტო, მარკესი, ტურამი, სილვინიო, ტურე, ჩავი, ინიესტა, გუდიონსვნი,** რონალდინიო, **მესი,** ბოიანი, **ესკერო** და ჯოვანი.

რონალდინიო და რაიკაარდი

ტიერი ანრის თამაშთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოითქმის. საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ფრანგი ფორვარდი ადაპტაციას დიდ დროს არ მოანდომებს და უახლოეს მომავალში ისევე ათამაშდება, როგორც "არსენალში". აღსანიშნავია, რომ ამ პროგნოზს ლეგენდარული **იოჰან კრუიფი** კატეგორიულად არ იზიარებს. აი, რა განაცხადა "ბარსას" ყოფილმა დამრიგებელმა "დიარიო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში: *"თუ ტიერის გულშემატკივრების არნახული სიყვარულის მოპოვება სურს, ის ფრანკ რაიკაარდის სტილს უნდა მოერგოს. ფაქტია, ჯერჯერობით ახალწვეული ამას ვერ ახერხებს. გასათვალისწინებელია, რომ "ბარსელონაში" ის სერიოზული ტრავმის მოშუშების შემდეგ გადმობარგდა. ფრანგი დიდი ხანი ვერც ვარჯიშობდა და ვერც თამაშობდა. ახლა კი ყველაფერს აკეთებს, რათა გუნდს დაეხმაროს. რა თქმა უნდა, ამ თავდადების გამო ანრი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. ეგოისტი რომ იყოს, თავს შემოინახავდა ზუსტად ისე, როგორც ამას სხვები აკეთებენ, მაგრამ სასიხარულოა, რომ ტიერი მათ კატეგორიას არ განეკუთვნება. დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა განვაცხადო, რომ სასწაულებს არ ველი. დარწმუნებული ვარ, ანრის საუკეთესო წლები წარსულში დარჩა. შესაძლოა, "ბარსამ" ის ცოტა გვიან იყიდა. ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არ მეპარება, რომ ტიერი ანრი "კამპ ნოუზე" ისეთ ფეხბურთს ვეღარ ითამაშებს, როგორსაც "არსენალში" თამაშობდა."*

როგორც ნახეთ, კრუიფი ანრის "ბარსელონის" სტილზე მორგების აუცილებლობაზე საუბრობს. საგულისხმოა, რომ ამას თავად ტიერიც არ უარყოფს. უფრო მეტიც, ფრანგი აცხადებს, ეს მე უნდა შევძლო "ბარსაზე" ავეწყო და არა პირიქითო... არ ვიცით, სხვები რას ფიქრობენ, მაგრამ ჩვენთვის ანრი პროფესიონალიზმის განსახიერებაა...

ჩელსი. ახალი ამბები

სამი წელიწადი გრანტს

ვან დერ ვაარტი და ბილიალეტდინოვი, ეგრაელი მწვრთნელის ორი უმთავრესი სამიზნე...

რომან აბრამოვიჩმა ავრაამ გრანტს სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ამ ინფორმაციას "ტელეგრაფი" ავრცელებს. შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში, ებრაელ მწვრთნელს წლიურად 1.5 მილიონ გირვანქას, პლუს პრემიებს გადაუხდიან. ეს დღევანდელ ხელფასზე საგრძნობლად მეტია. შედარებისათვის, მის წინამორბედ **ჟოზე მოურინოს** 5 მილიონს უხდიდნენ. პორტუგალიელი სპეციალისტი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი საკლუბო მწვრთნელი გახლდათ. ამ ეტაპზე გრანტი "ჩელსიში" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებს. მართალია, კლუბის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ის დიდი ხნით დანიშნა, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ დაიჯერებენ, როცა კონტრაქტი გაფორმდება. იქამდე კი ინგლისური მედია არ შეწყვეტს სპეკულაციებს ლონდონურ გრანდში ამა თუ იმ სახელგანთქმული მწვრთნელის შესაძლო დანიშვნის თაობაზე.

ის, რომ გრანტი "სტემფორდ ბრიჯზე" დროებითი ფიგურა არ არის, სხვა ცნობებითაც მტკიცდება. ზემოთ სამწლიანი კონტრაქტი ვახსენეთ. "დეილი ექსპრესმა"კი გვაუწყა, რომ იანვრის ტრანსფერებისათვის მწვრთნელს 60 მილიონ გირვანქას გამოუყოფენ. გასულ შაბათს "ჩელსიმ" შთამბეჭდავად გაიმარჯვა. მან პრემიერლიგის კალენდარულ მატჩში "მანჩესტერ სიტის" 6:0 მოუგო. ეს გრანტის ზედიზედ მეხუთე გამარჯვება გახლდათ. როცა მას მოსალოდნელ ტრანსფერებზე ჰკითხეს, მიუგო: *"კონკრეტულს ვერაფერს მოგახსენებთ, თუმცა შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ცვლილებების შემთხვევაში, შემადგენლობის მაქსიმუმ 10 პროცენტი შეიცვლება. "ჩელსის" საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს."*

გრანტს სასურველი ფეხბურთელების თაობაზე არაფერი უთქვამს. ინგლისური მედიის ცნობით, მისი უმთავრესი სამიზნე ჰამბურგელი ნახევარმცველი **რაფაელ ვან დერ ვაარტია**. ჰოლანდიელ ვარსკვლავს "ვალენსია" და "ინტერი" ეპატიჟებიან. გასულ ზაფხულს ის თითქმის ვალენსიელი გახდა. გარიგება ბოლო წუთს ჩაიშალა. "ვალენსიაში" მწვრთნელი შეიცვალა. სანამ **რონალდ კუმანი** გეგმებს ჩამოყალიბებდეს, ლონდონელებს ვან დერ ვაარტის დაბევება შეუძლიათ. "დეილი ექსპრესის" ცნობით, "ჩელსი" 20 მილიონ გირვანქას გადაიხდის. "არისტოკრატების" სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** ფეხბურთელის აგენტს უკვე დაუკავშირდა. 24 წლის რაფაელს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

"ჩელსის" ტრანსფერების თემას რუსული გამოცემებიც ეხმაურებიან. "სპორტ-ექსპრესი" წერს, რომ ინგლისის ექსჩემპიონებს "ლოკომოტივის" ნახევარმცველი **დინიარ ბილიალეტდინოვი** სურთ. უფრო მეტიც, ამ გამოცემას მტკიცებით, "მანჩესტერ სიტისთან" მატჩის დასრულებისთანავე ავრაამ გრანტი მოსკოვში გაფრინდა, რათა ბილიალეტდინოვისა და მისი თანაგუნდელის **ბრანისლავ ივანოვიჩის** თამაში ენახა.

"ლოკომოტივის" რეაქციამ არ დააყოვნა. რუსები გარიგებისათვის მზად არიან, მაგრამ ბილიალეტდინოვის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს ითხოვენ. 22 წლის ფეხბურთელი ამაზე იაფად არ გაიყიდებაო, ამბობენ ისინი. ახალგაზრდა ვარსკვლავს დიახაც სურს რომელიმე ევროპულ გრანდში ასპარეზობა, მაგრამ რკინიგზელებთან კონტრაქტი აკავშირებს. ის საკუთარ ბედს ერთპიროვნულად ვერ გადაწყვეტს. ჟურნალისტები მოვლენების განვითარებას ელოდებიან.

ამასობაში, "ჩელსიმ" "კორინთიანსის" შემტევი ნახევარმცველი **ლულინაც** მოიკითხა. ეს ბიჭი ბრაზილიის 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშობს. "კორინთიანსთან" კონტრაქტი კი 2009 წელს ეწურება. ბრაზილიელები მას 10 მილიონ ევროდ აფასებენ. უცნაური ისაა, რომ გასულ ზაფხულს ლულინიას ამის ნახევარ ფასში ყიდიდნენ და ფეხბურთელის "პალერმოში" გამგზავრება თითქმის გადაწყვეტილი იყო.



ავრაამ გრანტი ლონდონში დიდი ხნით დარჩება

რეალს ვილია რეალურ ფასად უნდა

"რეალის" პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** დაადასტურა, რომ ვალენსიელი **დავიდ ვილიას** შეძენა სურს. მადრიდელთა ბოსს არც ის დაუმალავს, რომ თავდამსხმელის სანაცვლოდ არარეალურ თანხას არ გადაიხდის. ესპანური საagენტოების მტკიცებით, სამეფო კლუბმა "ღამურებს" მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. "ვალენსიამ" კომპენსაციის სახით, 150 ათასი ევრო მოითხოვა. ამ განცხადებამ მადრიდელები ისე აღაშფოთა, რომ ერთი ხანობა, სასამართლოში ჩივილიც კი დააპირეს. კიდევ ერთი საკითხი, რაზეც "რეალის" პრეზიდენტმა ისაუბრა, სპეკულაციებია, რომელთა თანახმად, დედაქალაქელები "ვალენსიის" გვერდის ავლით შეეცადნენ ფეხბურთელთან შეთანხმებას. კალდერონი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ პრეზიდენტ **ხუან სოლერს** პირადად დაურეკა, რათა ეთქვა მისთვის, რომ "რეალი" უპატიოსნოდ მოქცევას არ აპირებს.

ანელკა ისვენებს

წუხელ, **ნიკოლა ანელკამ** "მანჩესტერ სიტისთან" ლიგის თასის მატჩი გამოტოვა. მას ბარძაყის ტრავმამ შეახსენა თავი. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელს 17 ოქტომბერს, ლიტვასთან შესარჩევი მატჩიც გაუცდა. შემდეგ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში დაუბრუნდა მინდორს. გასულ უქმეებზე "ასტონ ვილასთან" შეხვედრისას ის ნაადრევად შეცვალეს. "ბოლტონის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ანელკა "ვესტ ჰემთან" მომდევნო ტურის შეხვედრისათვის მწყობრში იქნება.

ბარიჩი, მეოთხე უდისციპლინო მწვრთნელი

ალბანეთის ნაკრების თავკაც **ოტო ბარიჩს** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. მიზეზი ბულგარეთთან 17 ოქტომბრის შეხვედრის დროს მომხდარი ინციდენტია. ხორვატმა სპეციალისტმა არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. 75 წლის ბარიჩი გამოტოვებს შესარჩევი ტურნირის დარჩენილ ორ შეხვედრას ბელარუსსა და რუმინეთთან 17 და 21 ნოემბერს, პლუს მომდევნო სანაკრებო მატჩს. ბარიჩი მეოთხე მწვრთნელია, რომელსაც მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირში სასჯელი გამოუწერეს. აქამდე **სტივ სტონტონს** (ირლანდია), **რაიმონ დომენეკსა** (საფრანგეთი) და **ლუიშ ფელიპე სკოლარის** აგებინეს პასუხი.

სქოულზის სამი თვე

პოლ სქოულზი სამი თვე ვერ ითამაშებს. დღეს ვეტერან ნახევარმცველს მუხლის ოპერაცია უნდა გაუკეთონ. ის გასულ კვირაში, კიევის "დინამოსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ დაშავდა. სქოულზმა მუხლის მყესები დაიზიანა. 32 წლის ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში 12-ჯერ ითამაშა და ერთი გოლი შეაგდო.

გაზაევი ლოკომოტივს მოურიგდა

რუსული სააგენტოების ცნობით, **ვალერი გაზაევმა** მოსკოვის "ლოკომოტივთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. მან ჯერ კიდევ ივლისში შეიტყო, რომ მომავალი სეზონიდან ცსკა-ს დატოვება მოუწევდა. არმიელებმა გაზაევს სპორტული დირექტორის პოსტი შესთავაზეს. მწვრთნელმა ახალ თანამდებობაზე უარი განაცხადა და ახალი სამსახურის ძებნა დაიწყო. მას იმთავითვე ორი რუსული კლუბი - "ზენიტი" და "ლოკომოტივი" ეპატიჟებოდა. პეტერბურგული ვარიანტი მალე გამოირიცხა. "ზენიტი" საჩემპიონო მარათონში ჩაება, ამიტომ ჰოლანდიელ **დიკ ადვოკაატს** ორი წლით გაუგრძელეს კონტრაქტი. ვალერი გეორგევიჩს "ლოკომოტივთან" შეთანხმება არ გასჭირვებია. ცსკა-ს მომავალი მწვრთნელის ვინაობა კი უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი. 1/16 ფინალი.
სამშაბათის მატჩები

ბერლინისკენ, ბერლინელთა გარეშე!

შალკე წვალებით, მაგრამ გავიდა, ჰერტა კი ისევ დაცინვის ობიექტია...

კურანი და შალკე თასის მომდევნო ეტაპზე გავიდნენ

გერმანიის თასის ფინალი, როგორც იცით, დედაქალაქ ბერლინში იმართება ხოლმე და უკვე მერამდენედ ხდება ისე, რომ თვითონ ბერლინელები ამ ტურნირს ნაადრევად ეთიშებიან. *"ბერლინი, ბერლინი, ჩვენ ბერლინისკენ მივდივართ!"* - ეს ის ტრადიციული შეძახილია, რასაც გერმანიის თასის მატჩებში აბსოლუტურად ყველა გუნდის ქომაგი ყვირის ხოლმე მას მერე, როცა საფინალო სასტვენი გაისმება და გადაწყდება, რომ ეს გუნდი მომდევნო ეტაპზე გავიდა. მეორე ეტაპზე ასეთი შეძახილის უფლება 16 გერმანულ კლუბს მიეცა და მათ შორის არ იყო "ჰერტა".

ლუსიენ ფავრის შეგირდები, არც მეტი, არც ნაკლები, რეგიონალიგის ჩრმომადგენელ "ვუპერტალთან" დამარცხდნენ (0:2) - გუნდთან, რომლის ფეხბურთელებს მაისურებზე, ნომრის ზემოთ გვარებიც კი არ აწერიათ და გუნდთან, რომელსაც 12 000-იანი სტადიონი აქვს, რომელსაც Zoo-Stadion (ზოოპარკის სტადიონი) ჰქვია. მოკლედ, "ჰერტამ" კიდევ ერთხელ შეირცხვინა თავი. "ვუპერტალმა" დედაქალაქურ კლუბს გოლები 81-ე და 86-ე წუთებზე გაუტანა და აქვე იმასაც გეტყვით, რომ მეორე გოლის ავტორი "ვუპერტალის" მთავარი მწვრთნელის შვილია. აღსანიშნავია ისიც, რომ სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, "ჰერტას" მოედნიდან "ყასაბი" **იოზიპ შიმუნიჩი** გაუძევეს, რომლისთვისაც ეს ბერლინურ კარიერაში მე-6 წითელი ბარათი (!) იყო.

ლევან კობიაშვილის "შალკე" კი მერვედფინალში ითამაშებს. ოღონდ, გელზენკირხენელებს გამარჯვება ნერვების ფასად დაუჯდათ. **მირკო სლომკას** გუნდის მეტოქე "ჰანოვერი" გახლდათ და "წითლები" "ხუმარებს", როგორც მოსალოდნელი იყო, მაგრად გაუძალიანდნენ. ძირითადი დრო გატანილი გოლების გარეშე დასრულდა და "შალკემ" მხოლოდ დამატებულ დროში მოახერხა მეტოქის გატეხვა. პირველი დამატებული ტაიმი 6 წუთის დაწყებული იყო, როცა "ჰანოვერის" მეკარე **რობერტ ენკემ** ავტოგოლი გაიტანა (ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, მერე ენკეს და კარში შევარდა).

"ძალიან ვწუხვარ, რეაგირება ველარ მოვასწარი. ძელიდან ასხლეტილი ბურთი მკლავზე მომხვდა და გუნდს ველარ ვუშველე," - დამწუხრებული იყო ნამატჩევს "ჰანოვერის" გოლკიპერი. 119-ე წუთზე კი, მეორე გოლი **კევინ კურანიმ** გაიტანა (**ჯონსის** პასით) და ყველაფერი ცხადი გახადა. ამრიგად, სლომკა სერიოზულ დებატებს გადაურჩა, რადგან მატჩის წინ იყო საუბრები იმის შესახებ, რომ თუ "შალკე" "ჰანოვერთან" დამარცხდებოდა, გუნდის შეფები სლომკას გათავისუფლების საკითხს დღის წესრიგში დააყენებდნენ. ამრიგად, ზედიზედ ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ, "შალკემ" ისევ ძალიან ცუდად ითამაშა (მთელი 90 წუთის განმავლობაში), მაგრამ რაც მთავარია მოიგო და რაკი ასეა, სლომკა პოსტს ინარჩუნებს.

სამშაბათსვე, პატარა სასწაული მოახდინა "ვერდერის" მოყვარულთა გუნდმა, რომელმაც იმ "ზანქტ პაულის" მოუგო, გერმანიის თასზე ტრადიციულად ძალიან კარგად რომ ასპარეზობს ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი იძულებითი პაუზისა და ორი უმძიმესი ოპერაციის შემდეგ (თირკმელი ორჯერ გადაუნერგეს), მოედანს დაუბრუნდა **ივან კლასნიჩი**. ოღონდ, ეს უკანასკნელი ჯერჯერობით მხოლოდ მოყვარულებში ითამაშებს.

აახენის "ალემანიამ" "ბოხუმი" დაიფრინა (3:2); როსტოკის "ჰანზამ" "ოფენბახს", სადაც **კლაუს ტოპმიოლერის** ვაჟი **დინო ტოპმიოლერი** თამაშობს, სულ კუდით ქვა ასროლინა (6:0), რის შემდეგაც "ოფენბახის" მწვრთნელი **ვოლფგანგ ფრანკი** თანამდებობიდან გადადგა. **მათე ღვინინაძის** "მიუნხენ1860-მა" "მაინცს" სძლია 2:1 (ქართველმა თავიდან ბოლომდე ითამაშა) და მერვედფინალში გაიღწია, სამაგიეროდ, თასის მილმა აღმოჩნდა **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუე" - გუნდი, რომელიც ბუნდესლიგაში ძალიან კარგად ასპარეზობს, თასზე "ვოლფსბურგთან" დამარცხდა (0:1, გოლი: **დეჟაგა**). იაშვილმა მოედანზე 67 წუთი დაჰყო. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, ეს ნამდვილად არ იყო ქართველი თავდამსხმელის დღეო. მერვედფინალში გავიდა **რალფ რანგნიკის** "ჰოფენჰაიმიც" (2:1 "ფიურტთან").

გოტფრიდ ლენცი

რუდი ფიოლერი

ინტერვიუ რუდი ფიოლერთან

გაბრაზებაც ვიცი, თანაც ისეთი...

რუხი მგელი იმის გამო წუხს, რომ გერმანულმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში უკანასკნელად 5 წლის წინათ ითამაშა...

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ, გერმანიაში შეიქმნა სიმღერა, რომელიც გერმანიის ნაკრების იმდროინდელ თავკაც რუდი ფიოლერს მიეძღვნა. სიმღერის სათაური ასეთი გახლდათ: "არსებობს მხოლოდ ერთადერთი რუდი ფიოლერი." რუდი მართლაც ერთია და იმ დროისთვის "რუხ მგელს" მხოლოდ რბილ, კეთილ და ერთი სიტყვით, ბუნჩუა ფიოლერად იცნობდნენ. მაგრამ მერე იყო ცნობილი ტელეგადაცემა, როცა ბუნდესმწვრთნელმა თოქშოუს წამყვანი პირდაპირ ეთერში გამოლანძღა. დღეს რუდი ლევერკუზენის "ბაიერის" სპორტული დირექტორია. ცოტა ხნის წინათ, ფრანკფურტის "აინტრახტთან" განცდილი მარცხის შემდეგ, ფიოლერმა მატჩის მთავარ არბიტრს შეუტია, თუ მას სინდისი და ნამუსი აქვს, მინიმუმ ერთი კვირის განმავლობაში ქუჩებში ტრანსპარანტით უნდა ირბინოს, რომელზეც ეწერება, დამნაშავე ვარ და ძალიან მრცხვენიაო. "შტუტგარტთან" წაგების შემდეგ კი, ფიოლერის რისხვის ობიექტი "ბაიერის" თავდამსხმელები თეოფანის გეკასი და შტეფან კისლინგი გახდნენ. გუშინწინ "ბილდმა" ერთადერთი და განუმეორებელი რუდი ფიოლერის ინტერვიუ გამოაქვეყნა.

- ჰერ ფიოლერ, უკვე დაწყნარდით?

- (იცინის) რა თქმა უნდა, დავწყნარდი! ხომ იცით, დიდხანს სიფიცხე არ მჩვევია. იმისათვის, რომ წყობიდან გამოვიდე, რაღაც ძალიან ცუდი უნდა მოხდეს და საერთოდ, ჩემს გაბრაზებას იშვიათად ახერხებენ ხოლმე, მაგრამ როცა ვბრაზდები, ძალიან სერიოზულად. "ლევერკუზენს" უამრავი საგოლე მომენტი ექმნება, მაგრამ უმეტესობას ვერ ვიყენებთ. რატომ? ჩვენ ხომ გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გვყავს? განა დაავიწყდა, როგორ უნდა გოლის გატანა?

- და პირად ცხოვრებაში?

- არა, პირად ცხოვრებაში ასე ძალიან არასდროს გავცეცხლებულვარ. სახლში ყველაფერი გაცილებით ჰარმონიულადაა. ჩემი მეუღლე საბრინა ბავშვების აღზრდითაა დაკავებული, წიგნებს უკითხავს და ცდილობს, განათლება მიაღებინოს, აზრზე მოიყვანოს. თუმცა არის მომენტები, როცა ბავშვებს ეჩხუბება კიდეც და მე ის კაცი ვარ, რომელიც მეუღლეს ამას არასდროს დაუშლის, რადგან საბრინამ ზუსტად იცის, როდის როგორ უნდა მოექცეს შვილებს.

- საინტერესოა, რა ენაზე ეჩხუბება ხოლმე თქვენი მეუღლე ბავშვებს?

- თავიდან გერმანულით იწყებს, მაგრამ ყოველთვის იტალიურად ამთავრებს. ამაში გასაკვირი არაფერია, იტალიური ხომ უფრო დრამატული ენაა (იცინის).

- მანქანის ტარებისას ბრაზდებით ხოლმე?

- დიახ და უმეტესად საკუთარ თავზე. ბოლოს ბრემენში მომეშალა ნერვები: ვიცოდი, რომ ას მეტრში კამერა იყო დამონტაჟებული, მაგრამ სიჩქარე მაინც არ დავაგდე და ერთ კვირაში სახლში სამახსოვრო ფოტოც მივიღე. ძალიან გავბრაზდი - ხომ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, რატომ არ დავაგდე სიჩქარე?

- ცნობილია, რომ თქვენ არ მოგწონთ ის ფაქტი, კლუბებს ხშირად კვირაში ორი თამაში რომ უწევთ და არ მოგწონთ უეფას თასის ამჟამინდელი ფორმატიც...

- რას ვიზამთ, რაც არის, არის! ოღონდ, ასეთ შემთხვევაში, ყველა კლუბი ერთნაირ მდგომარეობაში უნდა იყოს. კლუბები იმდენ ფულს ხარჯავენ უეფას თასზე მოსახვედრად, რომ დაუშვებელია, ამის გამო ეროვნულ ჩემპიონატში მათ დაჩაგვრას ჰქონდეს ადგილი. ალბათ მიხვდით, რასაც ვგულისხმობ: გუნდს, რომელმაც ხუთშაბათს უეფას თასზე ითამაშა, შაბათს ბუნდესლიგაში მორიგი მატჩი არ უნდა ჰქონდეს ჩასატარებელი. ამიტომაც ვამბობ, რომ კვირას გერმანიის ჩემპიონატის უფრო მეტი თამაში უნდა ჩატარდეს. ორი დღე დასასვენებლად არ კმარა, უეფას თასზე მოთამაშე კლუბებს დასვენებისთვის მინიმუმ სამი დღე უნდა ჰქონდეთ.

- გერმანული კლუბები საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან გვარცხვენენ. ჩვენი სამეული ჩემპიონთა ლიგაში ცუდად ასპარეზობს და ექსპერტები სერიოზულად შიშობენ, რომ გერმანული საკლუბო ფეხბურთის რეგრესის შეჩერება ჯერჯერობით შეუძლებელია...

- დიახ, სამწუხაროდ ეს რეალობაა. ბოლო წლებში გერმანულმა საკლუბო ფეხბურთმა მართლაც დაკარგა ის ფასი, რაც ადრე ჰქონდა. სამწუხარო რეალობაა ის, რომ გერმანულმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბოლოს 2002 წელს ითამაშა (ლევერკუზენი). უეფას კოეფიციენტების ცხრილი, ანუ ბოლო ხუთი წლის რეიტინგი ნამდვილად არ იტყუება: ინგლისმა, ესპანეთმა და იტალიამ ძალიან გაგვასწრეს. რაც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ ფულით წარმატებას ვერ იყიდი, მაინც ისე გამოდის, რომ გოლები სწორედ ფულს გააქვს. უკვე დიდი ხანია, რაც ევროპის ტოპკლუბებთან ახლოს მხოლოდ "ბაიერნია".

- "ბაიერნზე" რას იტყვით, თქვენც ფიქრობთ, რომ ამ გუნდის ჩემპიონობა გარდაუვალია?

- დიახ, მეც ასე ვფიქრობ. ამ სეზონში ისევ "ბაიერნის" ერთპიროვნულ ბატონობას ვიხილავთ და მიუნხენელები უპრობლემოდ გახდებიან ჩემპიონები. ცხადია, უმჯობესი იქნებოდა, ეს სეზონი რომ დაიძაბოს და ბავარიელებმა "ვერცხლის სინი" იოლად ვერ მოიპოვონ, მაგრამ, სამწუხაროდ, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, რომ ამის იმედი გვქონდეს.

გოტფრიდ ლენცი



ზეპ ბლატერმა
ბრაზილიას ნდობა გამოუცხარა

მუნდიალი 2014

იქნება თუ არა ბრაზილია მზად?

2014 წლის მუნდიალის ბრაზილიაში გამართვის საკითხი აქტუალობას არ კარგავს. მიმომხილველები ნერენ, რომ ქვეყანაში უსაფრთხოების არავითარი გარანტია არ არსებობს. ბრაზილიაში წელიწადში 45 ათას ადამიანს კლავენ. პოლიცია ძალადობის აღკვეთას ვერ ახერხებს. ქალაქი რესიფე ერთ-ერთია იმ ათი ქალაქიდან, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები უნდა გაიმართოს. იქ წელიწადის განმავლობაში 100 ათას ადამიანზე 80 მკვლელობა ხდება. ეს მაჩვენებელი ორჯერ აღემატება შეერთებული შტატების ყველაზე საშიში ქალაქების მაჩვენებელს. ძველი თაობის ბრაზილიელები ამბობენ, როცა პირველ მუნდიალს ვუმასპინძლეთ, ღია კარებებსა და ფანჯრებში გვეძინაო. 1950 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში, შეიცვალა ბრაზილიელთა ცხოვრების სტილი. მდიდარი და საშუალო შეძლების მოქალაქეთა სახლები ციხე-სიმაგრეებს ჰგავს. მათ სახლებს მაღალი გალავნები, ხოლო ფანჯრებს რკინის გისოსები აკრავს.

ბრაზილიაში დანაშაულის ყველაზე გავრცელებული ფორმებია დაყაჩაღება საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ავტომანქანის გატაცება, აგრეთვე ბანკიდან გამოსულ ადამიანებზე თავდასხმა. ჩვეულებრივი ამბავია ადამიანების გატაცებაც: წინასწარ შეთვალიერებულ პირს მცირე ხნით დაატყვევებენ, სანამ ის საკუთარი ხელით არ გამოიტანს ფულს ბანკომატიდან და მას ყაჩაღებს არ მიუთვლის. ამ დანაშაულს წვრილი კრიმინალები ჩადიან. ქვეყნისათვის გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემაა ორგანიზებული დანაშაული. ასეთი ჯგუფები ნარკოტიკისა და იარაღის კონტრაბანდას მისდევენ. ოქტომბრის დასაწყისში, რიო დე ჟანეიროში, პოლიციასა და კრიმინალებს შორის მორიგი მასშტაბური შეტაკება მოხდა. სროლას 12 ადამიანი, მათ შორის 4 წლის ბავშვი შეეწირა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რიოს რამდენიმე ღარიბ კვარტალს ნარკომოვაჭრეები აკონტროლებენ. ერთი თვის წინ ფიფამ ბრაზილიაში ფაქტების შემსწავლელი ჯგუფი მიავლინა. მათ ვითარებაში გარკვევა ჰქონდათ დავალებული. ჯგუფის წევრები ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთ შეხვდნენ. მათ წარუდგინეს 3.3 მილიარდ დოლარად ღირებული პროექტი, რომელიც დანაშაულის პრევენციას ითვალისწინებს. პროექტის განხორციელება ახლახან დაიწყო. მის ავტორებს იმედი აქვთ, რომ დანაშაულის რაოდენობას საგრძნობლად შეამცირებენ. ივლისში რიო დე ჟანეიროში პანამერიკული თამაშები გაიმართა. ხელისუფლებამ უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღო. თითქმის ყველა ქუჩასა და მოედანს პოლიციის პატრული აკონტროლებდა. რიოში 18 ათასი სამართალდამცავი ჩაიყვანეს. ტურნირმა სერიოზული ინციდენტების გარეშე ჩაიარა, თუმცა მის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე რიოს ყველაზე საშიშ უბნებში მორიგი ოპერაცია ჩაატარეს. კრიმინალებთან შეტაკებისას 19 ადამიანი დაილუპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობი ფაულერი ენფილდს მესამედ ეწვია სტუმრის რანგში

ლივერპული

სამი კვირა ტორესის გარეშე

რიისეს საიდუმლო და ფაულერის მესამე დაბრუნება

"ლივერპულის" ხელმძღვანელობამ გამოძიების დაწყება გადაწყვიტა. დირექტორები ეჭვობენ, რომ დოკუმენტები მოიპარეს. ყველაზე სავარაუდოა, რომ ის მერსისაიდელთა ბაზის მავანმა თანამშრომელმა ხელს გააყოლა.

გუშინ "ლივერპულმა" "კარდიფთან" ლიგის თასის მატჩი გამართა. "ენფილდ როუდზე" მეტოქე გუნდის შემადგენლობაში ითამაშა **რობი ფაულერმა**. ფაულერს მერსისაიდელთა ცოცხალ ლეგენდად თვლიან. სხვა დროს მისი ლივერპულში დაბრუნება განსაკუთრებულ მოვლენადაც კი შეიძლებოდა ჩათვლილიყო, მაგრამ გუშინ მასპინძლებს ზეიმისათვის არ ეცალათ. ლივერპულში ტრავმათა ეპიდემია მძვინვარებს. "კარდიფთან" მატჩის შედეგი, შეგიძლიათ, ამავე ნომერში შეიტყოთ, ფაულერს ქვემოთ დავუბრუნდებით, იქამდე კი იმ განწყობის შესახებ მოგითხრობთ, რომელიც მერსისაიდელთა ბანაკში ბოლო ორი დღის განმავლობაში იყო გამეფებული.

პრემიერლიგის ბოლო ტურში ("არსენალთან" შინ 1:1) "ლივერპულს" **ფერნანდო ტორესი** დაუშავდა. ის პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. მხოლოდ **ანდრეი ვორონინით, დირკ კუიტითა** და **პიტერ კრაუჩით რაფა ბენიტესის** შეგირდების პოტენციალი საკმაოდ შეზღუდულია. მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის. მწვრთნელი მომდევნო სამ კვირას ტორესის გარეშე გაატარებს, თუმცა მისი საკადრო პრობლემები ამით არ ამოიწურება. იმავე შეხვედრაში **ჩაბი ალონსომ** ტერფის ძვალი გაიტეხა. **ხავიერ მასკერანო** ავადმყოფობს. **ჯერმეინ პენანტი** და **დანიელ აგერიც** შვებულებაში იმყოფებიან. ბენიტესმა ჩემპიონთა ლიგის სამ მატჩში ერთი ქულა მოიპოვა. მას პრემიერლიგაშიც ცუდად მისდის საქმეები. ამიტომ "კარდიფთან" წაფორხილების უფლება არ ჰქონდა.

რაც შეეხება ფაულერს, 32 წლის თავდამსხმელმა "კარდიფში" გადასვლის შემდეგ ახალგაზრდობა გაიხსენა და უკვე შვიდი გოლი შეაგდო. გაითვალისწინეთ, რომ ფორვარდმა ტრავმის გამო ჩემპიონატის დასაწყისში რამდენიმე ტური გამოტოვა. რობიმ "ლივერპული" გასულ ზაფხულს, უკვე მეორედ დატოვა. მას მშობლიური კლუბის წინააღმდეგ "ლიდსისა" და "მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაშიც უთამაშია. ის ლივერპულელი ქომაგებისათვის დღემდე "ღმერთია". ეს ფაულერის მეტსახელი გახლავთ. 32 წლის გოლეადორმა მერსისაიდელთა მაისურით 369 მატჩი ჩაატარა 183 გოლი შეაგდო.

დუნგამ ფავორიტები დაასახელა

ბრაზილია

დუნგა და ბევრი გერმანელი

ნოემბერში ბრაზილიის ნაკრები ორ საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს. "პენტაკამპეონები" ჯერ პერუს ესტუმრებიან, სამ დღეში კი ურუგვაის მიიღებენ. წინასთან შედარებით, **კარლოს დუნგამ** 22-კაციან შემადგენლობაში მხოლოდ ერთი კორექტივი შეიტანა. **ალექს სილვას** ნაცვლად, მწვრთნელის რჩეულთა შორის "ვერდერის" მცველი **ნალდო** მოხვდა. აღვნიშნოთ, რომ დუნგამ მხოლოდ ერთი ადგილობრივი ფეხბურთელი (**კლებერი**) გამოიძახა. ყველაზე მეტი (6) ლეგიონერი ბუნდესლიგიდანაა, აქედან, სამი მცველია. სერია A-მ დუნგას 5 "იტალიელი" გაუგზავნა, პრიმერა დივიზიონმა და პრემიერლიგამ, შესაბამისად, 4 და 3. მთლიანობაში კი, მწვრთნელის არჩევანი ასეთია:

მეკარეები - **ჟულიო სეზარი** (ინტერი, იტალია), **ალეშანდრე დონი** (რომა, იტალია);

მცველები: **მაიკონი** (ინტერი, იტალია), **დანიელ ალვეში** (სევილია, ესპანეთი), **ალექს კოშტა** (ჩელსი, ინგლისი), **ჟუანი** (რომა, იტალია), **ლუსიო** (ბაიერნი, გერმანია), **ჟილბერტო** (ჰერტა, გერმანია), **კლებერი** (სანტოსი), **ნალდო** (ვერდერი, გერმანია);

ნახევარმცველები: **ჟილბერტო სილვა** (არსენალი, ინგლისი), **ჟოსუე** (ვოლფსბურგი, გერმანია), **მინეირო** (ჰერტა, გერმანია), **ფერნანდო** (ბორდო, საფრანგეთი), **დიეგო** (ვერდერი, გერმანია), **ელანო** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **კაკა** (მილანი, იტალია), **ჟულიო ბაპტიშტა** (რეალი, ესპანეთი);

თავდამსხმელები: **რობინიო** (რეალი, ესპანეთი), **რონალდინიო** (ბარსელონა, ესპანეთი), **ვაგნერ ლავი** (ცსკა, რუსეთი), **აფონსო** (ჰეერენვეენი, ჰოლანდია).

ვერდერი

ფრინგსი ისევ დაშავდა

ბრემენელები ჰოდოლსკის არ ეშვებიან...

ტორსტენ ფრინგსი

გუშინ, ბრემენის "ვერდერის" გულშემატკივრებმა მეტად არასასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს: **ტორსტენ ფრინგსი** ისევ ტრავმირებულია და დიდი შანსია, რომ "მუსიკოსების" ერთ-ერთმა ლიდერმა რამდენიმე კვირა ლაზარეთში გაატაროს. საყრდენმა ნახევარმცველმა ტრავმა გასულ შაბათს, "შალკესთან" მატჩის დროს მიიღო. *"მუხლში ტკივილი ისევ ვიგრძენი. არადა, მანამდე არანაირი პრობლემა არ მქონია. პირველმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ტრავმა მაქვს,"* - განაცხადა ტორსტენმა.

არადა, ფრინგსი მოედანს ცოტა ხნის წინათ, "ოლიმპიაკოსთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დაუბრუნდა. მან მუხლის მძიმე ტრავმა 24 ივლისს მიიღო და მას მერე, "ოლიმპიაკოსთან" მატჩამდე ლაზარეთში იყო. ახლა კი, დაბრუნდა და ისევ დაშავდა, რაც "ვერდერისთვის" შოკისმომგვრელი ფაქტია. *"როგორც ჩანს, ეს სეზონი ჩემთვის ძალიან უიღბლო იქნება,"* - წუხს ფრინგსი. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენ ხანს დააკლდება ტორსტენი ბრემენულ კლუბს. იძულებითი პაუზა სავარაუდოდ მინიმუმ ერთ თვეს გასტანს.

მართალია, "ბაიერნის" თავდამსხმელმა **ლუკას პოდოლსკიმ** თქვა, მიუხედავად კრიზისისა, მიუხხენიდან აბარგებას არ ვაპირებ და იმის დამტკიცება მინდა, რომ "ბაიერნი" ჩემი შეძენისას არ შემცდარაო, მაგრამ "ვერდერის" ხელმძღვანელები ჯიუტად ცდილობენ მის გადაბირებას. *"დღესაც მიმაჩნია, რომ პოდოლსკი ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელია. ჩვენ მზად ვართ, სამსახური შევთავაზოთ და ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მივცეთ. მიროსლავ კლოზეს მაგალითმა გვიჩვენა, რომ ნებისმიერი ნიჭიერი ფეხბურთელი "ვერდერში" უმაღლესი დონის მოთამაშედ ყალიბდება,"* - აცხადებს "ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** "შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, "ვერდერი" მზადაა, ზამთარში რეკორდმაისტერს პოდოლსკის სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო გადაუხადოს, მაგრამ შანსი იმისა, რომ პოლდი ბრემენში გადავიდეს, ძალიან მცირეა, რადგან ცოტა ხნის წინათ ბავარიული გიგანტის მენეჯერმა **ული ჰიონესმა** თქვა, ზამთარში არცერთ ფეხბურთელს არ გავყიდითო.

ჩასუქებული ბრაზილიელი

აილტონს დუისბურგიდანაც აგდებენ

თუ გინდა, იყო ნამდვილი ზებრა, ივარჯიშეო...

ვინ მოთვლის, ბოლო წლებში უკვე მერამდენედ გვიხდება იმის წერა, რომ ბრაზილიელი თავდამსხმელი **აილტონი** ამა თუ ამ გუნდში დიდი იმედებითა და ზარ-ზეიმით გადავიდა, მაგრამ მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა და გაურკვეველ მდგომარეობაშია. მას მერე, რაც ტონიმ "ვერდერი" დატოვა, გუნდი სადაც გერმანიის ჩემპიონი და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ამ ფეხბურთელს ბედნიერება აღარ ღირსება. გასულ ზაფხულს მან "დუისბურგს" სწორედ იმ იმედით მიაშურა, რომ "ზებრების" ქომაგებს არაერთი გოლით გაახარებდა და გერმანიას იმ აილტონს გაახსენებდა, რომელმაც 2003/04 წლების სეზონში ბუნდესლიგაში 28 გოლის გატანა შეძლო. მაგრამ ტონის კვლავ ვერ აეწყო საქმე და ისევ გაურკვევლობაშია.



აილტონი

ორშაბათს აილტონი ტყუპების მამა გახდა, მაგრამ კლუბში იმდენად ცუდად აქვს საქმე, რომ სრულყოფილად ბედნიერი ვერ იქნება. "დუისბურგის" მთავარი მწვრთნელი **რუდი ბომერი** მას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს და გუნდიდან გაშვებით ემუქრება. *"ბოლოს და ბოლოს, აილტონმა ვარჯიშზე უნდა მოუმატოს და უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ფეხბურთის თამაში ჯერ კიდევ უნდა. ბოლო დროს მე მის თვალებში ცეცხლს ვეღარ ვხედავ. თანაც, ჭარბი წონა აქვს და მის დასაგდებად არაფერს აკეთებს. ძალიან გაზარმაცდა და მინდა გითხრათ, რომ ასეთი ფეხბურთელი გუნდში არ მჭირდება,"* - აცხადებს ბომერი. შეგახსენებთ, რომ აილტონმა გერმანიის სეზონში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა (4 თამაშში), სულ კი, ბუნდესლიგაში 215 მატჩში 106 გოლი აქვს.

ფანკლუბი

ჯურნალები მილანში

მკრეხელები, რომელთაც მადონინის ქალაქში იუვენტუსის ქომაგობისა არ რცხვენიათ...

ბარსელონაში ძნელად ნახავთ მადრიდის "რეალის" ფანს. მანჩესტერში თითქმის წარმოუდგენელია მოსისხლე "ლივერპულის" ქომაგების ხილვა. აი, მილანში კი "იუვენტუსის" ფანები დიახაც არსებობენ და მათ კლუბს 630 წევრი ჰყავს. მაგრამ მილანში, სადაც ორი გრანდი ბინადრობს, "იუვეს" ქომაგობა უსაფრთხო სულაც არ არის. "ბებერი ქალბატონის" თაყვანისმცემლები ქუჩაში, მით უფრო, "სან სიროს" სიახლოვეს, საყვარელი გუნდის მაისურებით არ ჩნდებიან. სამაგიეროდ, ყოველთვის, როცა "იუვე" შინ თამაშობს, სხდებიან ავტობუსში ან მატარებელში და ერთი საათის სავალზე, ტურინში მიემგზავრებიან. ასეთ დროს შავ-თეთრი მაისურებიც თან მიაქვთ და "ქალბატონს" ომახიანად ქომაგობენ.

უჩვეულო მოვლენას, ტურინელთა მილანურ ფანკლუბს, სახელად "მადონინა" ჰქვია. ეს სახელი არ შეიცავს სიტყვას "მილანი", მაგრამ იტალიაში ოდნავ განათლებული ადამიანისთვისაც კი ნათელია, რომ "მადონინა" მილანს გულისხმობს. მადონინა ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქის კათედრალთან მდგარ ღვთისმშობლის ქანდაკებას ჰქვია. ამის გამო მილანურ დერბისაც კი "მადონინას" უწოდებენ. ამგვარად, მინიშნება აშკარაა. ნათელია, რომ ფანკლუბ "მადონინის" წევრები მილანელები არიან, მაგრამ რატომღაც არა "მილანს" ან "ინტერს", არამედ მათ დაუძინებელ მტერ "იუვენტუსს" ქომაგობენ. ჩნდება კითხვა: როცა ქალაქს ორი ერთმანეთზე უკეთესი კლუბი ჰყავს, რატომ უნდა მოუნდეს ვინმეს უცხო საფეხბურთო კოლექტივის მხარდაჭერა. "მადონინის" წევრი **გვიდო სეკრეტო** ამბობს: *"იმიტომ, რომ "იუვეს" ისტორია ოქროს ასოებითაა დაწერილი. მისი სახელი მუდამ გამარჯვებასა და დიდებასთან ასოცირდება. "იუვე" მუდამ იარსებებს, იმ დროსაც კი, როცა სხვა ყველა სახელგანთქმული კლუბი შეწყვეტს არსებობას."*

"იუვენტუსის" მილანელმა გულშემატკივრებმა კლუბი 1964 წელს ჩამოაყალიბეს. **იგორი**, რომელმაც ჟურნალისტს გვარის საიდუმლოდ შენახვა სთხოვა, შენიშნავს: *"იუვენტუსისა"* და *"ინტერის"* ორგანიზებულ ფანკლუბებს, განსაკუთრებით ულტრასებს, ერთმანეთთან მტრული დამოკიდებულება აქვთ. სამაგიეროდ, ამ გუნდების რიგითი ქომაგები უპრობლემოდ თანაცხოვრობენ, ისე შეხმატკბილებულადაც კი, თითქოს, "იუვენტუსი" ჩვენივე ქალაქის მესამე გუნდი იყოს."

"მადონინის" ზოგიერთი წევრი წარმოშობით მილანიდან არ არის. მათ ქვეყნის ყველა კუთხიდან იტალიის ფინანსურ დედაქალაქს მიაშურეს, რათა სამუშაო ეპოვნათ. "იუვენტუსს", ისევე, როგორც "ბაიერნს" გერმანიაში, სამშობლოში ყველაზე მეტი ქომაგი ჰყავს. "ბებერი ქალბატონი" ეროვნული სიამაყეა. ის მთელ იტალიას ეკუთვნის და ლამის ეროვნულ ნაკრებთანაა გაიგივებული. "იუვენტუსი" განსაკუთრებით სამხრეთში უყვართ. იქაურებს ურჩევნიათ, თავიანთი ქალაქების პატარა კლუბების ქომაგობას ნამდვილ გრანდს დაუჭირონ მხარი. ცნობილია, რომ "იუვეს" ტურინს მიღმა უფრო მეტი გულშემატკივარი ჰყავს, ვიდრე საკუთრივ ტურინში. *"იუვენტუსს" იმიტომ ვქომაგობ, რომ სხვა კლუბის სიყვარული ვერ წარმომიდგენია,* - ამბობს "მადონინის" კიდევ ერთი წევრი **პაოლო ბანკარდინო**. - *"გულწრფელად გეტყვით, ფეხბურთსაც "იუვენტუსის" გამო ვუყურებ. მის ფანობას რელიგიური სექტის წევრობას შევადარებდი."*

"მილანის" ან "ინტერის" ქომაგები პაოლოს შეფასებას კატეგორიულად არ დაეთანხმებიან. მავან მილანელს, შეიძლება, არცერთი ადგილობრივი გრანდი არ ეხატებოდეს გულზე, მაგრამ მილანში დაუწერელი კანონივითაა - თუ ჩვენებს არ ქომაგობ, უქომაგე თუნდაც მაჩანჩალას, მაგრამ არა "იუვეს". მილანელები "იუვენტუსის" გულშემატკივრებს მატრაკვეცებს უწოდებენ. მათი აზრით, ამ ადამიანებმა ფეხბურთი საერთოდ არ იციან და "იუვეს" მხოლოდ წარმატებების გამო მიეწებნენ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲑᲔᲚᲢᲝᲜ ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ: ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჩემპიონატის მეორე ტური რუსთავში გაიხსნა. "აზოტის" ამერიკელმა ახალწვეულმა ბელტონ რივერსმა თსუ-ს წინააღმდეგ იმდენად კარგად ითამაშა, რომ თითქმის მთელი მიმოხილვა მასზე საუბარს დავუთმეთ. აქედან გამომდინარე, თუ კვირის მატჩებში ვინმე საოცრებებს არ ჩაიდენდა, ტურის MVP-დ რივერსი უნდა დასახელებულიყო. კვირას "ავიამშენმა" "დინამო" იოლად (105:62) დაამარცხა, ხოლო "ვითამ" მიმდინარე სეზონში პირველი გამარჯვება "მაკაბისთან" მოიპოვა.

ბელტონ რივერსის ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. ვფიქრობთ, იგი ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს.

- ბელტონ, პირველ რიგში, საქართველოს ჩემპიონატში, სუპერლიგაში წარმატებულ დებიუტს გილოცავთ.

- დიდი მადლობა, დებიუტი ნორმალურად მქონდა, თუმცა დამიჯერეთ, ამაზე გაცილებით კარგადაც შემიძლია თამაში.

- რატომ მაინც და მაინც საქართველო? სხვა შემოთავაზებები თუ გქონდათ?

- კი, სხვა შემოთავაზებები ნამდვილად მქონდა, მაგრამ კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე, აქ ჩამოსვლა გადავწყვიტე. თანაც, დამატებითი მოტივაცია ევროპის თასზე მონაწილეობა იყო. არ მეგულება მოთამაშე, რომელიც ევროპის რომელიმე თასზე გამოსვლას მოტივირებული, მონდომებული არ შეხვდება.

- გქონდათ თუ არა წარმოდგენა ქართულ კალათბურთზე?

- სიმართლე გითხრათ, არანაირი წარმოდგენა არ მქონია. ვიცოდი, ისევ და ისევ, ჩემი აგენტისგან, რომ საქართველოში სპორტის ამ სახეობას ყურადღებით ეკიდებიან, მაგრამ კონკრეტულად რომელიმე კლუბზე ან მოთამაშეზე ინფორმაციას არ ვფლობდი.

- არც ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი ან ვლადიმერ ბოისა გაგიგონიათ?

- ფაჩულიას ვიცნობ კიდეც, მაპატიეთ, რომ გამომრჩა მისი მოხსენიება. ცქიტიშვილიც ვიცი. ბოისაც ევროპაში თამაშობს, არა? იტალიაში, თუ არ ვცდები?

- იტალიაში იყო, ახლა კი რუსეთშია.

- რუსებს მაგარი ჩემპიონატი აქვთ.

- ადაპტაცია როგორ გაიარეთ?

- ნორმალურად. საერთოდ, კომუნიკაბელური პიროვნება ვარ, იოლად ვეგუები უცხო გარემოს, ვცდილობ, რაც შეიძლება სწრაფად ავუღო ალღო ყველაფერს.

- ბელტონ, გამოკვეთილი მეორე ნომერი ხართ, თუმცა იმავე "ვითასთან" შეხვედრაში მომენტებში პირველი ნომრის ფუნქციებიც შეითავსეთ.

- დიახ, გამოკვეთილი მეორე ნომერი ვარ, თუმცა, სადაც მთავარი მწვრთნელი დამაყენებს, იქ ვითამაშებ. ცენტრობა გამიჭირდება, სხვაგან კი, აგერ, აქ ვარ და გამომიყენეთ (იცინის).

- რა შეგიძლიათ თქვათ თანაგუნდელებზე?

- როგორც ვიცი, "ენერჯი ინვესტიდან" საქართველოს ნაკრებში რამდენიმე მოთამაშე ირიცხება. ძალიან სწრაფია ჩვენი გუნდის ძირითადი ფლეიმეიქერი (გამყრელიძე), მომწონს მისი შემცვლელიც (ცეკვავა) და ბაბუ (ბაბიაშვილი). რაც შეეხება იოვან სტეფანოვს, მას იქამდეც ვიცნობდი და ვიცოდი, რომ მაღალი დონის მოთამაშე იყო. საერთო ჯამში, საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს.

- როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი გუნდის ძლიერი მხარე?

- მოდით, ერთი თამაშიდან გამომდინარე ნუ გამაცემინებთ პასუხს, რადგან ზედაპირულად ნათქვამი გამომივა. დაველოდოთ შემდეგ შეხვედრას და მერე, ალბათ, გიპასუხებთ. ისე კი, დაცვაში კარგათ ვთამაშობთ. ხომ იცით, ნებისმიერი შეტევა დაცვით, კარგი, საუკეთესო დაცვით იწყება და იმედი მაქვს, ჰოლანდიელებთან ორივე მატჩში ჩვენს საუკეთესო თვისებებს წარმოვაჩენთ.

- ბელტონ, როგორც ვიცით, რამდენიმე კვირის განმავლობაში "ატლანტა ჰოქსში" ისინჯებოდით.

- კი, მართალია, "ჰოქსში" ვიყავი და იმედი მაქვს, რომ ჩემი მომდევნო მცდელობა, მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში ადგილის დამკვიდრებისა, უფრო წარმატებული იქნება. ატლანტაში ვარ დაბადებული და ჩემი სურვილი "ჰოქსის" შემადგენლობაში თამაშია. მჯერა, რომ ერთ დღეს (და, რაც შეიძლება, მალე) ამ გუნდის წევრი ვიქნები.

- ატლანტაში ყოფნისას ზაზა ფაჩულიასთან ერთად თუ ივარჯიშეთ?

- კი, სადღაც ორი კვირის განმავლობაში ზაზასთან ერთად ვვარჯიშობდი. ძალიან ყურადღებიანი ადამიანია და ჩემთვის დიდი პატივი იყო მასთან და "ჰოქსის" სხვა წევრებთან ერთად ვარჯიში.

- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

- მიყვარს ვიდეო-თამაშები, ტელეფონზე საუბარი, ახალი ფილმების ნახვა, კიდევ ბევრი რამ. საერთოდ, ყველაფერი ახალი მხიბლავს. ასეთი ვარ.

- თქვენი კერპი ვინ არის?

- როგორც ასეთი, კერპი არ მყავს, მაგრამ კალათბურთში ყველაზე მეტად ალენ აივერსონი მომწონს. არაჩვეულებრივი მოთამაშეა, რომელსაც არაფრისა და არავისი ეშინია.

ბელტონ რივერსი



- მის გამო, ალბათ, "ნაგეტსს" გულშემატკივრობთ?

- კი, ახლა "ნაგეტსსაც" ვქომაგობ, თუმცა ყოველთვის "დეტროიტის" ფანი ვიყავი. იქიდან მოყოლებული, "პისტონზსში" ტომასი, როდმანი, ლემბირი და, რა თქმა უნდა, დუმარსი რომ იყვნენ.

- წელს ვინ გახდება ჩემპიონი?

- "ენერჯი ინვესტი" (იცინის). ჩემი აზრით, ჩემპიონობის ფავორიტები "სან ანტონიო" და "დეტროიტი" იქნებიან. არ მომწონს "სპურსი", მაგრამ ძალიან მაგრები არიან, "დეტროიტში" კი ჩემი მეგობარი, ჩონსი ბილაპსი თამაშობს. ასევე ვმეგობრობ "ჰოქსის" ფორვარდ ჯოშ სმიტთან, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მაგარი ნახტომი აქვს და ნლეულს საუკეთესო დამცველის პრიზიც უნდა მიიღოს. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი მაქვს.

- საუკეთესო ახალბედაც ჰოქსელი ხომ არ გახდება?

- ელ ჰორფორდს გულისხმობთ?

- დიახ.

- არა მგონია. გრეგ ოდენი რომ არ დამტვრეულიყო, ალბათ იგი გახდებოდა, ახლა კი ფავორიტი კევინ დიურანია.

აზოტი-თსუ	97:67
ვითა-მაკაბი	74:61
ავიამშენი-დინამო	105:62

ᲥᲣᲚᲐ

მოთამაშე	თ	ქ
1. გიორგი შერვაშიძე (მაკაბი)	2	27.5
2. ბელტონ რივერსი (აზოტი)	2	23.5
3. გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი)	2	22.5
4. მიხეილ პეტრეშვილი (ვითა)	2	21.0
5. შიო ხეცურიანი (თსუ)	2	18.5
6. ვლადიმერ პეტანიშვილი (ვითა)	2	18.0
7. იოვან სტეფანოვი (აზოტი)	2	17.5
8. კოტე ტულუში (ავიამშენი)	2	16.5
9. ზვიად გაგიაშვილი (აზოტი)	2	14.0
10. რიჩარდ მათიასშვილი (თსუ)	2	12.5

ᲛᲝᲮᲡᲜᲐ

მოთამაშე	თ	მ
1. გიორგი შერვაშიძე (მაკაბი)	2	15.5
2. რიჩარდ მათიასშვილი (თსუ)	2	13.0
3. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ)	2	12.0
4. იოვან სტეფანოვი (აზოტი)	2	11.0
5. რევაზ ათანელიშვილი (დინამო)	2	10.0
6. დავით ბერიძნიშვილი (ვითა)	2	10.0
7. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი)	2	7.0
8. ზვიად გაგიაშვილი (აზოტი)	2	6.5
9. ვლადიმერ პეტანიშვილი (ვითა)	2	6.5
10. გიორგი მარკოიშვილი (ვითა)	2	6.0

ᲞᲐᲡᲘ

მოთამაშე	თ	პ
1. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ)	2	7.0
2. გიორგი გამყრელიძე (აზოტი)	2	5.5
3. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი)	2	4.5
4. გიორგი მარხვაშვილი (ვითა)	2	5.5
5. შიო ხეცურიანი (თსუ)	2	2.5
6. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი)	2	3.5
7. კოტე ტულუში (თბილავიამშენი)	2	2.5
8. ლევან ლაფანაშვილი (დინამო)	2	3.0
9. ბელტონ რივერსი (აზოტი)	2	4.5
10. ოთარ ფაიქრიძე (დინამო)	2	2.5

ᲩᲐᲭᲠᲐ

მოთამაშე	თ	ჩ
1. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი)	2	3.5
2. გიორგი გამყრელიძე (აზოტი)	2	3.0
3. მიხეილ ბერიშვილი (ვითა)	2	3.0
4. დავით ბერიშვილი (მაკაბი)	2	2.5
5. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ)	2	2.5
6. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი)	2	1.5
7. გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი)	2	1.5
8. ლევან ლაფანაშვილი (დინამო)	2	1.5
9. ფლავა კოზარიძე (თსუ)	2	1.5
10. გიორგი მარხვაშვილი (ვითა)	2	1.5

ᲓᲐᲣᲨᲐᲠᲔᲑᲐ

მოთამაშე	თ	დ
1. ანვარ შერგიუსონი (აზოტი)	2	3.0
2. გიორგი შერვაშიძე (მაკაბი)	2	2.5
3. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი)	2	2.0
4. რიჩარდ მათიასშვილი (თსუ)	2	2.0

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ

მოთამაშე	თ	შ
1. გიორგი შერვაშიძე (მაკაბი)	2	8.0
2. რევაზ ათანელიშვილი (დინამო)	2	5.5
3. გულივერ ანალაკი (დინამო)	2	5.5
4. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ)	2	5.0
5. ვლადიმერ პეტანიშვილი (ვითა)	2	5.0

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ...

მეტი მოხსნა	53, თსუ
მეტი მოხსნა დაცვაში	33, ვითა
მეტი მოხსნა შეტევაში	21, თსუ
ნაკლები მოხსნა	37, დინამო
მეტი პასი	20, აზოტი
ნაკლები პასი	11, მაკაბი
მეტი ფოლი	22, დინამო
ნაკლები ფოლი	14, აზოტი
მეტი შეცდომა	25, მაკაბი
ნაკლები შეცდომა	12, ავიამშენი

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

1. გიორგი გულისაბედაშვილმა 27 წუთში 7-დან 6 ორანი და 7-დან 6 სამიანი გააფუჭა.

2. სამიანები ყველაზე უკეთ "თბილავიამშენმა" შეასრულა – 21-დან 11 ზუსტი სროლა.

3. ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც 20 წუთზე მეტი ითამაშა და არცერთი შეცდომა არ დაუშვია, "თბილავიამშენის" კაპიტანი ირაკლი ხოშტარია იყო – 29 წუთი, 0 შეცდომა.

4. ბელტონ რივერსმა 8 ზუსტი სამიანით მიმდინარე სუპერლიგის რეკორდი დაამყარა.

5. მიხეილ ბერიშვილმა პირველ ტურში 7-დან 6 სამიანი გამოიყენა, მეორე ტურში კი - 9-დან მხლოდ 2.

6. შიო ხეცურიანმა 26 წუთში 23 ქულა დააგროვა. ნათამაშევ დროსთან შეფარდებით, ეს ამ სეზონში ქულების საუკეთესო მაჩვენებელია.

7. მესამე მეოთხედში "თბილავიამშენმა" "დინამოსთან" სეზონის ყველაზე დიდი გაქცევა მოაწყო. ლევან მოსეშვილის გუნდმა მეტოქეს 6 წუთი 17:0 მოუგო.

8. 40 წუთი მოედანზე მხოლოდ ირაკლი ბერიშვილმა დაჰყო.

9. "მაკაბიმ" ორქულიანები უფრო კარგად (42/19, 45.2 პროცენტი) შეასრულა, ვიდრე საჯარამოები – (18/8, 44.4).

10. შეტევაში ყველაზე მეტი მოხსნა თსუ-ს გამთამაშებელმა (1), მიხეილ ჩიტაშვილმა (6) დააგროვა.

სტატისტიკა აღებულია www.gbf.ge-დან

ᲠᲘᲒᲑᲘ

ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ

BTA Silk Road Bank

ᲥᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE

LOYALCAPITAL group

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

უკვე მოყვანილი მიზეზით, პორტუგალიასთან მატჩში საქართველოს ნაკრებს დააკლდებიან პირველხაზელები **გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, დავით ზირაქაშვილი** და **ავთანდილ კოპალიანი**. მათ ნაცვლად ნაკრების მწვრთნელებმა გამოიძახეს: **გიორგი ულენტი** (ბიარიცი), **ირაკლი ჭყონია** (კლერმონი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული) და **ანტონ ფეიქრიშვილი** (აჟენი).

უკანა ხაზში ტრავმის გამო გამოტოვებს შეხვედრას **მალხაზ ურჯუკაშვილი**. ჯერაც საეჭვოა **ირაკლი მაჩხანელის** ჩამოსვლა. ნაკრებს დაუბრუნდება **თემურ სოხაძე**, რომელიც ამჟამად უგუნდოდაა.

ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, სერიოზული პრობლემა შეექმნა რუმინეთის ნაკრებსაც, რომელსაც 4 ნოემბერს ბუქარესტში რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ულეგიონერებოდ მოუწევს თამაში.

ცნობილია საქართველო-პორტუგალიის მატჩის მსაჯთა ბრიგადაც. შეხვედრას იტალიელები გასჯიან. არბიტრი **გვიდო დე სანტისი** იქნება. თამაში ეროვნულ სტადიონზე, 15 საათზე დაიწყება.

ᲔᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ 2007/-08

3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ-ᲩᲔᲩᲔᲗᲘ

4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საქართველო	4	3	0	1	+103	6
2. რუსეთი	4	3	0	1	+70	6
3. რუმინეთი	3	2	0	1	+66	4
4. პორტუგალია	3	2	0	1	+15	4
5. ესპანეთი	5	2	0	3	-23	4
6. ჩეხეთი	5	0	0	5	-231	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალური სპორტის ისტორიიდან

ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი ლელო N 56, 2006.

სპორტული ტანვარჯიში. 1986 წელს საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლებზე თხრობას ტანვარჯიშით განვაგრძობთ. ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებას ჩვენმა ოსტატებმა მიაღწიეს წლის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპარეზობაზე - სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადაზე მოსკოვში. ოქროს მედალი ღერძზე და ბრინჯაოსი - ტაიჭზე, წილად ხვდა **ვლადიმერ გოგოლაძეს**, ოქროსი -რგოლებზე **ალექსანდრე ლებედევს**, სპარტაკიადის ჩემპიონობა ქალთა შორს ხტომებში **ეკა ზეთურიძემ** დაისაკუთრა. უდავოდ თვალსაჩინო იყო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ვაჟთა ნაკრების გასვლა მესამე საპრიზო ადგილზე. კრასნოიარსკში ქალთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისელი **ეკა ზეთურიძე** ვერცხლის მედალს დაეუფლა მრავალჭიდში, შემდეგ მოიგო სსრკ თასი (ერევანი), რაც ასევე დიდი წარმატება იყო. ბრწყინვალედ იასპარეზა მოსკოვში გამართულ ახალგაზრდულ საერთაშორისო პირველობაზე 16 წლის **ემზარ ფუნთუშაშვილმა**. მან პირველობა არავის დაუთმო ხტომებში, ღერძსა და ტაიჭზე ვარჯიშებში და, რაც ყველაზე მნიშვლონელოვანია, აბსოლუტური პირველობა მოიგო მრავალჭიდში. ეკა ზეთურიძე სსრკ ნაკრებში ამერიკელ და საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა სამატჩო შეხვედრაში მონაწილეობდა ნიუ იორკში. ეს შეხვედრა მოიგო საბჭოთა ნაკრებმა, რომელსაც ქართველმა ქალიშვილმა 39.5 ქულა მოუტანა.

მხატვრული ტანვარჯიში. ცნობილმა ოსტატებმა თბილისში იასპარეზეს ჟურნალ "საქართველოს ქალის" პრიზზე. **თინათინ ნადირაშვილმა** რუს ელენე ხოლოდოვასთან ერთად გურზებით ვარჯიშში პირველი ადგილი გაიყო, სახტუნაოთი მეორე - ისევ ხოლოდოვასთან, ლენტით ვარჯიშში ნადირაშვილი მესამე ადგილზე გავიდა, მრავალჭიდში კი მეორე-მესამე ადგილი გაინაწილა. სსრკ ხალხთა სპარტაკიადა მინსკში ჩატარდა. ჯგუფურ ვრაჯიშში საქართველოს ნაკრებმა "ბრინჯაო" მოიპოვა. გუნდში გაომოდიოდნენ: **ინგა ჩხაიძე, ელენე აბაზაძე, ფიქრია ფანქველაშვილი, ევგენია შირინკინა, იზოლდა მთავრიშვილი, ბელა დავითური და თამარ ქუმსიშვილი**. ევროპის პირველობაზე ქ. ფლორენციაში **ირმა ყიფშიძე** ვერცხლის მედალს დაეუფლა. ეს სპორტსმენი მონაწილეობდა აგრეთვე მსოფლიოს თასის გათამაშებაში (იაპონია) სსრკ ნაკრების შემადგენლობაში და გახდა მეორე პრიზიორი.

ბატუტზე ხტომა. მინსკშივე საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენი ბატუტისტებიდან ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **რუსუდან ხოფერიამ.** რუსუდანმა პოლონეთში იუნიორთა ევროპის პირველობაზე სვეტლანა სლონოვასთან წყვილში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა სინქრონულ ხტომებში. საკავშირო ნაკრებთან ერთად კი გუნდური გამარჯვება ხვდა წილად.

აკრობატიკა. სსრკ ხალხთა სპარტაკიადა. მინსკი. ოქროს მედალი მოუტანა საქართველოს **ფატი სულაქველიძემ** (ხტომები) და ვაჟთა ოთხეულმა - **ოლეგ სლოვკოვი, ვახტანგ ბოტკოველი, გია აღაპიშვილი და გოდერძი ახობაძე**. ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა გოგონათა სამეულმა-**ინგა გიორგობიანი, მარინე შაღაშვილი, ნატალია ანისიმოვა**. იგივე ჯილდო გუნდურ ჩათვლაში დაიმსახურა საქართველოს ნაკრებმა. გოგონათა ამ სამეულმა სსრკ ჩემპოინატის ვერცხლის მედალიც მოიგო. ხტომებში კი მესამე ადგილზე ფატი სულაქველიძე გავიდა. გოგონათა იგივე სამეულმა მოსკოვში საკავშირო ტურნირის ვერცხლის მედალიც მოიპოვა. იმ წელიწადს კოსმონავტ ვოლკოვის პრიზზე საერთაშორისო ტურნირი თბილისში გაიმართა. აქ მეორე იყო **ჯონდო მარიდაშვილი** - ხტომებში, **კარინა სარქისიანი** და **ჰამლეტ ღარიბოვი** წყვილთა ვარჯიშში, **ირმა ჩოქური, ლალი ჩოხელი** და **კესო მაი-**

www.sportphoto.ge

მაია ჩიბურდანიძე

მაია აზარაშვილი

სურაძე - ჯგუფურ ვარჯიშში. II-III ადგილები კი ჯგუფურ ვარჯიშში შესაბამისად **ილია გოგორიშვილის, ვაჟა არაყიშვილის, დიმიტრი კარტოზიას, ემზარ აბუაშვილის, გოდერძი ახობაძის, გია აღაპიშვილის, ოლეგ სლივკოვის, ვახტანგ ბოტკოველის** ოთხეულებმა დაიკავეს. ჯონდო მარიდაშვილმა ქ. ვორონეჟში გამართული სპორტსაზოგადოებათა ახალგაზრდული საკავშირო პირველობის ოქროს მედალოსანი გახდა ხტომებში.

ფარიკაობა. ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით ასპარეზობა გაიმართა მოსკოვში. საქართველოს ფარიკაობის სასპარტაკიადო ისტორიაში, პირველად მოიპოვა გუნდური მეორე ადგილი ჩვენმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდენ **დავით თურქია, მერაბ ბაზაძე, ირაკლი გვარამაძე, ზაზა მჭედლიძე და აკაკი მახარაძე**. ქ. გორკში ასევე ვერცხლის მედალს დაეუფლა იუნიორთა საკავშირო პირველობაზე საქართველოს ნაკრები. **ვლადიმერ აფციაური** "დინამოს" საკავშირო ნაკრებთან ერთად ევროპის ქვეყნების თასით დაბრუნდა პარიზიდან.

ცხენოსნობა. საქართველოს მხედრებმა თბილისის იპოდრომის დახურულ მანეჟში, სომხეთის წარმომადგენლებს უმასპინძლეს. "გახსნის პრიზი" მოიგო **კახაბერ კიკიანმა**, ორჭიდი - **შალვა ჭაფოძემ** (უფროსი ასაკის ცხენით) და **ავაქ სამველიანმა** (უმცროსი ასაკის ცხენით), ცხენის გაწვრთნაში ორივე პრიზი (დიდი და მცირე) **ოთარ ქვაჩახიამ** დაიმსახურა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველოს პირველი ნაკრები, 2. საქართველოს მეორე ნაკრები, 3. სომხეთის ნაკრები.

თანამედროვე ხუთჭიდი. სსრკ ნაკრებში ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი **ვახტანგ იაგორაშვილმა**. წლის ყველაზე ავტორიტეტული შეჯიბრება იყო კეთილი ნების თამაშები, რომელიც გაიმართა მოსკოვში. ქართველმა სპორტსმენმა ბრწყინვალედ მოიგო პირადი პირველობა და თამაშების ოქროს მედალს დაეუფლა. უმაღლესი ჯილდო გადაეცა გუნდურ პირველობაში გამარჯვებისთვისაც და მეორე იყო სსრკ ჩემპიონატში, რომელიც კეთილი ნების თამაშების პარალელურად გაიმართა. სხვა შეჯიბრებებში 1986 წელს ვ. იაგორაშვილის წარმატებები ასეთი იყო: სსრკ ხალხთა სპარტაკიადა (ტალინი)-III ადგილი; საერთაშორისო ტურნირი (ერევანი)-ვერცხლის მედალი; სსრკ ზამთრის ჩემპიონატი (მოსკოვი) ბრინჯაოს მედალი; საერთაშორისო ტურნირი (გფრ) - პირველი ადგილი საკავშირო ნაკრებში; სსრკ თასის გათამაშება (მინსკი) - მთავარი ჯილდო; საერთაშორისო ტურნირი (ბულგარეთი) - პირველი ადგილი პირადში სსრკ ნაკრებში გუნდრი მესამე ადგილი. ამავე შეჯიბრებაში იაგორაშვილთან ერთად საკავშირო ნაკრებში გამოდიოდნენ თბილისელები **იგორ ბრიზგალოვი** და **რევაზ ლოხიშვილი**.

ველოსპორტი. ტრეკზე რბოლებში არაერთი წარმატება მოუტანა საქართველოს **ოთარ მჭედლიშვილმა**. იგი პირველი იყო ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში (მოსკოვი) სპრინტი. მოიგო საკავშირო თასი (ტულა) ამავე პროგრამაში, მეორე ადგილზე გავიდა ჯგუფურ რბოლაში და მესამე იყო 200 მ-ზე გიტში. კლასიკურ სახეობებში გამართულ საკავშირო შეჯიბრებებზე (მოსკოვი) ოთარმა 2000 გიტი (სვლით) პირველობა არავის დაუთმო, 100 მ-ზე გიტში (ადგილიდან) კი ვერცხლის მედალს დაეუფლა. ასევე "ვერცხლი" ხვდა წილად კეთილი ნების თამაშებში (მოსკოვი) 1000 მ-ზე გიტში. მანამდე საკავშირო სპარტაკიადაშიც იპირველა ამავე პროგრამაში. აქ მესამე ადგილზე გავიდა მეორე თბილისელი - **გენადი გოდუნოვი**. სსრკ ჩემპიონის რანგში ოთარ მჭედლიშვილმა მოიგო საკავშირო შეჯიბრება 200 მ-ზე გიტში (სვლით) და გუნდური რბოლა სამ წრეზე პროფკავშირების საკავშირო ნაკრებში. თბილისში გაიმართა ოლიმპიური მზადების ცენტრების ველოსპრინტერთა საკავშირო ტურნირი. 200 მ-ზე გიტში გამარჯვება ოთარ მჭედლიშვილმა. ამავე დისტანციაზე იუნიორთა შორის პირველი იყო **გოჩა ბეჟაშვილი**. სსრკ ჩემპიონატში მრავლადღიან (მარათონულ) რბოლაში 75 წრეზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა თბილისელების **გენადი გოდუნოვისა** და **თემურ გიგოლაევის** წყვილი. ლვოვი. იუნიორთა საკავშირო პირველობა სატრეკო რბოლებში. აქ ვერცხლის მედალი ერგო **ვლადიმერ ადამაშვილს** 200 მ-ზე გიტში (სვლით). მანვე მსამე ადგილი დაიკავა სპრინტერთა ასპაეზობაში. ჯგუფურ რბოლაში 45 წრეზე 9 საშუალედო ფინიშით ყველას აჯობა თბილისელმა **ვიაჩესლავ ქარუმიძემ**.

ავტოსპორტი. "იალბუზი-86" ამ სახელწოდებით ჩატარდა საკავშირო ავტორალი. ორი დღის ასპარეზობის ჯამში საუკეთესო შედეგი საქართველოს ეკიპაჟს - სოხუმელებს **პეტრე ნაჭყებიას** (მძღოლი) და **რობერტ კეიანს** (შტურმანი) აღმოაჩნდა. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა. რუსთავში გამართულ საკავშირო წრიულ რბოლაში (I ეტაპი) სხვადასხვა კლასში პირველ ადგილზე შგავიდნენ საქართველოს ნაკრების წევრები **გივი ატუაშვილი, გურამ თვაური, ოთარ მამრიკიშვილი და დავით ჩხაიძე**, მეორე იყო **მერაბ ქადაგიძე**.

ფიგურული ციგურაობა. სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადაზე წარმატებას მიაღწია 18 წლის თბილისელმა **ანდრეი ტროროსიანმა**, რომელიც მესამე პრიზიორი გახდა და პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. მანვე სსრკ თასი მოიპოვა ერევანში, შემდეგ მოიგო მოსკოვის ღია პირველობა და ლიპეცკში საერთაშორისო ტურნირი. ყველა წარმატებას მან მიაღწია ერთეულთა თანრიგში.

ციგურებით რბენა. ზამთრის საკავშირო სპარტაკიადის მესამე პრიზიორი გახდა 1500 მ რბენაში **ინგა გილაური**.

ციგაობა. 15 წლის ბაკურიანელი მოსწავლე **ლევან თიბილოვი** სვერდლოვსკში საკავშირო შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გადის, ასევე ბრინჯაოს მედალს ეუფლება **კახა ვახტანგიშვილთან** ერთად ორადგილიანი ციგით ასპარზობაში. **ზაზა კურტანიძე - ბადრი ჯანგობეგოვის** წყვილმა კი ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ამ წყვილმა ასევე მეორე ადგილი დაიკავა შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობაზე.

თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა. "ჩრდილოეთის დღესასწაულის" ტურნირი 70 მ ტრამპლინიდან ასპარეზობა დასრულდა ბაკურიანელი სპორტსმენის **კახა წაქაძის** გამარჯვებით. შემდეგ მან მოიგო კიროვსკში საკავშირო პირველობა 60 მ ტრამპლინიდან. ასპარეზობაში და მეორე იყო სსრკ თასის გათამაშების პირველ ეტაპზე 70 მ ტრამპლინზე (ქ. ნიჟნი-ტაგილი).

მეკლდეურობა. გაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონატს და მიხეილ ხერგიანის მემორიალს უმასპინძლა. ორივე ასპარეზობაში ქალთა შორის ოქროს მედალს დაეუფლა **ეკატერინე ჭკადუა**. ხერგიანის მემორიალში ვაჟთა ინდივიდუალურ გარბენში პირველი იყო **ზურაბ ქიტუაშვილი**, რომელიც შემდეგ **რობერტ გურჩიანთან** წყვილში მოიპოვა ოქროს მედალი.

ჭადრაკი. საქართველოს სპორტსმენთაგან 1986 წელს ყველაზე მეტ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მოჭადრაკეებმა იასპარეზეს და, შესაბამისად, წარმატებების წლის სარეკორდო რაოდენობა მათ წილად მოდის. **თამაზ გიორგაძე** I-II ადგილს იყოფს XIV საჭადრაკო ფესტივალში, (ესპანეთი) ესტონეთშივე მან მოიგო ორი საერთაშორისო ტურნირი. **მ. ჩიბურდანიძის** გამარჯვებით დასრულდა საერთაშორისო ტურნირი იუგოსლავიის ქალაქ იაიცეში. რაც მთავარია, მაია მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ბორჯომში გამართულ მატჩში მან 8.5:5.5 სძლია **ელენა ახმილოვსკაიას**, შემდეგ მსოფლიო პირველობის ამ ორივე ფინალისტმა, **ნონა გაფრინდაშვილთან** და **ნანა ალექსანდრიასთან** ერთად ქალთა XII საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონობა მოიპოვა სსრკ ნაკრების სახელით ქ. დუბაინი. **ნინო გურიელი** იმარჯვებს იუგოსლავიასა და ბულგარეთში გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირებში. **ნანა იოსელიანი** ასეთივე წარმატებას აღნევს კუბაში, ფრუნზეში კი სსრკ ჩემპიონის ტიტულს იხვეჭს. ვიცე-ჩემპიონი ხდება **ქეთევან არახამია**. ეს მოჭადრაკე 16-წლამდელ გოგონათა საკავშირო ტურნირიდან შინ ოქრო მედლით ბრუნდება, თბილისში კი ვ. გოგლიძის მემორიალში I-III ადგილი გაიყო. **ნონა გაფრინდაშვილმა** ზედიზედ მეორედ მოიპოვა ქ. იერის (საფრანგეთი) ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზი. **ქეთევან კახიანმა** 16 წლამდელ გოგონათა მსოფლიო პირველობის შესარჩევ, არგენტინაში კი თავის ასაკში დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. საერთაშორისო ტურნირი მოიგო **ზურაბ სტურუამ** - მონღოლეთში, **ნანა ალექსანდრია** პოლონეთში მეორე იყო. საჭადრაკო კომპოზიციაში, კერძოდ, ეტიუდების ჟანრში ოქროს მედალი დაიმსახურა **დავით გურგენიძემ**. სწორედ 1986 წელს მიიღეს საჩუქრად ქუთაისელებმა მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო კლუბი.

წლის საჭადრაკო ოსკარი საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო გაერთიანებამ 1986 წელს მიღწეული მაღალი წარმატებისთვის მაია ჩიბურდანიძეს ხვდა წილად. მასვე მიენიჭა საჭადრაკო წლის ლაურეატის წოდება. მაია ჩიბურდანიძე საქართველოში ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვაში 10 რჩეულ სპორტსმენს შორის სიის სათავეში მოხვდა.

საქართველოს 1986 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი:

1. მაია ჩიბურდანიძე (ჭადრაკი), 2. მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა), 3. დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 4. ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი), 5. აკაკი კიბორძალიძე (ძიუდო), ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში), 7. ოლეგ სტრიჟაკოვი (მძლეოსნობა), 8. თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა), 9. გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა), ჯემალ მჭედლიშვილი (ქართული ჭიდაობა).

1986 წლის 5 საუკეთესო გუნდი: **1. მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 2. ლანჩხუთის "გურია" (საფეხბურთო გუნდი), 3. ძიუდოს ნაკრები, 4. წყალბურთელთა სასპარტაკიადო ნაკრები, 5. ვაჟ ტანმოვარჯიშეთა სასპარტაკიადო ნაკრები.**

1986 წლის საუკეთესო მწვრთნელები (ანბანის მიხედვით): **1. ჰანს ბურჯანაძე (სპორტული ტანვარჯიში), 2. ევგენი გაგუა (მძლეოსნობა), 3. იური გუტიაკულოვი (წყალში ხტომა), 4. ნატალია მაშუკი (სინქრონული ცურვა), 5. ომარ მერაბიშვილი (ძიუდო), 6. ვლადიმერ მესტვირიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 7. ნელი სალაძე (მხატვრული ტანვარჯიში), 8. ანატოლი სლივკოვი (აკრობატიკა), 8. ირაკლი ჩხიკვაძე (წყალბურთი), 10. დილარ ხაბულიანი (ძიუდო).**

თენგიზ გაჩეჩილაძე
გაგრძელება იქნება

სპეციალური

რას მიაკვლია იურისტმა?

გუშინ, მასმედიის საშუალებებს დაურიგდათ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსის იმედა ხუციშვილის დადგენილება სეოკ-ის აღმასკომის 24 ოქტომბრის სხდომასთან დაკავშირებით.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ დღეისთვის სეოკ-ის მოქმედი წესდება რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2005 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით და ამ წესდების შემადგენელი ნაწილია "სეოკ-ის აღმასკომის (გამგეობის) წევრების" ჩამონათვალი. თითოეული წევრის ლეგიტიმურობა დადასტურებულია წევრთა პირადი ხელმოწერით. რეესტრში კი მათი საპასპორტო მონაცემები და მისამართია შეტანილი.

ზემოხსენებულ დოკუმენტებში, როგორც დადგენილებაშია ჩაწერილი, არ ფიგურირებს 9 პიროვნების გვარი, რომლებიც აღმასკომის წევრის სახელით, ხმის უფლებით მონაწილეობდნენ 24 ოქტომბერს გამართულ აღმასკომის სხდომაში, რომელზეც გადაწყდა, თუ ვინ შეასრულებდა დროებით სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასკომის წევრის სახელით, კენჭისყრით მიცემული 9 ხმა უნდა ჩაითვალოს ბათილად დამდგარი შედეგით, ანუ კენჭისყრის რეალური მონაცემებით ხმათა რაოდენობა, ათი თერთმეტის წინააღმდეგ, პირველი ვიცე-პრეზიდენტის სასარგებლოდაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი | ინტერვიუ თამაზ თევზაძესთან

ქუთაისი, ერზურუმი, დრამენი...

და მთავარი მიზანი: ევრო 2010

თამაზ თევზაძე საქართველოს ნაკრების დაჯილდოებაზე

ახლახან დასრულებულმა "ჩელენჯ ტროფის" თბილისურმა ეტაპმა კიდევ ერთხელ შეახსენა ქართველ გულშემატკივარს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები, რომელიც ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, წლეულს დაუბრუნდა საერთაშორისო ასპარეზს. ეროვნული ნაკრების სამმავლო გეგმებსა და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე.

- "ჩელენჯ ტროფის" ფინალში გასვლა ქართული ხელბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო წარმატება იყო. როგორც იცით, ფინალი გაიმართება ნორვეგიაში, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას და ჩვენი ნაკრები წარდგება ევროპული ელიტის წინაშე. გადაწყდა, რომ ლუქსემბურგთან ფინალს 20 იანვარს ვითამაშებთ ქალაქ დრამენში, სადაც ნორვეგიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ მატჩებს ატარებს. 20 იანვარს, ჯგუფური ეტაპის ბოლო დღეა. თბილისის დროით 18 საათზე, "ჩელენჯ ტროფის" ფინალი შედგება საქართველოსა და ლუქსემბურგს შორის. ამის შემდეგ კი იმავე დარბაზში, ნორვეგია - ჩერნოგორიისა და დანია-რუსეთის მატჩებია.

- "ჩელენჯ ტროფის" თბილისურ ეტაპზე საქართველოს ნაკრების თამაშს როგორ შეაფასებდით?

- თავდაპირველად, ის უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე წარმატებით თამაშშზე ვაკეთებთ აქცენტს, რომელიც 2008 წლის ოქტომბერში დაიწყება. შესაბამისად, "ჩელენჯ ტროფი" ჩვენი გუნდისთვის ჩინებული საშუალებაა აღნიშნული ტურნირისთვის მოსამზადებლად.

რაც შეეხება ნაკრების თამაშის ხარისხს, ნათქვამია, გამარჯვებულს არ ასამართლებენო. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოსამზადებლად ცოტა დრო იყო და საკონტროლო მატჩების ჩატარებაც ვერ მოვახერხეთ. თუმცა, მოლდოვასთან შეხვედრაში ალბათ მაინც არ უნდა შეგვქმნოდა ამდენი სანერვიულო.

- ფინალამდე როგორი მოსამზადებელი პირობები ექნება ნაკრებს?

- როგორც იცით, თურქეთის ხელბურთის ფედერაციასთან გაფორმებული გვაქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის პირველი ნაბიჯია თურქეთ-საქართველოს ამხანაგური მატჩები. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები სამ-სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ 19, 20 და 21 დეკემბერს, ერზურუმში.

ამას გარდა, გვაქვს დიდი სურვილი, რომ ფინალისთვის ნორვეგიაში რამდენიმე დღით ადრე ჩავიდეთ და იქ დავასრულოთ მოსამზადებელი ეტაპი. თუმცა, ეს საკმაოდ დიდ ხარჯებს უკავშირდება, რადგან ნორვეგიაში ცხოვრება ძვირი ჯდება. "ჩელენჯ ტროფზე" მონაწილე გუნდებს, ძირითადად აფინანსებს ევროპის ხელბურთის ფედერაცია და ფინალისთვის გარკვეულ თანხას მოგვცემს. თუკი დრამენში ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავედით, მაშინ ალბათ დამატებითი ხარჯების გაღება მოგვიწევს. ასეთ შემთხვევაში, მასპინძლები უნდა შეგვაწუხოთ, რომლებთანაც თანამშრომლობის ხელშეკრულება და მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს. მართალია, ნორვეგიის ხელბურთის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის გამო, დიდ განამაწიანი იქნება, მაგრამ იმედი გვაქვს, უყურადღებოდ არ დაგვტოვებს. პარალელურად, სპონსორებსაც ვეძებთ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ნორვეგიელებთან თუ შეთანხმებას მივაღწიეთ, ტელერეპორტაჟის სიგნალზეც დაველაპარაკებით. მოგეხსენებათ "ჩელენჯ ტროფის" ჯგუფურ ეტაპზე, საქართველოს ნაკრების პირდაპირი რეპორტაჟების ჩვენება ვერ მოვახერხეთ. ვიმედოვნებ, ქართველი ტელემაყურებელი ფინალის პირდაპირ ტრანსლაციას მაინც ნახავს...

- სიტყვამ მოიტანა და თბილისში ვერ მოხერხდა ტურნირის პირდაპირი ტელეტრანსლაციების გადაცემა. ამასთან, სპორტის სასახლეში გულშემატკივართა ხალვათობაც თვალში საცემი იყო. რამ განაპირობა ეს?

- პირდაპირი რეპორტაჟების თაობაზე, მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ტელეკომპანია "იმედთან". სიტყვიერად თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ როდესაც ხელშეკრულება უნდა გაგვეფორმებინა, ტელეკომპანიის ხელმძღვანელობა თბილისში არ იყო და ეს ვარიანტი ჩაიშალა. სხვა ტელეკომპანიებთან მოსალაპარაკებლად კი დრო აღარ დაგვრჩა...

რაც შეეხება გულშემატკივარს, სამწუხაროდ, ათასიოდე გულშემატკივარი მართლაც ძალიან ცოტაა ეროვნული ნაკრებისთვის. ალბათ, მეტი უნდა გვემუშავა რეკლამაზე. მართალია, სპორტული პრესა სისტემატურად აშუქებდა ნაკრების მოსამზადებელ ეტაპს და არცთუ ურიგო რეკლამა გაგვიკეთა, რისთვისაც ყველა გაზეთს მადლობას ვუხდი, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ვიმედოვნებ, ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, ყველაფერი გაცილებით კარგად იქნება, არც პირდაპირი ტრანსლაციების პრობლემა შეგვაწუხებს, ტრიბუნებიც გაივსება და გულშემატკივარი საქართველოს ნაკრების მერვე ხელბურთელის ფუნქციას შეასრულებს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ევროპის ხელბურთის ფედერაციამ გადმოგვცა სარეკომენდაციო წერილები, რათა საქართველოში სპონსორები მოგვეზიდა "ჩელენჯ ტროფისა" და ეროვნული ნაკრებისთვის. თავიდან, თითქოს ყველა კომპანია მზად იყო ხოლმე მოსალაპარაკებლად, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, რატომღაც უკანიხევდნენ...

- ნაკრების მწვრთნელები მინიმუმ, "ჩელენჯ ტროფის" თბილისური ეტაპის დასრულებამდე დანიშნეთ, შემდეგ კი შედეგების მიხედვით უნდა მიგეღოთ გადაწყვეტილება...

- მამუკა მუკასეიძემ და მისმა თანაშემწეებმა ნაკრებისა მოამზადეს "ჩელენჯ ტროფისთვის", რისთვისაც ყველას მადლობას ვუხდი. მწვრთნელთა საკითხზე პრეზიდიუმის სხდომაზე ვიმსჯელებთ და გადაწყვეტილებასაც იქ მივიღებთ. ისე, ევროპის 2010 წლის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის, აუცილებლად ჩამოვაყალიბებთ ნაკრების მოსამზადებელ გეგმას და მთავარ მწვრთნელს ოფიციალურ კონტრაქტსაც გავუფორმებთ.

- ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი "ჩელენჯ ტროფიზე" გაცილებით სერიოზული ტურნირია. მით უმეტეს, რომ განახლებული სისტემის შემდეგ, ევროგრანდები განთესილები აღარ იქნებიან და შესაძლოა, ჩვენს ჯგუფში მოხვდნენ. აქედან გამომდინარე, ხომ არ გეგმავთ უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანას?

- არ დაგიმალავთ, რომ ამ საკითხზე ნიადაგი უკვე მოვსინჯეთ. თუმცა, რაკიღა ფინანსურად არ გვაქვს მაღალი დონის უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანის საშუალება, საკითხმა ჯერ-ჯერობით, აქტუალურობა დაკარგა.

- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატით დავამთავროთ. როდის განახლდება შეჯიბრება?

- მესამე წრე ჩატარდება ნოემბერში, ქუთაისის სპორტის სასახლეში, რომელიც დღეს გაიხსნა საზეიმოდ. თარიღებს კი ამ დღეებში დავამტკიცებთ, როდესაც სასახლის ხელმძღვანელობას მოველაპარაკებით.

კობა ხატისაშვილი

ჭიდაობა

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

სერბები იოლად მოვისტუმრეთ

მეოთხე ტური

ქალები

საქართველო-სერბეთი	3.5:0.5

ვაჟები

საქართველო-ფინეთი	2:2

მეოთხე ტურში ქართველ ქალებს სერბები დაუპირისპირდნენ. მაია ჩიბურდანიძემ ამჯერადაც დაისვენა და პირველ დაფაზე თამაში ლელა **ჯავახიშვილს მოუწია**. ლელამ შავებით თავი კარგად დაიცვა, **ნატაშა ბოიკოვიჩთან** მალევე გაათანაბრა პოზიცია. მეტოქე იძულებული გახდა, ყაიმი დაეფიქსირებინა.

დანარჩენი სამი პარტია ძალიან საინტერესოდ და დინამიურად მიმდინარეობდა, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო მეოთხე დაფაზე მიმდინარე შეხვედრა იყო, სადაც **მაია ლომინეიშვილი** თეთრებით **ანჯელია სტოიანოვიჩს** უტევდა. წოდებაშიც, რეიტინგშიც და გამოცდილებაშიც ქართველი ბევრად სჯობს სტოიანოვიჩს, მაგრამ ამ ტურნირზე უკვე ვინვნიეთ უყურადღებობის სიმწარე და ეს რომ არ განმეორებულიყო, ლომინეიშვილი მთელი გულისხმიერებით უნდა მოკიდებოდა საქმეს. მაიამ ასეც გააკეთა, მაგრამ მთელი პარტია ისე მიმდინარეობდა, რომ შიში გვტოვებდა. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველმა მეტოქის კუ გამოიჭირა, მაგრამ სანაცვლოდ ორი პაიკის დათმობა მოუხდა, ამავე დროს კი საკუთარი მეფე ჰყავდა მოშიშვლებული. ცხადია, ლომინეიშვილი შეგნებულად წავიდა ამ ვარიანტზე და იმედი ჰქონდა, რომ უპირატესობის რეალიზებას შეძლებდა, თუმცა ერთი მცირედი უზუსტობაც და ყველაფერი წყალში ჩაეყრებოდა, - სერბმა კონტრშეტევა სცადა, ერთი პაიკიც მოინადირა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო - ქართველის ზუსტმა თამაშმა საათი გააჩერებინა.

რთული პოზიცია იყო მესამე დაფაზე, სადაც **ნანა ძაგნიძე** შავებით იცავდა თავს **ანა ბენდერაცის** შეტევებისგან. ანამ დებიუტში ხარისხი შეწირა იმ იმედით, რომ ლაზიერის ფრთაზე გამსვლელ პაიკს შექმნიდა და მძიმე ფიგურათა მიძალებით საწადელს უწევდა. ასე არ მოხდა. ძაგნიძემ საჭირო დროს დააბრუნა ხარისხი, რაც მოწინააღმდეგის შეტევითი პოტენციალი გააუვნებლა, შემდეგ პაიკიც მოიგო და ამ უპირატესობის რეალიზება აღარ გასჭირვებია - მეორე პაიკიც მოინადირა და ერთერთი პაიკის ლაზიერად გადაქცევამდე ბენდერაცმა დამარცხება აღიარა.

ასევე დრამატული იყო **ნინო ხუციძისა** და **ირინა ჩელუშკინას** შეხვედრა, სადაც ქართველი თეთრებით თამაშობდა. დებიუტში თითქოს ბევრიც ვერაფერი მიიღო ნინომ, მაგრამ პოზიციას არც უარესი ეთქმოდა და ვიდრე მეტოქე კონტრთამაშს წამოიწყებდა, თავად წავიდა შეტევაზე: მსუბუქი ფიგურები გაცვალა, პოზიციურად მომგებიანი სვლები აკეთა და როცა საჭირო იყო, გადამწყვეტი დარტყმაც მიაყენა მეტოქეს.

3.5:0.5 მშვენიერი შედეგია, მაგრამ თავის დამშვიდების უფლება არა გვაქვს - მეხუთე ტურში კიდევ უფრო ძლიერი გუნდი შეგვხვდება და აქ უნდა ვივაჭაკაცოთ, რომ პირველობის შანსი შევინარჩუნოთ.

სულ სხვა სურათი გვაქვს ვაჟთა შორის: საქართველოს ნაკრებმა კვლავ უსუსურად ჩაატარა მატჩი და სუსტ ფინეთის ნაკრებთან 2:2 ითამაშა. ჩვენს გუნდს არც შემადგენლობის როტაციამ უშველა: ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ **ბაადურ ჯობავა** დაასვენეს და პირველ დაფაზე **თამაზ გელაშვილი** დაჯდა. შედეგი იგივეა - მარცხი. გელაშვილის მეტოქე **ტომი ნიბაკი** იყო, რომლის რეიტინგი 2565-ია, გელაშვილის კი - 2623.

მეორე დაფაზე თეთრებით მოიგო **ლევან ფანცულაიამ**, რომლის მეტოქეც საერთაშორისო ოსტატი **მიკაელ აგაპოვი** იყო. სამწუხაროდ, ვერც **დავით არუთინიანმა** შეძლო მასზე წოდებით და რეიტინგით ნაკლები **მიკა კარტუნენის** დამარცხება და ვერც **მერაბ გაგუნაშვილმა** - ამან საერთოდ ფიდეს ოსტატს, 2298 რეიტინგის მფლობელ საული კესკინგენს ვერ მოუგო. გაგუნაშვილი რომ ძალიან ცუდ ფორმაშია, უკვე ეჭვს აღარ იწვევს და, ალბათ, რაც ნაკლებად ენდობიან მას, მით უფრო უკეთესი ჩვენი გუნდისთვის...

ზვიად შათირიშვილი

ძიუდო | საქართველოს ჩემპიონატი. U 23

ნაკრები თითქმის დაკომპლექტდა

ვერის ბალის საკალათბურთო დარბაზში ორი დღე გრძელდებოდა საქართველოს ჩემპიონატი 23-წლამდელ ძიუდოისტთა შორის, სადაც 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა და 24-25 ნოემბერს ავსტრიულ ზალცბურგში გასამართი ევროპის 23-წლიანთა პირველობაზე წასაყვანი გუნდიც უნდა გამოვლენილიყო. როგორც ამ გუნდის მწვრთნელმა **ბორის ფირცხელიანმა** განაცხადა, ავსტრიაში ჩემპიონები წავლენ, რაც ადრევე იყო ცნობილი და გამარჯვებულებმა ეს უფლება დაიმსახურეს. გაურკვევლობა მხოლოდ 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში რჩება, სადაც ფინალში შიდა ქართლელ **დავით ჭაბუკაშვილის** გამარჯვებამ ამჟამად სამხრეთ ოსეთის სახელით მოსაპარეზე (სინამდვილეში, დედოფლისწყაროელია) **საბა გავაშელიშვილზე** ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა. უკმაყოფილოა თავად ფირცხელიანიც, რომელიც გავაშელიშვილის პირადი მწვრთნელიცაა და შეხვედრის მიმდინარეობაში სწორედ ამიტომ არ ჩაერია, თუმცა აპირებს, ამ ბრძოლის ვიდეოფირი ფედერაციაში მწვრთნელთა საბჭოზე განიხილოს. მის პრეტენზიებს ისინიც თუ გაიზიარებენ, მაშინ გავაშელიშვილსა და ჭაბუკაშვილს შორის ავსტრიაში წამსვლელის გამოსავლენად საკონტროლო შეხვედრა დაინიშნება.

რაც შეეხებათ სხვა ნონების ჩემპიონებს, ფირცხელიანს **ამირან პაპინაშვილის** (60), **ვარლამ ლიპარტელიანისა** (90) და **ადამ ოქრუაშვილის** (+100) გამარჯვება კანონზომიერად მიაჩნია და ამას ელოდა კიდეც. ლიპარტელიანი ახლახან, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი გახდა და ახლაც ფინალში ორი ვაზარით სუფთად დაამარცხა სარეიტინგალელი **დავით ლორიაშვილი**, რომელმაც შარშან, საქართველოს ჩემპიონატზე **ზურაბ ზვიადაურს** მოუგო. მძიმე წონაში **ადამ ოქრუაშვილი** მეტოქეებს რამდენიმე თავით აღემატება.

მწვრთნელისთვის მთავარი სიუპრიზი **შავლეგ ბერუაშვილისა** (100) და **დავით კუპრაშვილის** (73) გამარჯვებებია. ბერუაშვილის ნიჭს აქამდეც აღიარებდნენ, მაგრამ აქ უფრო გამოცდილები და ტიტულოვანებიც იყვნენ. მაგალითად, **ლევან რაზმაძე**, რომელიც ეროვნული ნაკრების მეორე ნომერია.

იგივე ითქმის კუპრაშვილზეც - აქ გამარჯხების უპირველეს პრეტენდენტებად მაინც ახალგაზრდებში ევროპის ნლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ზვიად ბაზანდარაშვილი**, აგრეთვე **უჩა ხუციშვილი** და სხვები განიხილებოდნენ.

გარკვეულწილად, სიუპრიზია **დავით ასუმბანის** (66) ჩემპიონობაც, , რადგან ის აქამდე 60-ში ჭიდაობდა, მაგრამ ახალ წონას იმდენად კარგად მოერგო, ჩინებულად იჭიდავა. ასუმბანი ამიერიდან უფროსებშიც 66-ში იჭიდავებს.

გავბედავთ და ვიტყვით, შესაძლოა, ამ გადაადგილებამ **მინდია ხომიზურის** 73-ში გადასვლაც დააჩქაროს, რადგან იქ **დავით ქევხიშვილს** ღირსეული კონკურენტი აქამდე არ გამოუჩნდა.

ირაკლი თავაძე

60 კგ.

1. ამირან პაპინაშვილი (აჭარა)
2. იოსებ ჭოლაძე (იმერეთი)
3. ბესარიონ ბვანგირაძე (იმერეთი)
3. ლევან ქოჩიანი (მცხეთა-მთიანეთი)

66 კგ.

1. დავით ასუმბანი (ქვემო ქართლი)
2. სერგო ციხელაშვილი (მცხ.-მთიანეთი)
3. უჩა ხუციშვილი (თბილისი)
3. ვალერი პეტრიაშვილი (კახეთი)

73 კგ.

1. დავით კუპრაშვილი (ქვემო ქართლი)
2. თენგიზ პაპოშვილი (კახეთი)
3. შალვა უთურგაული (თბილისი)
3. ზურაბ ლილეგაშვილი (შიდა ქართლი)

81 კგ.

1. დავით ჭაბუკაშვილი (შიდა ქართლი)
2. საბა გავაშელიშვილი (სამხრეთ ოსეთი)
3. პაატა ღვინიაშვილი (შიდა ქართლი)
3. ნოდარ მეგალიშვილი (სამცხე-ჯავახეთი)

90 კგ.

1. ვარლამ ლიპარტელიანი (რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი)
2. დავით ლორიაშვილი (ქვემო ქართლი)
3. სერგო ჯორბენიძე (იმერეთი)
3. გოდერძი ჯაფარიძე (იმერეთი)

100 კგ.

1. შავლეგ ბერუაშვილი (შიდა ქართლი)
2. მირიან გონგილაშვილი (კახეთი)
3. ზურაბ ტოლეშაშვილი (მცხ.-მთიანეთი)
3. ვალერი იმერლიშვილი (კახეთი)

+100 კგ.

1. ადამ ოქრუაშვილი (მცხეთა-მთიანეთი)
2. ზაზა ბალაშვილი (კახეთი)
3. გიგა გუგულაძე (იმერეთი)
3. ვახტანგ ზოიძე (აჭარა)

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

40 მილიონი ორ წელიწადში

რᲝᲒᲝᲠᲪ San Antonio Express-News იუწყება, "სან ანტონიო სპურსის" ლიდერი **ტიმ დანკანი** უახლოეს დღეებში კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. კალათბურთელი ორწლიანი ხელშეკრულების სანაცვლოდ 40 მილიონ დოლარს მიიღებს. ასე რომ, NBA-ის ოთხგზის ჩემპიონი "სპურსის" რიგებში 2011-12 წლების ბოლომდე დარჩება. დანკანს მთელი კარიერა "სან ანტონიოში" აქვს გატარებული და მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარი 21.8 ქულასა და 11.9 მოხსნას უტოლდება.

დალასმა მბენგა გაუშვა

რᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ჩემპიონატის პირველ დღეს, "დალას მავერიქსმა" ტრანსფერზე დააყენა აფრიკელი ცენტრი **დიჯეი მბენგა**.

26 წლის კონგოელი კალათბურთელი გასულ სეზონში 21-ჯერ გავიდა მოედანზე და საკმაოდ მოკრძალებული სტატისტიკური მაჩვენებლები ჰქონდა - 0.8 ქულა და 0.5 მოხსნა.

მინესოტა ფოის გარეშე იწყებს

"მᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ ᲢᲘᲛᲑᲔᲠᲕᲣᲚᲕᲔᲡ" მცველი **რენდი ფოის** გარეშე მოუწევს ახალი სეზონის დაწყება. 24 წლის კალათბურთელს მუხლის ძველი ტრავმა აწუხებს, რომელიც მან ამ ზაფხულს მიიღო.

აღსანიშნავია, რომ "მგლებისთვის" ფოის არყოფნა შესამჩნევი დანაკლისი იქნება, ვინაიდან გუნდში გლობალური ცვლილებების შემდეგ, ეს კალათბურთელი "მინესოტას" ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა უნდა გამხდარიყო.

ფოის დაბრუნების ზუსტი თარიღი ჯერ ცნობილი არ არის.

■ ■ ■

"მინესოტას" ბანაკში კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ ამ გუნდმა "სან ანტონიოდან" სლოვენიელი მცველი **ბენო უდრიხი** დაიმატა. 25 წლის კალათბურთელში "მგლებმა" 2008 წლის დრაფტის მეორე რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლება დათმეს.

უდრიხი "სპურსის" სათადარიგო მოთამაშე იყო. შარშან, მან 73 მატჩში მიიღო მონაწილეობა და გუნდს 5.3 ქულით, 1.8 მოხსნითა და 1.1 პასით დაეხმარა.

პავლოვიჩი კლივლენდს მოურიგდა

სᲔᲠᲑᲘ ფორვარდი **საშა პავლოვიჩი** დათმობაზე წავიდა და "კლივლენდ კავალიერზთან" 3-წლიანი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა. ეს ინფორმაცია კალათბურთელის აგენტმა **მარკ კრონშტეინმაც** დაადასტურა, თუმცა ხელშეკრულების ფინანსურ დეტალებზე არაფერი უთქვამს.

კალათბურთელი ამჟამად სერბეთში იმყოფება. მას "კავალიერზის" რიგებში წინასასეზონო მზადება არ გაუვლია, ვინაიდან არ თანხმდებოდა კლუბის მიერ შეთავაზებულ პირობებს.

პავლოვიჩი სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს ამერიკაში, რათა "დალასთან" რეგულარულის სასტარტო მატჩში მიიღოს მონაწილეობა. შარშან, სერბი 8-ჯერ მოხვდა პირველ ხუთეულში და საშუალოდ მატჩში 12.7 ქულა დააგროვა.

■ ■ ■

ამასობაში, "კლივლენდმა" დებიუტანტ ფორვარდთან, **დემეტრის ნიკოლსთან** გააფორმა კონტრაქტი. 23 წლის კალათბურთელი 2007 წლის დრაფტზე "ნიუ იორკმა" 23-ე ნომრად აირჩია, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ, თავდამსხმელი ტრანსფერზე დააყენა. ნიკოლსმა "ნიქსის" რიგებში 5 საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა და თითოში საშუალოდ 4.8 ქულას აგროვებდა.

ულების თასი ტურინში დასრულდება

წლეᲣᲚᲘ, ULEB-ის თასის გათამაშება ახალი ფორმატით წარიმართება. კერძოდ, ტურნირის ბოლოს დაგეგმილია "რვათა ფინალის" ჩატარება.

გუშინ, ULEB-მა ამ შეჯიბრების ჩატარების თარიღი და ადგილი დაასახელა. წინა ეტაპების რვა საუკეთესო გუნდი 2008 წლის 10-13 აპრილს, იტალიის ქალაქ ტურინში გამოავლენს გამარჯვებულს. თამაშები "პალაველას" დარბაზში გაიმართება, რომელიც 9 200 მაყურებელს იტევს.

ULEB-ის თასის რეგულარული სეზონი მომავალ ორშაბათს დაიწყება. წლეᲣᲚᲘ ტურნირში 24-ის ნაცვლად 54 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ᲙᲝᲚᲔᲯᲘ

კიპრუსოფი კალგარიში რჩება

"კᲐᲚᲒᲐᲠᲘ ᲤᲚᲔᲘᲛᲖᲘᲡ" მეკარემ **მიკა კიპრუსოფმა** კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულება ექვსწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს და ამ ხნის განმავლობაში, ფინელი გოლკიპერი 35 მილიონ დოლარს მიიღებს.

2006 წელს, კიპრუსოფმა სეზონის საუკეთესო მეკარის პრიზი მიიღო. NHL-ში მის ანგარიშზე 244 მატჩია და საშუალოდ შეხვედრაში 2.31 გოლს უშვებს, მოგერიებული დარტყმების პროცენტული მაჩვენებლები კი, 91.6-ს უტოლდება. "კალგარიმდე" მიკა "სან ხოსეში" თამაშობდა.

ნეშვილმა პოლიციელი დაკარგა

"ნᲔᲨᲕᲘᲚ ᲞᲠᲔᲓᲐᲢᲝᲠᲗᲘᲡ" ტაფგაი **დარსი ჰორდიჩუკი** დაახლოებით ორი კვირით გამოეთიშა აქტიურ სპორტს. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში, 27 წლის ჰოკეისტმა ფეხის თითი მოიტეხა.

ჰორდიჩუკმა წლეᲣᲚᲘ ექვსი მატჩის გამართვა მოასწრო და 10 წუთი საჯარიმო დრო დააგროვა.

ბერჟერონი ერთი თვე დაისვენებს

ᲔᲥᲘᲛᲔᲖᲘᲡ დიაგნოზით, "ბოსტონ ბრუინზის" ფორვარდი **პატრის ბერჟერონი** ერთი თვე ვერ შეძლებს ჰოკეის თამაშს. როგორც იცით, ამ ჰოკეისტს მძიმე ტრავმა მიაყენა "ფილადელფიას" მცველმა **რენდი ჯონსმა**, რის შემდეგაც ბერჟერონმა ცხვირი გაიტეხა და ტვინის შერყევა მიიღო.

ᲒᲝᲚᲤᲘ

ვუდსი ყველაზე მდიდარია

ᲪᲜᲝᲒᲘᲚᲛᲐ ამერიკულმა ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲛᲐ Forbes-მა, ტრადიციულად მსოფლიოს ყველაზე მდიდარი სპორტსმენების სია გამოაქვეყნა. ამ ჩამონათვალს, უკვე მერამდენე წელიწადია ამერიკელი გოლფის ოსტატი **ტაიგერ ვუდსი** ლიდერობს, რომელმაც 2007 წელსაც ყველაზე მეტი თანხა გამოიმუშავა. ვუდსის კაპიტალი 100 მილიონით გაიზარდა.

საუკეთესო ათეულმა ასეთი სახე მიიღო:

1. **ᲢᲐᲘ�გᲔᲠ ᲕᲣᲓᲡᲘ** (ᲒᲝᲚᲤᲘ) - $100 ᲛᲚᲜ.
2. **ᲝᲡᲙᲐᲠ ᲓᲔ ᲚᲐ ᲰᲝᲘᲐ** (ᲙᲠᲘᲕᲘ) - $43 ᲛᲚᲜ.
3. **ᲤᲘᲚ ᲛᲘᲙᲔᲚᲡᲝᲜᲘ** (ᲒᲝᲚᲤᲘ) - $42,2 ᲛᲚᲜ.
4. **ᲙᲘᲛᲘ ᲠᲐᲘᲙᲝᲜᲔᲜᲘ** (ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1) - $40 ᲛᲚᲜ.
5. **ᲛᲘᲮᲐᲔᲚ ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲘ** (ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 11) - $36 ᲛᲚᲜ.
6. **ᲓᲔᲕᲘᲓ ᲑᲔᲭᲔᲛᲘ** (ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ) - $33 ᲛᲚᲜ.
7. **ᲙᲝᲑᲘ ᲑᲠᲐᲘᲐᲜᲢᲘ** (ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ) - $32,9 ᲛᲚᲜ.
8. **ᲨᲐᲙᲘᲚ Ო'ᲜᲘᲚᲘ** (ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ) - $31,9 ᲛᲚᲜ.
9. **ᲛᲐᲘᲙᲚ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘ** (ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ) - $31 ᲛᲚᲜ.
10. **ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲘᲜᲘᲝ** (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ) - $31 ᲛᲚᲜ.

NHL. რᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ 2:4

0:0, 1:2, 1:2

გოლები: 0:1 მალკინი-4 (კროსბი-10, მელოუნი-2), 1:1 ვეილო-1 (რადივოევიჩი-5, მ. კოივუ-5), 1:2 მალკინი-5 (კროსბი-11, მელოუნი-3), 2:2 როლსტონი-6 (მ. კოივუ-6, ბერნსი-2), 2:3 სიკორა-6 (კროსბი-12, გონჩარი-6), 2:4 კროსბი-5 (გონჩარი-7, მალკინი-11).

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 2:3 (Რ)

0:0, 1:2, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 კოვალვიოვი-6, 1:1 პერენი-2, 1:2 ვიაჩ. კოზლოვი-5, 2:2 ჰიგინსი-4 (ს. კოივუ-9, კოვალიოვი-4).

ბულიტები გაიტანეს: ბრაიანი (ატლანტა), ს. კოივუ (მონრეალი), კოვალჩუკი (ატლანტა).

ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 1:2

0:0, 0:0, 1:2

გოლები: 1:0 ბოიესი-9 (კარია-12, ტკაჩუკი-7), 1:1 ზიგომანისი-2 (ზ. მიზალეკი-1), 1:2 სოსტრიომი-4 (ჰანჟალი-5).

ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ 5:1

1:0, 2:0, 2:1

გოლები: 1:0 იგინლა-7 (ლენგკოუ-8, ჰუსელიუსი-5), 2:0 ლომბარდი-5 (იგინლა-11, ტანგეი-10), 3:0 ჰუსელიუსი-7 (ლენგკოუ-9, ტანგეი-11), 3:1 რადულოვი-2 (სატერი-3, ჟიდლიცკი-5), 4:1 ნისტრიომი-1 (მოსი-4, ლომბარდი-4), 5:1 იგინლა-8 (ტანგეი-12).

ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 1:2

0:0, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ზეტერბერგი-10 (ლიდსტრიომი-9, რაფალსკი-9), 1:1 სტაიოსი-2 (სტოლი-2), 1:2 ფილპულა-2 (დაციუკი-12).

ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

- "პიტსბურგის" ლიდერმა **სიდნი კროსბიმ** გოლი და სამი შედეგიანი პასი მიითვალა.

- "მინესოტამ" ამ სეზონში პირველი მატჩი წაგო საკუთარ მოედანზე.

- "უაილდი" ზედიზედ ოთხი მატჩია ვერ იგებს, არადა წინა 8 შეხვედრაში გუნდმა 7 გამარჯვებას მიაღწია.

- მასპინძლებს სამი წამყვანი ჰოკეისტი აკლდათ - ფორვარდები **მარიან გაბორიკი** და **პავოლ დემიტრა** და მეკარე **ნიკლას ბექსტრიომი**.

კროსბი ძველებურად ათამაშდა

■ ■ ■

- "ატლანტამ" სეზონში პირველად შეძლო ზედიზედ ოთხი მატჩის მოგება.

- შეწყდა "მონრეალის" ოთხმატჩიანი მოგებათა სერია.

■ ■ ■

- "ფინიქსმა" სტუმრად ოთხიდან სამი მატჩი მოიგო. ეს იმ დროს, როცა **უეინ გრეტცკის** გუნდს საკუთარ მოედანზე 5 წაგება (6 მატჩიდან) აქვს.

- "სენტ ლუისის" ფორვარდმა **ბრედ ბოიესმა** მე-10 მატჩში მე-9 გოლი გაიტანა.

- "ფინიქსმა" 2004 წლის 16 თებერვლის შემდეგ პირველად მოიგო "სენტ ლუისის" არენაზე.

■ ■ ■

- "კალგარის" ფინელმა მეკარემ **მიკა კიპრუსოფმა** 39 დარტყმა მოიგერია.

- **ალექსანდრ რადულოვის** გოლამდე, "ნეშვილი" 177 წუთი და 44 წამი ვერ ახერხებდა შაიბის გატანას.

- "კალგარის" არენაზე ზედიზედ მეასედ დაფიქსირდა ანშლაგი.

- მასპინძელთა ფორვარდმა **დეიმონდ ლენგკოუმ** NHL-ში მე-800 მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

- **ვალტერი ფილპულამ** გამარჯვების გოლი საფინალო სირენამდე 24 წამით ადრე გაიტანა.

- "დეტროიტმა" ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო.

- ამ სეზონში "რედ უინგზის" 13-ივე მატჩში, მინიმუმ ერთი ქულა მიითვალა შვედმა ფორვარდმა **ჰენრიკ ზეტერბერგმა**.

ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ
ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ-ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ
ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ
ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ-ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ
ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ
ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ
ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ
ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ
ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ-ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ

2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ
ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ-ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ
ᲓᲐᲚᲐᲡᲘ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ
ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ
ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ

3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ-ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ
ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ
ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ
ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ
ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ
ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ-ᲩᲘᲙᲐᲒᲝ
ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ-ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ
ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ
ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ

4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ-ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ
ᲩᲘᲙᲐᲒᲝ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ

5 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ
ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ-ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ
ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ
ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ
ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ-ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ
ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ
ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ
ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ

6 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ-ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ
ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ

7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ
ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ
ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ
ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ
ᲩᲘᲙᲐᲒᲝ-ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ
ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ
ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ
ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ

8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ
ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ
ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ
ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ
ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ
ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ-ᲓᲐᲚᲐᲡᲘ

9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ
ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ
ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ
ᲩᲘᲙᲐᲒᲝ-ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ
ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ
ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ

10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ
ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ
ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ
ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ
ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ
ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ-ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ
ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ
ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ-ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ
ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ
ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ

11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲩᲘᲙᲐᲒᲝ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ
ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ

12 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ
ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ
ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ
ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ-ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ
ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ

13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ
ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ
ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ
ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ
ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ-ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ

14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ
ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ-ᲩᲘᲙᲐᲒᲝ
ᲤᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ-ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ
ᲓᲐᲚᲐᲡᲘ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ
ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ

15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ
ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲑᲐᲤᲐᲚᲝ
ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ
ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ
ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ-ᲩᲘᲙᲐᲒᲝ
ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ
ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ-ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ
ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ

16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ-ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ
ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ
ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ-ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ
ᲓᲐᲚᲐᲡᲘ-ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ
ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ

17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ
ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲝᲢᲐᲕᲐ
ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ-ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ
ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ
ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ
ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲩᲘᲙᲐᲒᲝ
ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ
ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ-ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ
ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ
ᲡᲐᲜ ᲮᲝᲡᲔ-ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ

18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ
ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ
ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ

19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ-ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ
ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ
ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲤᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ
ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲚᲐᲡᲘ-ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘ

20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ
ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ-ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ
ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ

21 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲝᲢᲐᲕᲐ
ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ
ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ
ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ
ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ
ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ
ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ-ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ
ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ
ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ
ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲤᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ

22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ
ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ
ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ-ᲩᲘᲙᲐᲒᲝ
ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ-ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ

23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ-ᲐᲘᲚᲘᲜᲓᲘᲐᲠᲘᲡᲘ
ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ
ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ
ᲐᲜᲐᲰᲘᲛᲘ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ
ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ-ᲤᲐᲛᲞᲐ ᲑᲘ
ᲑᲐᲤᲐᲚᲝ-ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ
ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ
ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ-ᲠᲘᲜᲘᲯᲔᲠᲡᲘ
ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ-ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ

NBA. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲡ ᲙᲝᲑᲘ ᲐᲠ ᲔᲧᲝ

ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ-ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ 106:97

29:26, 30:23, 22:28, 25:20

სან ანტონიო: დანკანი (24 ქ. 13 მ. 3 პ), პარკერი (19 ქ. 5 მ), ჯინობილი (16 ქ. 3 მ. 8 პ. 5 ჩ), ბერი (12 ქ).

პორტლენდი: ოლდრიჯი (27 ქ. 2 დ), უებსტერი (21 ქ), პრეიბილა (13 ქ. 10 მ), აუთლოუ (11 ქ), როი (7 ქ. 5 მ. 6 პ).

"სან ანტონიო სპურსმა" ტიტულის დაცვა შინ, ახალგაზრდა "პორტლენდთან" მოგებით დაიწყო. სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დრაფტის პირველი ნომრის, **გრეგ ოდენის** გარეშეც, მათ საკმაოდ ანერვიულეს გამოცდილი მეტოქე. საფინალო სირენამდე ზუსტად ორი წუთით ადრე, **ლამარკუს ოლდრიჯის** ზუსტი სროლით "ტრეილ ბლეიზერსმა" სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა (95:98). და სწორედ ამ დროს, გადამწყვეტი სიტყვა თქვა "კლივლენდთან" ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშემ **ტონი პარკერმა**, რომელმაც ერთ წუთში ზედიზედ ორი ორქულიანი ჩააგდო და ანგარიში 102:95 გახადა.

პარკერს **ტიმ დანკანიც** შეეშველა და ძირითადი დროის დამთავრებამდე 36 წამით ადრე, "სან ანტონიოს" გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა - 106:96.

მასპინძელთა რიგებში "დიდი ტრიო" დომინირებდა. დანკანმა, პარკერმა და **მანუ ჯინობილიმ** ჯამში 59 ქულა დააგროვეს. ტიმმა დაგეგმილი ორმაგი დუბლიც მიითვალა, ხოლო ჯინობილიმ ... კერს პლეიმეიკერობა ჩამოართვა და 8 შედეგიანი პასი დაარიგა, თანაც დაცვაშიც მაგრად იდგა, რაზეც მისი 5 ჩაჭრაც მეტყველებს.

"პორტლენდი" თამაშიდან კარგად ისროდა, მაგრამ ამავდროულად, 17 შეცდომაც დაუშვა, რასაც ბუნებრივია, "სან ანტონიო" არ აპატიებდა.

ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ-ᲞᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ 93:95

25:16, 18:27, 19:27, 31:25

ლეიკერსი: ბრაიანტი (45 ქ. 8 მ. 4 პ. 4 ჩ), ფიშერი (17 ქ. 4 ჩ), უოლტონი (8 ქ. 5 მ. 4 პ), კ. ბრაუნი (4 ქ. 8 მ), ბინუმი (4 ქ. 3 ჩ).

პიუსტონი: მაკგრეიდი (30 ქ. 6 მ. 4 პ), მინი (25 ქ. 12 მ. 3 პ. 3 დ), მ. ჯეიმსი (13 ქ. 3 ჩ), ბატიე (11 ქ), უელსი (7 ქ. 6 მ. 3 ჩ).

"ჰიუსტონმა" კინაღამ მოგებული მატჩი წააგო. ბოლო მეოთხედში სტუმრები 13 ქულით იყვნენ წინ, მაგრამ "ლეიკერსს" 13:0 გაქცევისა და შესაბამისად, ძირითადი დროის დამთავრებამდე 13 წამით ადრე, ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს - 92:92.

"როკეტსის" რიგებში სხვებზე ადრე **შეინ ბატიე** გამოფხიზლდა, რომელმაც ზუსტი სამქულიანი გაისროლა და მასპინძელს მატჩის გადასარჩენად 1.3 წამი დაუტოვა.

ბუნებრივია, ბოლო ტყორცნა **კობი ბრაიანტმა** ითავა, მაგრამ "ლეიკერსის" ლიდერზე დაჯარიმდნენ და მსაჯებმა მეამბოხე მცველს ორი ჯარიმის შესრულების უფლება მისცეს. ბრაიანტმა ჩხუბი დაიწყო - აქაოდა, სამქულიანის ხაზზე ფეხი არ დამიბიჯებია და სამი ჯარიმა მეკუთვნისო. კობის პროტესტს ყურადღება არავინ მიაქცია. ბრაიანტმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და მატჩიც დასრულდა - 93:95.

კობიმ იმ საღამოს მთლიანად თავის თავზე აიღო თამაში, მით უმეტეს, რომ "ლეიკერსს" ტრავმირებული **ლამარ ოდომი** აკლდა. ბრაიანტმა თამაშიდან 32-ჯერ ისროლა (13 ჩააგდო), საჯარიმოდან - 27-ჯერ (18 ზუსტი). სხვათა შორის, "ლეიკერსის" წაგების ერთ-ერთი მიზეზი თავისუფალი ტყორცნების გამოყენების ძალიან დაბალი პროცენტული მაჩვენებელი იყო - ფილ ჯექსონის გუნდმა 45-დან 18 ჯარიმა გააფუჭა.

ერთადერთი, ვინც ბრაიანტის გარდა "ლეიკერსში" 10-ზე მეტი ქულის დაგროვება შეძლო, გუნდში დაბრუნებული **დერეკ ფიშერი** გახლდათ (17 ქულა).

"ჰიუსტონის" რიგებში ორი კალათბურთელი დომინირებდა: **ტრეისი მაკგრეიდიმ** 30 ქულა გააკეთა, ხოლო **იაო მინმა** 25 ქულას 12 მოხსნაც დაუმატა.

"როკეტსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა **რიკ ადელმანს**, რომელმაც თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა ახალწვეულებს - **ლუის სკოლასა** და **სტივ ფრენსისს**. არგენტიელმა სულ 8 წუთი დაჰყო მოედანზე და ერთი სროლაც ვერ მოასწრო, ფრენსისი კი, სათადარიგოთა სკამიდან საერთოდ არ ამდგარა.

Გ. ᲡᲢᲔᲘᲢᲘ-ᲘᲣᲢᲐ 96:117

30:28, 21:34, 21:24, 24:31

გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (25 ქ. 4 მ. 10 პ. 5 ჩ. 2 დ), პიეტრუსი (17 ქ. 5 მ), ელისი (17 ქ), აზუბუიკე (11 ქ), ჰარინგტონი (10 ქ. 6 მ), ბიედრინსი (2 ქ. 9 მ. 2 დ).

იუტა: ბუზერი (32 ქ. 15 მ), დ. უილიამსი (24 ქ. 4 მ. 8 პ), ბრიუერი (18 ქ. 4 ჩ), მილსეპი (16 ქ. 10 მ. 2 დ), კირილენკო (9 ქ. 9 მ. 8 პ. 5 დ).

ეს გუნდები შარშანდელი პლეიოფის მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და "იუტამ" ხუთ მატჩში მოუღო ბოლო "დალას მავერიქსის" გამამწარებელს. "ჯაზმენებს" არც ამჯერად გასჭირვებიათ "მეომრების" ძლევა.

"გოლდენ სტეიტმა" მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწია წინააღმდეგობა **ჯერი სლოუნის** ბიჭებს. დანარჩენ სამ 12-წუთიულში კი, "იუტას" უპირატესობა აშკარა იყო.



კობი მსაჯს ეკამათება

1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

I ᲐᲠᲮᲘ

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი.
15:05 ესპანეთის ჩემპიონატი.
16:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:05 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
18:50 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
20:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:55 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:05 ტოქ-შოუ - 2:1.
21:50 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
23:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. (LIVE).
01:55 ზუსტი გათვლა.
02:10 სასტვენი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.
10:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:13 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-პიტსბურგი.
12:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ცსკა-სიენა.
13:46 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. ფინალი. ლიონი. საფრანგეთი.
15:50 სპორტდოსიე.
16:17 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
18:03 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
18:34 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ჩიკაგო.
20:24 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:57 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:23 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:48 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბარსელონა-ფენერბაჰჩე (LIVE).
01:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ჩიკაგო.
03:02 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:20 ფეხბურთი. Barca TV.
03:27 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
06:06 სპორტდოსიე.
06:33 ფეხბურთი. Barca TV.
06:41 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ცსკა-სიენა.
08:33 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

EUROSPORT

11:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
14:00 სპიდვეი. გერმანიის გრან-პრი.
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი.
16:15 მულტისპორტი.
17:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
18:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი.
19:00 სპიდვეი. გერმანიის გრან-პრი.
20:00 მსოფლიოს უძლიერესი ... უნგრეთის გრან-პრი.
21:00 ევროგოლი - ... ფეხბურთთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
22:00 ბატეტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. კანადა (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი. მძიმე წონა. ჰ. რაჰმანი (აშშ)-დ. რაიანი (აშშ). აშშ.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
04:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
13:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. სუპერფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
15:00 ახალი ამბები.
17:15 გოლფი. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
18:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. სუპერფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
20:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სერფინგი. ევროპის ტური. კანარის კუნძულები.
22:00 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზიის გრან პრი.
00:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
01:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. სუპერფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 მულტისპორტი.
03:00 ახალი ამბები.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

1/8 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ჩელსი-ლესტერი	4:3
ლუტონი-ვესტბრომი	0:1
პორტსმუთი-ბლეკბერნი	1:2
შეფილდი-არსენალი	0:3
ბოლტონი-მანჩესტერ სიტი	0:1
ლივერპული-კარლაილი	2:1
ბოლტონი-ბლეკპული	2:0

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ალმერია-სარაგოსა	0:1
დეპორტივო-მალორკა	1:1
სევილია-ბილბაო	2:0
ბეტისი-ოსასუნა	0:3
რეალ სოსიედადი-რასინგი	0:0
ვილიარეალი-ლევანტე	3:0
ვალენსია-რეალი	1:5
აბლეტიკო-სევილია	4:3

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

1/16 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

დორტმუნდი-ინგოლშტადტი	2:1
ქარლ ცაისი-ნიურნბერგი	2:2, პენ. 5:4
პადერბორნი-ფრაიბურგი	3:1
კოლონია-არმინია	1:1, დ.დ. 1:2
ესენი-კაიზერი	2:1
შტუტგარტი-პადერბორნი	2:2, დ.დ. 3:2
ვერდერი-დეისბურგი	4:0
ბაიერნი-ბორუსია (მ)	3:1

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

1/8 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

მონაკო-ლანსი	1:2
რენი-ვალანსი	0:2
ასკ-მონპელიე	2:0
კაენი-ლილი	1:3

ᲞᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

დე ბრეუერსი-ნი

მაძლეოსნობა

9.6 წამი ადამიანის შესაძლებლობის ზღვარია

100 და 200 მეტრზე სირბილში მსოფლიო ჩემპიონმა, ამერიკელმა **ტაისონ გეიმ** განაცხადა, რომ ადამიანი ვერასოდეს შეძლებს 100 მეტრის 9,6 წამზე ნაკლებ დროში გარბენას.

"გარანტიას არ ვიძლევი, მაგრამ მგონია, რომ შეეძლებ 100 მეტრი დისტანციის 9.7 წამში დაფარვას. რაც შეეხება ადამიანის შესაძლებლობებს, იდეალურ პირობებში, მას შეუძლია 9.6 წამი აჩვენოს. უფრო მეტის მიღწევა არარეალურად მეჩვენება", - ამბობს გეი.

დღეისთვის, 100 მეტრზე მსოფლიო რეკორდი იამაიკელ **ასაფა პაუელს** ეკუთვნის, რომელმაც 9 სექტემბერს, იტალიის ქალაქ რიეტიში დისტანცია 9.74 წამში დაფარა, რითაც წინა რეკორდი სამი მეასედი წამით გაუუმჯობესა.

კლუფგს შვიდჭიდი აღარ უნდა

შვიდჭიდში მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი, შვედი **კაროლინა კლუფტი** დისციპლინის შეცვლას აპირებს. ტელეკომპანია SVT-სთვის მიცემულ ინტერვიუში მძლეოსანმა განაცხადა, რომ სურს მხოლოდ სიგრძეზე ხტომაში გაგრძელოს კარიერა.

"ჩემი მიზანია შვდიმეტრიანი ნახტომების შესრულება. დარწმუნებული არ ვარ, რომ პეკინის ოლიმპიადაზე შვიდჭიდში გამოვალ. სანვრთნელ პროცესში უკვე შევიტანე ცვლილებები და საბოლოო გადაწყვეტილებას მარტში, დარბაზებისთვის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მივიღებ", - აღნიშნა კლუფტმა.

ჩოგბურთი

მარეი ტრავმას გადაურჩა

პარიზის მასტერსის წინ, ბრიტანელი ჩოგბურთელი **ენდი მარეი** ავტოავარიაში მოყვა.

"ეს გუშინ, გვიან საღამოს მოხდა, როცა აეროპორტიდან სასტუმროში მივდიოდით. ჩემს გარდა, მანქანაში მძღოლი და ჩემი მწვრთნელი ბრედ გილბერტი ისხდნენ. ქუჩებში საშინელი საცობი იყო. ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ჩვენმა მძღოლმა სიჩქარეს უკლო და სწორედ მაშინ, უკნიდან ვიღაც დაგვეჯახა. ზურგი ვიტკინე, მაგრამ სერიოზული არაფერია და ტურნირში მონაწილეობას მივიღებ", - განაცხადა მარეიმ.

შოტლანდიელი უკვე ჩაება პარიზის მასტერსში. მან წყვილთა თანრიგში ძმასთან, **ჯეიმი მარეისთან** ერთად ითამაშა და პირველი წლის მატჩი წააგო.

სერენა ჰოფმანის თასით დაიწყებს

ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** მომავალი სეზონის სტარტზე თავისი გეგმების შესახებ მოუყვა ჟურნალისტებს. კერძოდ, ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი სეზონს ჰოფმანის თასით გახსნის. ეს არის შერეული წყვილებისთვის არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი და იქ ამერიკის ნაკრებში სერენასთან ერთად **მარდი ფიში** ასპარეზებს.

სხვათა შორის, სერენა ერთხელ უკვე მონაწილეობდა ჰოფმანის თასზე - 2004 წელს, უმცროსი უილიამსი და **ჯეიმს ბლეიკი** ტურნირის ჩემპიონები გახდნენ.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ამერიკის გარდა, გაისად ჰოფმანის თასზე ითამაშებენ სერბეთი (ამ გუნდის ღირსებას **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **ელენა იანკოვიჩი** დაიცავენ), ავსტრალია, საფრანგეთი, ჩეხეთი, ინდოეთი და არგენტინა. კიდევ ერთი მონაწილე აზიის წარმომადგენელი იქნება.

ოლიმპიზმი

რომი ბრძოლას ჩამოშორდა

იტალიის დედაქალაქი რომი აღარ აპირებს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლას. რომის მერის **ვალტერ ველტრონის** განცხადებით, ქალაქი აქცენტს 2020 წლის თამაშების მიღებაზე გადაიტანონ.

"გადავწყვიტეთ, რომ აზრი არ აქვს 2016 წლის ოლიმპიადისთვის ბრძოლას. უმჯობესია, მომდევნო თამაშების მასპინძლობისთვის მოვემზადოთ", - აცხადებს ველტრონი.

იტალიამ ზაფხულის ოლიმპიადას ერთხელ, 1960 წელს უმასპინძლა (რომი). ზამთრის თამაშები კი, ამ ქვეყანაში ორჯერ ჩატარდა - 1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში და 2006 წელს ტურინში.

აქვე შეგახსენებთ, რომ 2016 წლის მასპინძლობაზე შვიდი ქალაქი აპირებს ბრძოლას. ესენი არიან: ტოკიო, ჩიკაგო, მადრიდი, რიო-დე-ჟანეირო, პრაღა, დოჰა და ბაქო. არჩევნები 2009 ნლის ოქტომბერში გაიმართება.

ფორმულა 1

ბარიკელოს ჩამოაქვეითებენ

იაპონური საჯინიბო "ჰონდას" ბანაკიდან საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. გუნდის ხელმძღვანელები ცნობილ ბრაზილიელ პილოტს **რუბენს ბარიკელოს** მეორე გუნდში - "სუპერ აგურიში" გადასროლას უპირებენ.

წლევანდელ სეზონში, განსაკუთრებით კი მის მეორე ნაწილში, ბარიკელო ძალიან სუსტად ასპარეზობდა და მუდმივად თავისი პარტნიორის, ბრიტანელი **ჯენსონ ბატონის** უკან რჩებოდა. ფორმულა 1-ის ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ვეტერანი ბრაზილიელის საუკეთესო წლები უკან დარჩა და როგორც ჩანს, იგივე აზრისანი არიან "ჰონდას" ხელმძღვანელებიც.

■ ■ ■

ამასობაში, "ჰონდა" ეკოლოგიის დარგში პრესტიჟული პრიზის მფლობელი გახდა. ეს გუნდი საკუთარი ბოლიდების ორიგინალური დიზაინის გამო დააჯილდოვეს.

შეგახსენებთ, რომ წლეულს "ჰონდამ" RA107-ის მანქანებზე არ განათავსა სარეკლამო წარწერები და ბოლიდები თანამგზავრიდან გადაღებული დედამიწის სურათით მოხატა. ეს პროექტი ეკოლოგიური პრობლემებისადმი ყურადღების მიქცევას ემსახურებოდა და მისი დევიზი იყო - "ჩემი ოცნების პლანეტა".

დე ლა როსა დაკითხვაზე გამოიძახეს

იტალიაში გრძელდება "მაკლარენისა" და "ფერარის" ცნობილი ჯაშუშური სკანდალის გამოძიება.

სამშაბათს, იტალიის პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს "მაკლარენის" ტესტ-პილოტი **პედრო დე ლა როსა**.

ესპანელ პილოტს იმ ელექტრონულ წერილებზე ეკითხებოდნენ, რომლებშიც საუბარი იყო "ფერარის" ინჟინრულ საიდუმლოებებზე და რომლის გამოყენებასაც აბრალებენ "მაკლარენს".

უფრო ადრე, 9 ოქტომბერს, დაკითხვაზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსოც** გამოიძახეს. ეს პილოტები ეჭვმიტანილებად არ ითვლებიან, მაგრამ პროკურატურა დარწმუნებულია, რომ ისინი გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაციას ფლობენ.

სკანდალი გრძელდება

კლემანმაც აღიარა

ჩოგბურთს პოლიცია თუ უშველის

თანამედროვე ჩოგბურთში ჩაწყობილი თამაშების თემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის გენერალურმა დირექტორმა **ჟან-ფრანსუა ვილომ** გამოაცხადა, რომ თუ პარიზში მიმდინარე მასტერსის ტურნირზე, რომელიმე მატჩის შედეგი ორგანიზატორთა ეჭვს გამოიწვევს, მაშინ ისინი დასახმარებლად პოლიციას მიმართავენ. *"მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ ასეთი საქმეების მაღალ დონეზე გამოძიება. ამის გაკეთებას ჩვენ ვერ შევძლებთ"*, - მოჰყავს ვილოს სიტყვები სააგენტო AP-ის.

"ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ და ჩოგბურთში არსებულ ჩაწყობილ თამაშებსა და კორუფციას სერიოზულად უნდა ვებრძოლოთ. ეს ისეთივე პრობლემაა სპორტში, როგორიც დოპინგი", - თავის მხრივ აცხადებს ფედერაციის პრეზიდენტი **კრისტიან ბიმი**.

ეს ჩინოვნიკები ჩაწყობილი თამაშების თემას მას შემდეგ გამოეხმაურნენ, რაც გუშინ, პარიზში მორიგი სკანდალი აგორდა. ამჯერად, აღიარებითი ჩვენებით გამოვიდა ფრანგი ჩოგბურთელი **არნო კლემანი**, რომელმაც პარიზის მასტერსზე პირველ წრეში წააგო რუს **მიხაილ იუჟნისთან** - 4:6, 3:6.

კერძოდ, კლემანმა განაცხადა, რომ მას ადრე არაერთხელ მიმართეს მატჩის შეგნებულად დათმობის წინადადებით, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა. *"ასეთი რამ მართლაც მოხდა, მაგრამ ვერ ვიტყვის როდის და რა პირობებში. გარწმუნებთ, რომ ერთი წუთითაც არ მიყოყმანია და მსგავს წინადადებებზე ყოველთვის უარი განვაცხადე. დაწვრილებით ამ ისტორიის მოყოლა იმიტომ არ მსურს, რომ მეშინია ჩემს მიმართ რაიმე სერიოზული სანქციები არ გამოიტანონ"*, - ამბობს არნო კლემანი.

ფრანგი ჩოგბურთელი დარწმუნებულია, რომ ბევრი მოთამაშე იმყოფება ზენოლის ქვეშ, როცა მათ მატჩების წაგებას სთავაზობენ. *"როცა ჩოგბურთელი ასეთ წინადადებაზე უარს ამბობს, აღნიშნული მატჩის დროს ეს მაინც ნეგატიურად მოქმედებს მასზე. ასეთ დროს ძნელია მთლიანად თამაშზე კონცენტრაციის გადატანა. ჩემი აზრით, ის ვინც მსგავს შემოთავაზებებს დათანხმდება, ის სპორტს უღალატებს"*, - ასრულებს ინტერვიუს კლემანი.

სპორტული ოჯახი

დემენტიევა პოკეისტს მიპყვება

რუსეთში სპორტული ოჯახი იქმნება. გაისად, "როლან გაროსის" შემდეგ დაქორწინებას აპირებენ ჩოგბურთელი **ელენა დემენტიევა** და NHL-ის კლუბ "ბაფალო სეიბრზის" ფორვარდი **მაქსიმ აფინოგენოვი**.

ამ წყვილის ურთიერთობაზე დიდი ხანია საუბრობდნენ, მაგრამ სპორტსმენების ჩაკეტილი ცხოვრების გამო, ვერც ჩოგბურთელზე და ვერც ჰოკეისტზე "ყვითელი პრესის" ჟურნალისტები ინფორმაციის მოპოვებას ვერ ახერხებდნენ. ამიტომაც თვლიდნენ, რომ დემენტიევასა და აფინოგენოვს, უბრალოდ, მეგობრობა აკავშირებდათ.

ამიტომაც, მათი დაქორწინების ინფორმაცია ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. არავინ იცის, საიდან გაჟონა ამ ცნობამ, მაგრამ მის ჭეშმარიტებაში რუსულ პრესას ეჭვი არ ეპარება.

ცურვა

ვარსკვლავი

ჰეკეტი ღია წყალში გადადის

ოლიმპიური თამაშების სამი, მსოფლიო ჩემპიონატების ათი და თანამეგობრობის თამაშების ხუთი ოქროს მედლის მფლობელი, ავსტრალიელი მოცურავე **გრანტ ჰეკეტი** მერმის, პეკინის ოლიმპიადაზე მისთვის და ოლიმპიადებისთვის ახალ დისციპლინაში, ათ კილომეტრზე ღია წყალში ასპარეზობას გეგმავს.

ჰეკეტი აუზში 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია. ამ დისციპლინაში მას ზედიზედ მესამედაც შეუძლია გამარჯვება, რაც უპრეცენდენტო შემთხვევა იქნება. ამ დისტანციის გარდა, პეკინში ის 400 მეტრზე თავისუფალსა და 4x200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაშიც გამოვა.

27 წლის მოცურავემ ერთხელ, ავსტრალიაში უკვე იასპარეზა ღია წყალში, ათკილომეტრიან დისტანციაზე და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა. დეკემბერში სიდნეიში ის ავსტრალიის ჩემპიონატშიც იასპარეზებს და პირველ, ან მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში, მაშინ ღია წყალში მსოფლიო ჩემპიონატზე ავსტრალიის სახელით გამოსვლის უფლებასაც მოიპოვებს. მსოფლიო ჩემპიონატზე კი, პირველ ათ ადგილზე გასულები პეკინში იასპარეზებენ.

"ავსტრალიის ჩემპიონატამდე ღია წყალში ერთ-ორ ტურნირზე გამოსვლას ვაპირებ. პარალელურად, აუზშიც ჩვეული ინტენსივობით ვარჯიშს გავაგრძელებ", - ამბობს ჰეკეტი.

ცნობისთვის, ღია წყალი ოლიმპიურ პროგრამაში პირველად პეკინის ოლიმპიადისთვის შეიტანეს. პეკინში ღია წყალში მოცურავეები ერთმანეთს აუზის პროგრამის დასრულებიდან ოთხი დღის შეეჯიბრებიან. აუზში კი მედლების ბოლო კომპლექტი 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გათამაშდება.

გრანტ ჰეკეტი

ქართული სპორტული გაზეთი

განახლებული
ბადრი პატარკაციშვილის
ინიციატივითა და
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თეიგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეფაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისავშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით ფალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაიაძე, ძეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიჯარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელნოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მასხარაშვილი (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თეიგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10-ა,
0159 თბილისი
(ლილოები, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე.
გარდა კვირისა